

# სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2021, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2021, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2021, №6

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2021, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ქატიკვან შენგელია**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეპელი

|  |            |
|--|------------|
| <b>1. პროცესის ხარჯები</b>                                     |            |
| სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება .....               | 4          |
| <b>2. სასამართლო შეტყობინება და დაბარება .....</b>             | <b>11</b>  |
| <b>3. მხარეები</b>   |            |
| არასათანადო მოპასუხე .....                                     | 30         |
| <b>4. საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში</b>   |            |
| აღიარებითი სარჩელი .....                                       | 44; 53; 63 |
| <b>5. სარჩელის უზრუნველყოფა</b>                                |            |
| განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ .....                | 71         |
| სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული<br>ზარალის ანაზღაურება ..... | 78         |
| <b>6. დაუსრულებელი გადაწყვეტილება</b>                          |            |
| მოპასუხის გამოუცხადებლობა .....                                | 91         |
| <b>7. სასამართლო გადაწყვეტილება</b>                            |            |
| დამატებითი გადაწყვეტილება .....                                | 104        |
| გადაწყვეტილების ასლის მხარეებისთვის ჩაბარება .....             | 118        |
| კასაციის დასაშვებობა .....                                     | 132        |
| გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები .....          | 132        |
| <b>9. საქმის წარმოების განახლება .....</b>                     | <b>143</b> |

# 1. პროცესის სარჯები

## სახელმწიფო გაჟის გადახდისგან გათავისუფლება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1543-2019

25 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ნ. ფ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ნ.კ.ქ.ჭ.კ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე ან კლინიკა) მიმართ და მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, რომელიც 2013 წლის 23 თებერვლიდან 2013 წლის 22 აპრილის ჩათვლით 3 800 ევროს, ხოლო 2013 წლის 22 აპრილიდან 2013 წლის 15 მაისის ჩათვლით 2 913 ევროს შეადგენს, მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის მოპასუხისათვის დაკისრება.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე 2012 წლის 22 აგვისტოდან დასაქმებული იყო შპს „ჭ. კ-ში“ (ამჟამად – შპს „ნ.კ.ქ.ჭ. კ-ა“) დირექტორის თანამდებობაზე და მისი შრომის ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 3 800 ევროს ეკვივალენტ ლარს. ხელფასი მოპასუხემ მოსარჩელის ანგარიშზე ჩარიცხა ორჯერ: 2013 წლის 5 იანვარს (2012 წლის სექტემბერ-დეკემბრის) – 25 803,60 ლარი და 2013 წლის 26 აპრილს (ერთი თვის) – 6 824,20 ლარი. 2013 წლის 15 მაისს, საკუთარი განცხადების საფუძველზე მოსარჩელემ დატოვა დაკავებული თანამდებობა. მიუხედავად მოსარჩელის არაერთი მოთხოვნისა, მოპასუხეს არ აუ-

ნაზღაურებია მისთვის დავალიანება, რითაც ირღვევა ნ. ფ-ის უფლებები.

1.2. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის – 32 627 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2011 წლის 31 ოქტომბერს დაფუძნდა კლინიკა, რომლის დირექტორადაც იმთავითვე დაინიშნა დ. ა. დირექტორის ინიციატივით გასხვისდა საწარმოს წილის 70% და შეიცვალა ხელმძღვანელობაც, შესაბამისად, დირექტორის თანამდებობაზე გამწვანდა შეგებებულ სარჩელზე მოპასუხე. ამ უკანასკნელმა, პარტნიორებთან შეთანხმების გარეშე კაბალური ხელშეკრულებები გააფორმა მესამე პირებთან და თავადაც დაინიშნა შეუსაბამოდ მაღალი ხელფასი. დირექტორობის პერიოდში მას რეალურად არ შეუსრულებია რაიმე სამუშაო, რაც ნაადგებოდა კომპანიას. მოპასუხის ქმედებების ანალიზისას დადგინდა დარღვევები, საკუთარი ინვოისით თავისსავე ანგარიშზე ირიცხავდა თანხას, თითქოს შრომის ანაზღაურების სახით. მითითებული დარღვევის აღმოჩენის შემდგომ დირექტორი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ყოფილი დირექტორი იმავდროულად მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებაში და იღებდა ხელფასს. სასამართლოს სარჩელით მიმართეს მესამე პირებმა, რომლებთანაც კლინიკის ყოფილ დირექტორს ფიქტიურად ჰქონდა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, ასევე მოიქცა ნ. ფ-იც. შეგებებულ სარჩელზე მოპასუხის მიერ მიღებული თანხებით კლინიკას მიადგა ზიანი, ვინაიდან ამ თანხის მიღების უფლებას არც კანონი და არც წესდება არ ითვალისწინებდა.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. თავდაპირველმა მოპასუხემ მარტივი შედავებით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელე კომპანიაში დროებით იქნა დაინიშნული დირექტორად გარკვეული ვალდებულებების შესასრულებლად, ბოლო თვეების განმავლობაში მის დირექტორად რეგისტრაციას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რის შემდგომაც თავად მოიხსნა თავი რეგისტრაციიდან. ამ დროისათვის მოსარჩელე დასაქმებული იყო სხვა ორგანიზაციაში. საზოგადოებას დირექტორისათვის ხელფასი არ დაუნიშნავს, იგი არ ყოფილა შეთანხმებული კომპანიის პარტნიორებთან. მას, როგორც დირექტორს, ხელთ ჰქონდა ყველა დოკუმენტი, ასევე, შეეძლო შეექმნა იგი. რაც შეეხება სასამსახურო ხელშეკრულებას, იგი მოსარჩელესთან არ გაფორმებულია. სახელფასო ოდენობასთან დაკავშირებით მოპასუხემ გან-

მარტა, რომ კომპანიაში არსებული ხელფასების გათვალისწინებით (რომელიც არ აღემატება 400 ლარს) დირექტორს არ შეიძლებოდა ჰქონოდა მოთხოვნილი ოდენობით ხელფასი, რაც უკვე განხორციელებული ჩარიცხვების გაურკვეველობაზე მეტყველებს;

2.2. თავდაპირველმა მოსარჩელემ ასევე არ ცნო შეგებებული სარჩელი და განმარტა, რომ საზოგადოებიდან მიღებული თანხა წარმოადგენს დირექტორის შრომის ანაზღაურებას და არ შეიძლება უკანონოდ მიღებულად იქნეს მიჩნეული, შესაბამისად, გამორიცხულია ზიანზე საუბარი. თავდაპირველმა მოსარჩელემ შეასრულა საზოგადოების წესდებითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობები, რის სანაცვლოდაც მიიღო შესაბამისი ანაზღაურება, ამდენად, მიღებული ხელფასის დაბრუნების მოთხოვნა უსაფუძვლოა.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით თავდაპირველი და შეგებებული სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

მოცემული საქმე განხილულ იქნა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, ამასთანავე, აპელანტს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 1 494 ლარის ანაზღაურება.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი

გარემოებების გამო:

## **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:**

### **1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამოწმებს. უპირველეს ყოვლისა, პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 სექტემბრის განჩინებაზე, რომლითაც ნ. ფ-ის საკასაციო საჩივარი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო, პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წინაპირობები. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თანხის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში პალატა ამ პრეტენზიაზე აღარ იმსჯელებს.

### **1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, დასაბუთებულ შედავებად განიხილება მხარის პრეტენზია, რომელიც შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს შემდეგი ფაქტობრივი

გარემოებები:

1.2.1. მოსარჩელე იყო მოპასუხე კომპანიის დირექტორი;

1.2.2. ყოფილი დირექტორის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სახელფასო დავალიანებისა და მისი დაყოვნების გამო პირგასამტეხლოს კომპანიისათვის დაკისრება.

**1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საქმეში არსებითად განხილვის შედეგად დაადგინა, რომ აპელანტს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაკისრებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საკასაციო პალატა არ იზიარებს ხსენებულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ იგი ემყარება არა მხოლოდ სამართლის ნორმების არასწორ გამოყენება-განმარტებას, არამედ, ამავე საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

1.3.2. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ამავე პალატის 2017 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ნ. ფ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, პროცესის ხარჯების დაკისრების ნაწილში საკასაციო პალატამ მიიღო ახალი გადაწყვეტილება და ნ. ფ-ი გაათავისუფლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო დანარჩენ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. მოხმობილი გადაწყვეტილების თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს. დასახელებული ნორმის მონესრიგება ასახულია ამავე კოდექსის 178-ე, 368-ე და 396-ე მუხლებში. ამ წესისაგან გამონაკლისს ითვალისწინებს კანონი – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილი ადგენს ჩამონათვალს, როდესაც მხარე თავისუფლდება ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან, ხოლო ნორმის მე-2 ნაწილი მითითებითია (კანონით გათვალისწინებული შემთხვევა) და მოიაზრებს მათ შორის „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციებს. ამ უკანასკნელი ნორმატიული აქტის 5.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებ-



ზე შრომის ანაზღაურების თაობაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის, სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების ეტაპზე მხარის მოთხოვნა მოწმდება პროცესუალური თვალსაზრისით, ანუ სასამართლო ფორმალურად, საპროცესო სამართლის დანაწესებთან შესაბამისობაში ამოწმებს სასარჩელო მოთხოვნას, რაც, მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ ზემოხსენებული ნორმის რეგულაციაში ექცევა და დავის გადანყვეტის მატერიალური საფუძველი ამ საკითხზე გავლენას ვერ იქონიებს, შესაბამისად, საკასაციო პალატის დასკვნით, ის გარემოება, რომ სარჩელით მოთხოვნილი თანხა დავალბის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გასამრჯელოს წარმოადგენს, მის პროცესუალურ მხარეზე გავლენას ვერ იქონიებს (იხ. სუსგ №ას-650-606-2017, 03.11.2017წ.).

1.3.3. მიუხედავად საკასაციო სასამართლოს ხსენებული მსჯელობისა, სააპელაციო საჩივრის უარყოფისას სააპელაციო პალატამ აპელანტს (მოსარჩელეს) კვლავ დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ.

1.3.4. საკასაციო პალატა კვლავ იზიარებს 2017 წლის 3 ნოემბრის გადანყვეტილებაში ასახულ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, შესაბამისად, არსებობს მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა.

#### **1.4. ახალი გადანყვეტილების მიღების პროცესუალური დასაბუთება:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის მონესრიგებისათვის არ იქნა რა გამოყენებული შესაბამისი სამართლის ნორმები, მის მიერ მიღებული გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე პალატა აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები), წინამდებარე გადანყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია თავად გა-

დანყვიტოს დავა: ვინაიდან მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მიუხედავად პროცესუალური თვალსაზრისით განსახილველი დავა შრომის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას წარმოადგენს, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პალატა კასატორს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან ათავისუფლებს.

## **2. პროცესის ხარჯები:**

ვინაიდან მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა უარყოფილ იქნა, ამასთან იგი, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან გათავისუფლებულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე პროცესის ხარჯებს (სახელმწიფო ბაჟი) გაიღებს სახელმწიფო.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 411-ე მუხლებით და

## **გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ნ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 1 მაისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი და ნ. ფ-ი გათავისუფლდეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1188-1148-2016

24 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. ჯ-ის (შემდეგში: პირველი მოსარჩელე ან დასაქმებული), ლ. გ-ის (შემდეგში: მეორე მოსარჩელე ან დასაქმებული), ა. ხ-ის (შემდეგში: მესამე მოსარჩელე ან დასაქმებული), გ. ხ-ის (შემდეგში: მეოთხე მოსარჩელე ან დასაქმებული) სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა;

**2. ბათილად იქნა ცნობილი სს „თ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, დამსაქმებელი ან კასატორი) გენერალური დირექტორის 2015 წლის 22 ივლისის №კ-516 ბრძანება და შედეგად დასაქმებულები აღდგენილ იქნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე;**

2.1. პირველი მოსარჩელე – ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის სამმართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის საზოგადოების შიდა უსაფრთხოებისა და ინტერესების დაცვის განყოფილების ბიზნეს-ცენტრების საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის ინჟინერ-ინსპექტორის თანამდებობაზე. მოპასუხე დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად, 1060 ლარი, 2015 წლის 23 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

2.2. მეორე მოსარჩელე – ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის სამმართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის საზოგადოების შიდა უსაფრთხოებისა და ინტერესების დაცვის განყოფილების ბიზნეს-ცენტრების საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის

ფის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად, 2300 ლარი, 2015 წლის 23 ივლისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2015 წლის 24 დეკემბრისა;

2.3. მესამე მოსარჩელე – კორპორაციული განვითარებისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს კორპორაციული განვითარებისა და სანარმოო საქმიანობის უზრუნველყოფის დირექტორის მრჩეველის თანამდებობაზე. მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად, 4385 ლარი, 2015 წლის 23 ივლისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე.

2.4. მეოთხე მოსარჩელე – ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის სამმართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად, 2400 ლარი, 2015 წლის 23 ივლისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე;

2.5. დამსაქმებელს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%-ის გადახდა გათავისუფლების დღიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე.

### **3. საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება და დასკვნები**

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადანყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი დამსაქმებლის (მოპასუხე ორგანიზაციის გენერალური დირექტორის) 2015 წლის 22 ივლისის № კ-516 ბრძანება, კერძოდ:

3.1.1. დასაქმებულები აღდგენილ იქნენ პირვანდელ სამუშაო ადგილებზე;

3.1.2. მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მისი ყოველთვიური ხელფასის – 1060 ლარის გადახდა 2015 წლის 23 ივლისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ – 2300 ლარის (სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა მოთხოვნა და აღნიშნული განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა მხოლოდ სახელმეკრულებო ვადის პერიოდში – 2015 წლის 24 ოქტომბრამდე) გადახდა 2015 წლის 23 ივლისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს იმავე წლის 24 დეკემბრისა; მესამე მოსარჩელის სასარგებლოდ – 4 385 ლარის გადახდა 2015 წლის 23 ივლისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, მეოთხე მოსარჩელის სასარგებლოდ – 2400 ლარის გადახდა 2015 წლის 23 ივლისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე;

3.1.3. მოპასუხეს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის, დაყოვნებული თანხის 0.07%-ის გადახდა მათი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულებამდე.

3.2. საქალაქო სასამართლომ გადანყვეტილებაში მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში იმყოფებოდა საქმე №2/16513-15, რომელზედაც მხარეები იყვნენ ამ განჩინების პირველ და მეორე პუნქტებში დასახელებული დასაქმებულები და დამსაქმებელი; დავის საგანს წარმოადგენდა: სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

3.3. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ დამსაქმებელმა ისინი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა „პირადი განცხადების“ საფუძველზე, კერძოდ: პირველი დასაქმებული გათავისუფლდა 2012 წლის 30 ივლისის №კ-140 ბრძანებით; მეორე დასაქმებული – 2012 წლის 9 ივლისის №კ-118 ბრძანებით; მესამე დასაქმებული – 2012 წლის 26 ივლისის №კ-111 ბრძანებით; მეოთხე დასაქმებული – 2012 წლის 2 ივლისის №კ-114 ბრძანებით;

3.4. დამსაქმებლის ყველა ზემოხსენებული ბრძანება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის გადანყვეტილებით (საქმე №2/4283-13), ბათილად იქნა ცნობილი, ამავსე გადანყვეტილებით მოსარჩელები აღდგენილ იქნენ იმ თანამდებობებზე, რომელიც მათ ეკავათ გათავისუფლებამდე და მოპასუხეს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მათი გათავისუფლების დღიდან – 2013 წლის 2 აპრილამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მათი ყოველთვიური ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით;

3.5. სასამართლოს ზემოხსენებული გადანყვეტილების აღსრულებამდე, დამსაქმებელმა ხელოვნურად გააუქმა ის სამტყაგო ერთეულები, რომლებზედაც უნდა მომხდარიყო მოსარჩელეთა აღდგენა, ფაქტობრივად კი აღნიშნული სამსახურები არ გაუქმებულა, მხოლოდ დასახელებები შეიცვალა და სამსახურები კვლავ აღიჭურვა იმავე უფლება-მოვალეობებით, რაც წინამორბედ სამსახურებს გააჩნდათ;

3.6. მოსარჩელებმა 2014 წლის 30 დეკემბერს მიმართეს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, და მიანოდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოპასუხე არ ასრულებდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით მასზე დაკისრებულ მოვალეო-

ბას;

3.7. აღმასრულებელმა 2014 წლის 10 დეკემბერს მიმართა მოპასუხე სანარმოს გენერალურ დირექტორს და მოსთხოვა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება.

3.8. მხარეთა შორის (კრედიტორები: მოსარჩელები და მოვალე: დამსაქმებელი) შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა 2015 წლის 19 ივნისს. იმავე წლის 22 ივლისს მოპასუხე სანარმოს გენერალურმა დირექტორმა გამოსცა ბრძანება №კ-516, რომლითაც ოთხივე დასაქმებულს (განსახილველი დავის მოსარჩელებს) შეუწყდა შრომითი ხელშეკრულებები და ისინი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან; დასახელებული ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია სშკ-ის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი /„დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანხისით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა“/.

3.9. ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხე სანარმოს გენერალური დირექტორის №კ-516 ბრძანების ბათილად ცნობა, პირვანდელ სამუშაო ადგილას აღდგენა და 2015 წლის 23 ივლისიდან სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ასევე – თითოეული მათგანის სასარგებლოდ, ნებისმიერი ანაზღაურებისა და ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისთვის, დაყოვნებული თანხის 0.07%-ის დაკისრება მოპასუხისათვის, მათი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

3.10. მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა; აღნიშნული გზავნილი მოსარჩელეს ჩაბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 74-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, 2015 წლის 2 სექტემბერს. მოპასუხეს სასამართლოში უნდა წარედგინა შესაგებელი, სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში; მოპასუხემ, დადგენილ ვადაში 11.09.2015 წელს, წარადგინა შესაგებელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

3.11. სასამართლომ საქმის მოსმენა მოსამზადებელ სხდომაზე დანიშნა 2015 წლის 12 ნოემბერს 15 საათზე, რაც მხარეებს ეცნობათ სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

3.12. სსსკ-ის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდო-

მაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. ამავე კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

3.13. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის პირობები.

3.14. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომლის წარმომადგენელი სასამართლოს სხდომის ადგილისა და დროის თაობაზე ინფორმირებული იყო სსსკ-ით დადგენილი წესით; კერძოდ, სხდომის თარიღი ეცნობა მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელს ბ. მ-ს სატელეფონო შეტყობინების გზით, რაზედაც შედგენილია შესაბამისი აქტი;

3.15. მოპასუხეს, სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ სასამართლოსთვის არ უცნობებია.

3.16. სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მოსარჩელემ იშუამდგომლა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

3.17. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის წინაპირობები და მოსარჩელის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დააკმაყოფილა.

#### **4. მოპასუხის საჩივარი საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე და საქალაქო სასამართლოს განჩინება მისი უცვლელად დატოვების შესახებ**

4.1. მოპასუხემ საჩივარი წარადგინა საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა იმ დასაბუთებით, რომ ის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით არ იქნა გაფრთხილებული დანიშნულ სხდომასთან დაკავშირებით, კერძოდ, დარღვეული იყო სსსკ-ის 70-ე-73-ე მუხლები, 233-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

4.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 იანვრის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის საჩივარი ამავე სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების შესახებ და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

4.3. საოქმო განჩინებაში სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა, რაც 2015 წლის 2 სექტემბერს ჩაბარდა სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით. მოპასუხეს სასამართლოში უნდა წარედგინა შესაგებელი სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, რომელიც დადგენილ ვადაში – 11.09.2015 წელს არის შეტანილი.

4.4. საქმე სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე განსახილველად დაინიშნა 2015 წლის 12 ნოემბერს 14:00 საათზე, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით /„თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას“ – სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი/.

4.5. სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის პირობებს.

4.6. სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე. სასამართლოს სხდომის ადგილისა და დროის თაობაზე მოპასუხის წარმომადგენელი ინფორმირებული იყო სსსკ-ით დადგენილი წესით. კერძოდ, სხდომის თარიღი ეცნობა მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელს ბ. მ-ს სატელეფონო შეტყობინებით, რაზედაც შედგა შესაბამისი აქტი.

4.7. მოპასუხეს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ არ უცნობებია. ამ უკანასკნელის გამოუც-



ხადებლობის გამო მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე იშუამდგომლა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

4.8. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სსსკ-ის XXVI თავით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.9. 2015 წლის 19 ნოემბერს მოპასუხის წარმომადგენელმა ა. ა-მა საჩივარი წარადგინა სასამართლოს ზემოაღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ „ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ“ აქტი სასამართლო მოხელემ არასრულყოფილად შეადგინა; აქტის შინაარსიდან ძნელი დასადგენი იყო, თუ რომელი მხარის წარმომადგენელს ესაუბრებოდა სასამართლოს მოხელე. საჩივრის ავტორის მტკიცებით, აქტის ჩანაწერი, რომ მხარეს ეცნობა სასამართლო უწყების შინაარსი, რეალურად არსებულ სიტუაციასთან შეუსაბამო იყო იმ თვალსაზრისით, რომ სატელეფონო შეტყობინების აქტში ზუსტად არ იყო გადატანილი 20.10.2015 წელს შემდგარი სატელეფონო საუბრის შინაარსი. საჩივრის ავტორის შეფასებით, გამოკვეთილი იყო სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება (იხ. ნორმის დეფინიცია 4.4 ქვეპუნქტში). კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ სასამართლო უწყება ყველა ზემოხსენებულ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მოპასუხემ მოითხოვა საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 12 ნოემბერს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

4.10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიამ 2016 წლის 26 იანვარს დანიშნა სასამართლო სხდომა საჩივრის განხილვის მიზნით, რის თაობაზეც მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ სსსკ-ით დადგენილი წესით, კერძოდ, სატელეფონო შეტყობინებით. მხარეები გამოცხადდნენ აღნიშნულ სხდომაზე. საჩივრის ავტორმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა იმ გარემოებებზე მითითებით, რაც ასახულია მის საჩივარში. მონინაალმდევე მხარემ მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმ მოტივით, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და იგი გამოტანილი იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით.

4.11. მხარეთა პოზიციების მოსმენისა და შეჯერების შედეგად სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოპასუხის საჩივარი და განმარტა, რომ სსსკ-ის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყო-

ბინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, ერთდროულად უნდა იყოს სამი პირობა იმისათვის, რომ სასამართლომ იხელმძღვანელოს აღნიშნული მუხლით და საქმეზე მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება; კერძოდ:

4.11.1. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელიც სხდომის თაობაზე გაფრთხილებული იყო სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და არ არსებობს სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო გარემოება;

4.11.2. მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე შუამდგომლობს მოსარჩელე მხარე;

4.11.3. სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

4.11.4. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. მოცემულ შემთხვევაში პროცესზე არ გამოცხადდა მოპასუხე, რომელსაც სხდომის თაობაზე ეცნობა სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, კერძოდ, სატელეფონო შეტყობინებით.

4.12. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ სატელეფონო საუბრის ჩანაწერიდან ნათლად ირკვეოდა, რომ მოპასუხის წარმომადგენელი გაფრთხილებული იყო სასამართლო სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, მოსამართლის თანაშემწემ მას რამდენჯერმე გაუმეორა სხდომის ადგილისა და დროის თაობაზე, მოპასუხის წარმომადგენლისაგან მიღებულ იქნა დასტური შეტყობინების მიღების თაობაზე, ასევე, მას თანაშემწემ განუმარტა, რომ აღნიშნული შეტყობინება ოფიციალური იყო და მოპასუხეს დამატებითი უწყება აღარ გაეგზავნებოდა;

4.13. საქალაქო სასამართლოს შეფასებით, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მითითება იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლის თანაშემწემ მას არ განუმარტა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, საფუძვლად ვერ დაედებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმეში მონაწილე მხარეების, მოსამართლის ვინაობის, ასევე სასამართლო სხდომის ჩატარების ადგილის, დროის და დარბაზის ნომრის თაობაზე, რაც სრულად ეცნობა მოპასუხის წარმომადგენელს; ეს უკანასკნელი კი წარმომადგენდა მოპასუხის იურისტს (აღნიშნული დასტურდებოდა მოპასუხის მიერ გაცემული რწმუნებით); შესაბამისად, მისთვის თავისთავად იყო ცნობილი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შესაძლო შედეგები;

4.14. სასამართლომ იმაზეც იმსჯელა, რომ საჩივრის ავტორის (მოპასუხის) წარმომადგენელმა – ა. ა-მა საჩივრის განხილვის მიზნით 2016 წლის 26 იანვარს გამართულ სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა არასწორად ჩაინიშნა თარიღი, რამაც გამოიწვია სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა.

4.15. ზემოხსენებული გარემოებების შეფასების შედეგად, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

4.16. საქმეში არსებული მტკიცებულებების, საჩივრის ავტორისა და მონინალმდევის განმარტებების საფუძველზე, სასამართლომ საჩივარი დაუსაბუთებლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ მხარემ ვერ წარადგინა დასაბუთებული არგუმენტები, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

4.17. სასამართლოს შეფასებით, საჩივრის ავტორს არ წარუდგენია შესაბამისი მტკიცებულება და საკმარისად დასაბუთებული მითითებაც კი, რაც სასამართლოს შეუქმნიდა რწმენას, რომ სხდომაზე გამოუცხადებლობა ნამდვილად გამოიწვია ისეთმა საპატიო გარემოებამ, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების გონივრულ წინაპირობას შექმნიდა და სსსკ-ის 233-ე მუხლის მოთხოვნებთან იქნებოდა შესაბამისობაში.

## **5. მოპასუხის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები**

5.1. მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი ძალაში დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2016 წლის 26 იანვრის განჩინება იმავე არგუმენტებით, რაც მის საჩი-

ვარში იყო მითითებული (იხ. ამ განჩინების 4.1. ქვეპუნქტი).

5.2. აპელანტის მტკიცებით, აქტი „ტელეფონით სასამართლო-ში დაბარების შესახებ“ გაყალბებულია, რადგან რეალურად მოპასუხის ინფორმირება სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ და მითითება გამოუცხადებლობის შედეგებზე, არ მომხდარა. ამ გარემოებას სასამართლომ მნიშვნელობა არ მიანიჭა და მიუთითა, რომ რადგან მოპასუხის წარმომადგენელი საზოგადოების იურისტი იყო, მისთვის თავისთავად იყო ცნობილი სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შესაძლო შედეგების თაობაზე, რაც სააპელაციო საჩივრის ავტორის შეფასებით, არასწორი და დაუსაბუთებელი მსჯელობაა;

5.3. აპელანტის მტკიცებით, 20.10.2015 წლის 20 ოქტომბრის შეტყობინების შესახებ გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას და უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რაც სამოქალაქო დავებზე სასამართლო პრაქტიკის საკითხებზეა მიღებული.

## **6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და დასკვნები**

6.1. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 წლის 26 იანვარს მიღებული საოქმო განჩინება.

6.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს 26.01.2016წ. განჩინების მსჯელობა და დასკვნები და მიუთითა მათზე (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

6.3. სააპელაციო სასამართლომ ამ განჩინების 3.2-3.8 ქვეპუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა და აღნიშნა, რომ 2015 წლის ივნისში სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ საქმის მასალები სრულად გადაეგზავნა პროკურატურისათვის, მოვალის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო შესაბამისი რეაგირების მიზნით. საბოლოოდ, მხარეთა შორის (კრედიტორები – ოთხი მოსარჩელე და მოვალე – მოპასუხე) შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა 2015 წლის 19 ივნისს. იმავე წლის 23 ივნისს კრედიტორებმა წერილობითი განცხადებით მიმართეს აღსრულების ეროვნულ

ბიუროს, სააღსრულებო წარმოების აღსრულებულად ჩათვლის და საქმის დასრულების თაობაზე; დამსაქმებელმა 2015 წლის 22 ივლისს გამოსცა №კ-516 ბრძანება, რომლითაც ოთხივე დასაქმებულს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულებები და ისინი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან; დასახელებული ბრძანების საფუძველად მითითებული სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის წერილობითი დასაბუთება განცხადებით მოითხოვეს დასაქმებულებმა.

6.4. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი შრომის კოდექსი ავალდებულებს დამსაქმებელს, დასაქმებულის მოთხოვნიდან შვიდი დღის ვადაში განმცხადებლის ამ სახის მოთხოვნაზე რეაგირებას და დასაბუთებული პასუხის გაცემას, მოსარჩელეთა განმარტებით, მოპასუხეს დღემდე არ გადაუცია მათთვის წერილობითი დასაბუთება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე; შრომის კანონმდებლობა სწორედ დამსაქმებელს აკისრებს ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთს. ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, მოსარჩელებმა მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილება.

6.5. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ამ განჩინების 3.9-3.16 ქვეპუნქტებში მითითებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე და განმარტა, რომ არ იზიარებდა აპელანტის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ 2015 წლის 20 ოქტომბრის შეტყობინებისას დაირღვა სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, რის გამოც უწყება მხარისათვის ჩაბარებულად არ უნდა ჩათვლილიყო სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესების შესაბამისად და რომ გამოვლენილი იყო ამავე კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის თაობაზე.

6.6. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში - ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმ-

ნებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საკითხები, ხოლო 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აგრეთვე დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე. ამავე კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება უნდა შეიცავდეს: ა) სასამართლოს სახელწოდებასა და ზუსტ მისამართს; ბ) მითითებას გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ, ხოლო თუ უწყება ეგზავნება წარმომადგენელს, – აგრეთვე მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მხარეს, რომლის წარმომადგენელიც არის; გ) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იბარებენ ამა თუ იმ პირს, და მითითებას დავის საგნის შესახებ; დ) სასამართლოში დასაბარებელი პირის ვინაობას, აგრეთვე იმას, თუ რა სტატუსით არის იგი დაბარებული, და მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ; ე) წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება; ვ) მითითებას იმის თაობაზე, რომ ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს; ზ) მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

6.7. სსსკ-ის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება: ა) ტელეფონის შემთხვევაში – ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით;

6.8. სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ მოპასუხის წარმომადგენელს 2015 წლის 12 ნოემბერს (14:00 საათზე) დანიშნული სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის შესახებ ეცნობა 2015 წლის 20 ოქტომბერს ტექნიკური საშუალების გამოყენებით (ტელეფონით); აღნიშნულის თაობაზე სასამართლოს შესაბამისმა მოხელემ შეადგინა მხარის ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ აქტი. საქმეში წარმოდგენილი იყო მითითებული შეტყობინების აუდიო ვერსია, რომელიც ადასტურებდა მოპასუხის წარმომადგენლისათვის უწყების ჩაბარებას.

6.9. აპელანტი სააპელაციო საჩივარს ძირითადად იმაზე აფუძნებდა, რომ მოპასუხე გაფრთხილებული არ ყოფილა სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ საქმე განიხილა მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით.

6.10. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის პრეტენზიები და განმარტა, რომ იგი თავადვე ეწინააღმდეგებოდა მის მიერ წარდგენილ საჩივარში ასახულ პოზიციას; კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებში განთავსებულ მოპასუხის საჩივარზე; დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ საჩივარში მოპასუხემ მიუთითა, რომ მისი გამოუცხადებლობა სხდომაზე გამონვეული იყო საწარმოს წარმომადგენლის (იგი წარმოადგენდა ამავე საზოგადოების იურისტს) მიერ შეტყობინების ჩანერის დროს დაშვებული უნებლიე შეცდომით, კერძოდ, მან, ნაცვლად სასამართლოს მოხელის მიერ მითითებული თარიღისა, გასამართი სხდომის თარიღად მოინიშნა 11.12.2015წ. შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი საჩივრის მიხედვით, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მხარის გამოუცხადებლობა სასამართლოში საქმის განხილვის მიზნით დანიშნულ მოსამზადებელ სხდომაზე და მის მიერ საჩივარში მითითება საწარმოს იურისტისათვის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგების მიუთითებლობის გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა;

6.11. სასამართლოს შეფასებით, წარმომადგენლის მიერ დაშვებული შეცდომა, რაც სასამართლო სხდომის გამართვის თარიღის არასწორად მონიშვნაში გამოიხატა, ვერ იქნებოდა მიჩნეული მხარის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად. ამასთან, მხარის წარმომადგენლის ინფორმირება სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე, მასვე აკისრებდა უშუალოდ მხარისათვის შესაბამისი ინფორმაციის გადაცემის ვალდებულებას და დამატებით ამ საკითხზე წარმომადგენლისათვის სასამართლოს მხრიდან გაფრთხილების წესს კანონი არ ადგენს.

6.12. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობები-

ნა სასამართლოსათვის. ამავე 215-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

6.13. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, არ არსებობდა სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.

6.14. სასამართლომ იმსჯელა სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 241-ე, 233-ე მუხლის მონესრიგებაზე და დაასკვნა, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. აპელანტის მიერ თავისი პოზიციის დასაბამებლად მითითებული არგუმენტები არ იყო საკმარისი ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში ასახული სამართლებრივპროცესუალური დასკვნების გასაბათილებლად; სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე და მას არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა, რომ არ არსებობდა სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოებები, ასევე მოპასუხის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევის ფაქტობრივი საფუძველი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გააჩნდა საკმარისი პროცესუალური საფუძველი 2015 წლის 12 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის და სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასებები გააკეთა 2016 წლის 26 იანვრის განჩინებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მოპასუხე მხარის საჩივრის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით; შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების პროცესუალურსამართლებრივი საფუძველები.



## **7. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

7.1. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, მისი და ქვემდგომი სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ საოქმო განჩინების გაუქმება მოითხოვა, ამასთან – საკასაციო განაცხადი დასაშვებად ცნობა სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

7.2. საკასაციო განაცხადი ძირითადად მოპასუხის საჩივრისა და სააპელაციო საჩივრის პრეტენზიების იდენტურ არგუმენტებზე უთითებს (იხ. ამ განჩინების 4.1 და 5.2-5.3 ქვეპუნქტები). კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას სსსკ-ის 72-ე მუხლის წინაპირობების დაცვის ფორმალურობის თაობაზე.

7.3. მოპასუხე შუამდგომლობს, საქმეს დაერთოს დამსაქმებლის იურიდიული სამსახურის სამსახურებრივი წერილი №0105/173 პერსონალის მართვის სამსახურისადმი, პერსონალის მართვის სამსახურის წერილი №0106/126 და მისი დანართები, რომელთა საფუძველზე, მოპასუხის მოსაზრებით, დასტურდება მოსარჩელეთა მიერ სამსახურიდან გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობები, რომლებზედაც აღდგენილი იქნენ დასაქმებულები გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს.

7.4. მოპასუხეს მიაჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება მისი აღსრულება, რაც დამატებითი არგუმენტია საკასაციო საჩივრის დასაკმაყოფილებლად.

## **8. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

8.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 23 იანვრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული.

8.2. მოპასუხემ 2017 წლის 27 იანვარს წარმოადგინა საკასაციო შესაგებელი, რომლითაც მოითხოვს საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას იმის გამო, რომ არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი წინაპირობა საკასაციო განაცხადის დასაშვებად ცნობისათვის.

8.3. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და რეკომენდაციებზე კასატორის მითითების პასუხად, მოსარჩელეთა წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიზანია სასამართლოს ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა,

დავების სწრაფი და გაჭიანურების გარეშე განხილვა, მხარეთა საპროცესო კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის – მიიღონ მონაწილეობა საქმის ზეპირ განხილვაში – შესრულება, საპროცესო ეკონომიის პრინციპის დაცვა.

8.4. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინებით მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაშვებად იქნა მიჩნეული არსებითად განსახილველად, სსსკ-ის 391-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, ხომ არ არის საქმეში ისეთი პროცესუალური დარღვევები, რასაც შეიძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მოპასუხის საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო განაცხადი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

9. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით დამსაქმებლის პრეტენზიათა ნაწილი, რომელიც ეხება სსსკ-ით დადგენილი წესით სასამართლო სხდომის შესახებ მხარისათვის უწყების ჩაბარების წესს დასაბუთებულია, ხოლო რაც შეეხება სამუშაოზე აღდგენის ნაწილში კასატორის მიერ მითითებულ არგუმენტს, რომ აღარ არსებობს ის სამუშაო ადგილები, რომლებიც დასაქმებულებს (მოსარჩელებს) ეკავათ და არსებული სახით სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დატოვების შემთხვევაში ის მაინც ვერ აღსრულდება, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარის აღნიშნული მოსაზრება ვერ დაედება საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას ფაქტობრივსამართლებრივი

საფუძვლის სახით, რადგან დამსაქმებლის მითითებული მტკიცება, თავისი შინაარსით, მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის შესაგებელს წარმოადგენს.

11. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი არსებითად განსახილველად დასაშვებად მიიჩნია სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შესაბამისად, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე სამართლებრივად უნდა შეფასდეს ხომ არ არის დაშვებული ქვემდგომი სასამართლოს მიერ ისეთი სახის პროცესუალური დარღვევა, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

12. საკასაციო სასამართლოს განხილვისა და სამართლებრივი შეფასების საგანია სსსკ-ის 70-ე, 72-ე და 73-ე მუხლებით მოწესრიგებული სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარების საკითხი. სსსკ-ის 70.1 მუხლით დადგენილია, რომ უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო 72-ე მუხლის პირველი პუნქტით ამომწურავად არის დადგენილი, თუ რისგან შედგება სასამართლო უწყება (ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების 6.6. ქვეპუნქტში).

13. განსახილველ შემთხვევაში სხდომის დანიშვნის თაობაზე სასამართლომ მოპასუხეს სსსკ-ის 70.3 მუხლით დადგენილი წესით /მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საკითხები, ხოლო 73-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აგრეთვე დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე“ აცნობა, კერძოდ, სატელეფონო შეტყობინების თაობაზე შედგენილი შესაბამისი აქტი საქმის მასალებშია (იხ. ამ განჩინების 4.6. ქვეპუნქტი). მოპასუხემ სადავო გახადა სასამართლოს მოხელის მიერ შედგენილი აქტი ანუ ის, რომ იგი არასრულყოფილად იყო შედგენილი და მასში არ იყო ასახული სატელეფონო საუბრის შინაარსი, რის გამოც სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ქვეპუნქტით დადგენილი გარემოება ვლინდებოდა (იხ. ნორმის დეფინიცია 4.4. ქვეპუნქტში).

14. საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომლე-

ბიჯ წინამდებარე განჩინების 4.13-4.14 ქვეპუნქტებშია ასახული სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ გამოტანილი განჩინების გაუქმების მოთხოვნით მოპასუხის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვისას და არ დააკმაყოფილა ამ უკანასკნელის პრეტენზიები.

15. საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვის ფარგლებში გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომელიც ეხება სასამართლო უწყების მოპასუხისათვის ჩაბარებულად მიჩნევას (იხ. ამ განჩინების 6.9-6.14 ქვეპუნქტები), არ იზიარებს საკასაციო სასამართლო.

16. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში განვითარებული მსჯელობის მიხედვით მოპასუხის განმარტებითვე დგინდებოდა, რომ მისმა წარმომადგენელმა არასწორად მოინიშნა სასამართლოს მოხელის მიერ შეტყობინებული სხდომის თარიღი, რაც მოპასუხის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ვერ იქნებოდა მიჩნეული. მოპასუხის მთავარი პრეტენზია ეხებოდა იმას, რომ 20.10.2015 წ. აქტის აუდიოჩანაწერი არ შეიცავდა სსსკ-ის 72.1 მუხლით დადგენილ ინფორმაციას, სხვებთან ერთად, მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მხარის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ; მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე (იხ. სააპელაციო საჩივარი). აპელანტის ამ პრეტენზიასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარდგენილი შეტყობინების აუდიო ვერსია ადასტურებდა მოპასუხის წარმომადგენლისათვის უწყების ჩაბარებას (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება), თუმცა, საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის მასალებში, კერძოდ, აქტის აუდიოვერსიის მოსმენის შედეგად, დასტურდება, რომ სხდომის თარიღის, საათის, მხარეების, მოსამართლის ვინაობის, სხდომის დარბაზის შესახებ საქალაქო სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილი აქტი არ შეიცავს სსსკ-ის 72.1. მუხლით დადგენილ სავალდებულო რეკვიზიტებს, კერძოდ, მხარისათვის მითითებას არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ, ასევე, მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული, შესაბამისად, სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი მოწესრიგების ფარ-

გლებში, მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების წესის შემოწმება სასამართლოს ვალდებულებაა, ხოლო იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე უთითებს, რომ დარღვეულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა, სასამართლოს მსჯელობა და დასაბუთება, რომ თავად მხარემ არასწორად მოინიშნა სხდომის თარიღი არაა გამართლებული, რადგან, უპირველესად, შესამოწმებელია, რამდენად დაიცვა სასამართლოს მოხელემ მხარისათვის შეტყობინების ჩაბარების დროს საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. ეს საკითხი არ წარმოადგენს იმგვარ ფორმალობას, რომელიც სასამართლოს განმარტების საგანია, რადგან სსსკ-ის 72.1 მუხლით ამომწურავად არის დადგენილი სასამართლო უწყების შინაარსი, რომლის რომელიმე ელემენტის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო უწყება არასრულად და კანონშეუსაბამოდ ჩაბარებულად უნდა იქნეს მიჩნეული.

18. ზემოხსენებული ფაქტობრივსამართლებრივი მოტივაციით დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდება იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. მხარეები

#### არასათანადო მოპასუხე

#### განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-673-640-2014

11 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** სამენარმეო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ ბრძანებების ბათილად ცნობა, ამ ბრძანებების საფუძველზე სამენარმეო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციის გაუქმება და ამ ცვლილებების რეგისტრაციამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირი „ცეკავშირის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ცეკავშირი ან კოოპერატივი) საბჭომ 2005 წლის 10 ივნისის, 30 სექტემბრისა და 18 ნოემბრის მე-9-მე-11 კრებების გადაწყვეტილებებით (გასაჩივრებული დადგენილებებით) აირჩია გამგეობა რ. ა-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ახლანდელი ან მოქმედი თავმჯდომარე, მესამე პირი, მეოთხე კასატორი) თავმჯდომარეობით. აღნიშნული დადგენილებები გამგეობის ყოფილმა წევრებმა გაასაჩივრეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და დავის გადაწყვეტამდე ცეკავშირის საბჭოს იმ გასაჩივრებულ დადგენილებათა მოქმედება შეჩერდა, რომლებიც გამგეობის ახლადარჩეულ წევრთა უფლებამოსილებას ეხებოდა.

2. 2006 წლის 27 თებერვალს მესამე პირმა განცხადებით მიმართა კოოპერატივის გამგეობას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ცეკავშირის 2006 წლის 10 მარტის 23-ე მოწვევის საბჭოს მე-12 კრების ოქმით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც 10.03.2006 წლის კრების ოქმი) ბათილად იქნა ცნობილი საბჭოს სა-

დავო დადგენილებები. ამასთან, კრებამ გამგეობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა, რომლის თავმჯდომარედ მ. ა-ე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აველანტი), ხოლო მის პირველ მოადგილედ ი. ქ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც თავმჯდომარის პირველი მოადგილე) აირჩია.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 აპრილის განჩინებით გაუქმდა ამავე სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ცეკავშირის საბჭოს სადავო დადგენილებების მოქმედების შეჩერება.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 8 თებერვლის ბრძანებით (№...) სამენარმეო რეესტრში ცეკავშირის სადავო დადგენილებებით გათვალისწინებული ცვლილებები დარეგისტრირდა. ამავე ბრძანებით აღდგა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის განჩინებამდე არსებული მდგომარეობა და 10.03.2006 წლის კრების ოქმი გაუქმდა.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც შემოსავლების სამსახური) 2008 წლის 10 აპრილის (№...) ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 8 თებერვლის ბრძანება; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 11 ივნისის (№...) ბრძანებით საგადასახადო ინსპექციას დაევალა დაუყოვნებლივ, ხელახლა განეხილა აღნიშნული საკითხი და წარდგენილი დოკუმენტების არსებითი შესწავლისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობის ზუსტი დაცვით, მიეღო გადაწყვეტილება.

6. ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 23 ივნისის (№...) ბრძანებით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც 23.06.2008 წლის სადავო ბრძანება) სამენარმეო რეესტრში ცვლილება შევიდა და რეგისტრაციაში გატარდა ცეკავშირის გამგეობა მეოთხე კასატორის თავმჯდომარეობით. რეგისტრაციას საფუძვლად დაედო თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.04.2006 წლის განჩინება, სააღსრულებო ბიუროს 05.02.2008 წლის წერილი, 29.01.2008 წლის სააღსრულებო ფურცელი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 11.06.2008 წლის ბრძანება.

7. ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 27 ივნისის (№...) ბრძანებით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც 27.06.2008 წლის სადავო ბრძანება) ცვლილება შევიდა ცე-

კავშირის სამეწარმეო რეესტრში, კერძოდ, რეგისტრაციაში გატარდა გამგეობის ახალი შემადგენლობა მეოთხე კასატორის თავმჯდომარეობით.

8. შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 10 სექტემბრის (№...) ბრძანებით მოსარჩელისა და პირველი მოადგილის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 23.06.2008 წლის სადავო ბრძანება, ხოლო საჩივარი 27.06.2008 წლის სადავო ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 14 ნოემბრის (№...) ბრძანებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელისა და პირველი მოადგილის საჩივარი, ხოლო მეოთხე კასატორის საჩივარი დაკმაყოფილდა, კერძოდ, ბათილად გამოცხადდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2008 წლის 10 სექტემბრის ბრძანების ის ნაწილი, რომელიც 23.06.2008 წლის სადავო ბრძანების ბათილად ცნობას ეხებოდა.

10. ცეკავშირის 23-ე მონვევის მე-14 კრების 2008 წლის 18 თებერვლის დადგენილებით (შემდეგში მოხსენიებული, როგორც 18.02.2008 წლის კრების ოქმი) გაუქმდა 2006 წლის 03 თებერვლიდან 2008 წლის 08 თებერვლამდე მიღებული ცეკავშირის 23-ე მონვევის საბჭოს მე-12 და მე-13 კრების ყველა გადაწყვეტილება, უფლებამოსილება შეუწყდა მოსარჩელესა და გამგეობის შემადგენლობას, კოოპერატივის კრებამ დაადასტურა გამგეობისა და მისი თავმჯდომარის – მეოთხე კასატორის უფლებამოსილება. ასევე, ცეკავშირის 24-ე ყრილობისა და 24-ე მონვევის საბჭოს პირველი კრების 2008 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით (შემდეგში მოხსენიებული, როგორც 16.05.2008 წლის კრების ოქმი), არჩეულ იქნა ცეკავშირის გამგეობის ახალი შემადგენლობა, ხოლო მის თავმჯდომარედ – მეოთხე კასატორი.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით თავმჯდომარის პირველი მოადგილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 18.02.2008 წლისა და 06.05.2008 წლის კრების ოქმები გ. გ-ს გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის ნაწილში. თავმჯდომარის პირველი მოადგილე აღდგა მითითებულ თანამდებობაზე. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

**12. 2011 წლის 12 აპრილს, მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელი წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე) წინააღმდეგ და მოითხოვა:**

12.1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 14 ნო-



ემბრის №... ბრძანების ბათილად ცნობა მოსარჩელის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და მეოთხე კასატორის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;

12.2. შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 10 სექტემბრის №... ბრძანების ბათილად ცნობა 27.06.2008 წლის სადავო ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ;

12.3. 23.06.2008 წლის სადავო ბრძანების ბათილად ცნობა;

12.4. 27.06.2008 წლის სადავო ბრძანების ბათილად ცნობა;

12.5. ზემოხსენებული ბრძანებების საფუძველზე სამენარმეო რეესტრში შესული ცვლილებების რეგისტრაციის გაუქმება და მანამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა.

13. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და განმარტა, რომ ცვლილებები სამენარმეო რეესტრში საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა.

14. სარჩელი არ ცნეს მოსარჩელის მიერ საქმეზე მესამე პირებად დასახელებულმა ფინანსთა სამინისტრომ და შემოსავლების სამსახურმა და განმარტეს, რომ სადავო ბრძანებები კანონმდებლობის ნორმათა სრული დაცვით იყო მიღებული და არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია საქმეზე მესამე პირად დასახელებულმა მოქმედმა თავმჯდომარემაც.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5<sup>-ე</sup> მუხლი და ამავე კანონის სადავო პერიოდისათვის მოქმედი 5<sup>-ე</sup>, 5<sup>6</sup>.3, 5<sup>3</sup>-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 180-ე მუხლი და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, 20<sup>1</sup>-ე მუხლები.

**16. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

16.1. სასამართლომ 18.02.2008 წლის კრების ოქმი სადავო რეგისტრაციის კანონიერების დამადასტურებელ დოკუმენტად მიიჩნია. აპელანტის მტკიცებით, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია რეგისტრაციის კანონიერების დადასტურების მცდელობა იმ დოკუმენტზე დაყრდნობით, რომელიც სადა-

ვო ცვლილებების რეგისტრაციისას ადმინისტრაციულ ორგანოში საერთოდ არ წარუდგენიათ და, შესაბამისად, არც რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენდა. მითითებული ოქმი რეგისტრაციის საფუძველი რომ ყოფილიყო, მოსარჩელე, ჯერ კიდევ, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ყურადღებას სწორედ ამ ოქმის უკანონობაზე გაამახვილებდა;

16.2. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ახლანდელი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით გამგეობის სხდომა 2008 წლის 29 იანვარს ჩატარდა, ამ დროისათვის სამენარმეო რეესტრში ცეკავშირის კანონიერი გამგეობა რეგისტრირებული იყო მოსარჩელის ხელმძღვანელობით. სწორედ გამგეობის მითითებულ სხდომაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება საბჭოს 2008 წლის 18 თებერვალს მონვევის შესახებ. აპელანტის მოსაზრებით, 18.02.2008 წლის კრების ოქმი წარმოადგენდა არაუფლებამოსილი პირების მიერ ცეკავშირის საბჭოს სახელით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელსაც იურიდიული ძალა არ გააჩნდა. თავად სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია გარემოება, რომ მეოთხე კასატორის ხელმძღვანელობით ცეკავშირის გამგეობა პირველად 2008 წლის 8 თებერვალს დარეგისტრირდა. აპელანტის მითითებით, საქმის მასალებით, ასევე დასტურდებოდა, რომ აღნიშნული რეგისტრაციის ბათილობის მოთხოვნით ცეკავშირის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა, რომლის საფუძველზეც შემოსავლების სამსახურის 15.02.2008 წლის ბრძანებით 2008 წლის 8 თებერვლის რეგისტრაციის მოქმედება შეჩერდა, ანუ უფლებამოსილება შეუჩერდათ მეოთხე კასატორსა და მისი ხელმძღვანელობით გამგეობას. 2008 წლის 10 აპრილს შემოსავლების სამსახურის №... ბრძანებით კი, 2008 წლის 08 თებერვლის ბრძანება საერთოდ ბათილად იქნა ცნობილი, რაც ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 11.06.2008 წლის №... ბრძანებით და შემდგომში აღარ გასაჩივრებულა. ამის შემდეგ, მეოთხე კასატორის ხელმძღვანელობით გამგეობის რეგისტრაცია განხორციელდა 2008 წლის 23 ივნისს, რაც განსახილველი დავის საგანს წარმოადგენდა. ამდენად, აპელანტის მტკიცებით, საქმის მასალებით უდავოდ დასტურდებოდა, რომ 2008 წლის 23 ივნისამდე მეოთხე კასატორსა და მის გამგეობას, თუნდაც ფორმალური ნიშნით, ცეკავშირის გამგეობის სახელით მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნდათ;

16.3. მოსარჩელე აპელირებდა, რომ სასამართლომ 2010 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება მტკიცებულებად არ მიიჩნია და ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები შეფასების გარეშე და-

ტოვა, კერძოდ, გადანყვეტილებით დადასტურებული გარემოება, რომ 2008 წლის 18 თებერვლის კოოპერატივის საბჭოს კრება მოინვიეს და ჩაატარეს არაუფლებამოსილმა პირებმა. მითითებულ საქმეში მოპასუხის სტატუსით მონაწილეობდა მეოთხე კასატორი და მისი შესაგებლის არგუმენტაცია ფაქტობრივად წინამდებარე დავაში მისი შედავების იდენტიურია;

16.4. აპელანტის მითითებით, მართალია, მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის სახით 2008 წლის 18 თებერვლისა და 16 მაისის ოქმების ბათილობა არ მოუთხოვია, თუმცა, სარჩელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი საფუძველი სწორედ ის იყო, რომ აღნიშნული დადგენილებები წარმოადგენდა არაუფლებამოსილი პირების მიერ მიღებულ გადანყვეტილებებს, რომელთაც იურიდიული ძალა არ გააჩნდა. აპელანტის მტკიცებით, იგი, როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ისე სარჩელის ფარგლებში, 2008 წლის 18 თებერვლისა და 16 მაისის ოქმებს, როგორც იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტებს, სადავოდ ხდიდა. ამასთან, მიიჩნევდა, რომ მათი ბათილად ცნობისათვის საჭირო არ იყო დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის დაყენება, რადგან მითითებული გადანყვეტილებები იმავეთვე იურიდიული ძალის არმქონე იყო.

**17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის გადანყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადანყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება, რომლითაც სადავო ბრძანებები გაუქმდა, ხოლო მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ რეგისტრაცია.**

17.1. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები ბათილი იყო, ვინაიდან ისინი ეფუძნებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 აპრილის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე განჩინების არასწორ განმარტებას;

17.2. პალატამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების უპირობო სამართლებრივ შედეგად მიიჩნია ცეკავშირის გამგეობისა და მისი თავმჯდომარის იმ მდგომარეობით რეგისტრაცია, რაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამდე არსებობდა, მაშინ, როდესაც აღნიშნული მდგომარეობა ცეკავშირის საბჭოს 10.03.2006 წლის გადანყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ეტაპზე უკვე შეცვლილი იყო – არსებობდა გამგეობის ახალი შემადგენლობა და ახალი თავმჯდომარე

– მოსარჩელე; ამასთან, არც უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე გამოტანილი 2006 წლის 7 აპრილის განჩინება და არც ამავე განჩინების საფუძველზე გაცემული 2008 წლის 29 იანვრის საალსრულებო ფურცელი არ შეიცავდა დათქმას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე;

17.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 23.06.2008 წლის სადავო ბრძანებას საფუძველად არ ედო 18.02.2008 წლის კრების დადგენილება, რის გამოც სადავოდ გამხდარი ბრძანების კანონიერებას 2008 წლის 18 თებერვლის დადგენილებაზე დაყრდნობით ვერ შეაფასებდა. თუმცა, პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული დადგენილება რომც ყოფილიყო რეგისტრაციის შესახებ სადავო ბრძანების ერთ-ერთი საფუძველი, მაინც ვერ გახდებოდა ბრძანების ნამდვილობის წინაპირობა, ვინაიდან 2008 წლის 18 თებერვლის დადგენილება მიღებული იყო ცეკავშირის არაუფლებამოსილი თავმჯდომარისა და არაუფლებამოსილი გამგეობის მიერ მოწვეულ კრებაზე. 2008 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით 2008 წლის 8 თებერვლის ბრძანება, რომლითაც მეოთხე კასატორისა და გამგეობის შემადგენლობა დარეგისტრირდა, შეჩერებული იყო 2008 წლის 15 თებერვლის ბრძანებით, რაც, საბოლოოდ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 11.06.2008 წლის ბრძანებით;

17.4. პალატამ ბათილად ცნო 27.06.2008 წლის სადავო ბრძანებაც, ვინაიდან მიიჩნია, რომ 2008 წლის 27 ივნისის რეგისტრაციას საფუძველად ედო 16.05.2008 წლის კრების ოქმი, რომელიც არაუფლებამოსილი სუბიექტების მიერ მოწვეულ და ჩატარებულ ყრილობაზე (საბჭოზე) იყო მიღებული. ვინაიდან იმ დროისათვის 2008 წლის 8 თებერვლის ბრძანება, რომლითაც მეოთხე კასატორისა და გამგეობის შემადგენლობა დარეგისტრირდა, შეჩერებული იყო 2008 წლის 15 თებერვლის ბრძანებით, რაც საბოლოოდ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 11.06.2008 წლის ბრძანებით. ამ დროისათვის არსებობდა საბჭოს 10.02.2006 წლის კრებაზე არჩეული გამგეობის ახალი შემადგენლობა და გამგეობის ახალი თავმჯდომარე – მოსარჩელე, შესაბამისად, არც მეოთხე კასატორი და არც ახალი გამგეობა უფლებამოსილი არ იყო მოეწვია და ჩატარებინა ყრილობა, სულ მცირე, 2008 წლის 23 ივნისამდე. პალატამ მიუთითა, რომ ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება, სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში, მრავალმხრივ გარიგებად განიხილებოდა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში მოხსენიებული, როგორც სსკ-ის) 54-ე მუხლის შესაბამისად, როგორც კანონსაწინააღმდეგო, ბათილი იყო; ბათილი გარიგების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია კი – უკანონო. გარ-

და აღნიშნულისა, პალატამ მიიჩნია, რომ 16.05.2008 წლის ყრილობა წესდების შესაბამისად არ ჩატარებულა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აღნიშნულ ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებებით ვერ გასწორდა ის ფორმალურსამართლებრივი ხარვეზი, რაც მის მოწვევასთან იყო დაკავშირებული;

17.5. პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება, რომ მოსარჩელეს 2008 წლის 18 თებერვლისა და 16 მაისის ოქმები არ გაუსაჩივრებია, რის გამოც ამავე ოქმების საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციის ბათილობა დაუშვებელი იყო, პალატამ არ გაიზიარა და განმარტა, რომ 2008 წლის 18 თებერვლის კრების ოქმისა და 2008 წლის 16 მაისის კრების ოქმის კანონსაწინააღმდეგო ხასიათის მტკიცება წარმოადგენდა ამავე ოქმების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის წინაპირობას, რისთვისაც დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა აუცილებელი არ იყო;

17.6. პალატამ მოსარჩელის მოთხოვნა, 2008 წლის 8 თებერვლამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის თაობაზე, იურიდიულად დასაბუთებულად მიიჩნია, თუმცა გაითვალისწინა იმ მესამე პირთა ინტერესებიც, რომლებიც მოსარჩელები არ ყოფილან და განმარტა, რომ რეგისტრაციას ექვემდებარებოდა მხოლოდ მოსარჩელე, როგორც გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სხვა მესამე პირებიც მოისურვებდნენ 10.03.2006 წლის გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლების საფუძველზე რეგისტრაციის აღდგენას, მათ უფლების სარეალიზაციოდ მარეგისტრირებელ ორგანოსთვის უნდა მიემართათ;

17.7. 2008 წლის 8 თებერვლამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისათვის, პალატამ კრების 2006 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საკმარისად მიიჩნია და განმარტა, რომ 2008 წლის 7 თებერვლის შემდეგ ყოველი ახალი რეგისტრაცია, რომლის საფუძველიც მოცემული სამართალწარმოების ფარგლებში სადავოდ არ გამხდარა, ხელს ვერ შეუშლიდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ვინაიდან სადავოდ ქცეული ადმინისტრაციული აქტების ბათილობის შედეგად რეგისტრაციის საფუძველი, 10.03.2006 წლის კრების გადაწყვეტილება, ნამდვილი იყო და რეგისტრაციას ექვემდებარებოდა. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ამის შემდეგ მიღებული ყველა რეგისტრაცია დაქვემდებარებული გარეგნობა იმთავითვე ბათილი იყო.

**18. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხემ და მესამე პირებმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით, შემ-**

### **დეგ გარემოებებზე მითითებით:**

18.1. პირველი კასატორი (მოპასუხე) მიიჩნევს, რომ რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციის ბათილობა არ იწვევს მის საფუძვლად არსებული მრავალმხრივი გარიგების ბათილობას, მეტიც, ამგვარი გაუბათილებელი გარიგება ყოველთვის ხელახალი რეგისტრაციის საფუძველია; შესაბამისად, აუცილებელია რეგისტრაციის საფუძვლად არსებული სამოქალაქო გარიგებების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის სახით წარდგენა და მათი ბათილობის მოთხოვნა, რომელთა ნამდვილობა სარჩელზე მოპასუხედ დასახელებულმა ცეკავშირმა უნდა ამტკიცოს, რადგან კასატორი მიიჩნევს, რომ მითითებული მარეგისტრირებული ორგანოს მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას არ წარმოადგენს;

18.2. პირველ კასატორის მტკიცებით, მოსარჩელეს წარდგენილი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესი არა აქვს, რადგან სასაპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის ცეკავშირის სარეგისტრაციო მონაცემებში ბოლო ცვლილების რეგისტრაციის საფუძველი 2013 წლის 20 სექტემბერს ცეკავშირის საბჭოს კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებია. არც აღნიშნული გადაწყვეტილებები და არც მანამდე სხვა რეგისტრაციადაქვემდებარებული გარიგებები ცალკე გასაჩივრებული არ არის, რაც, პირველი კასატორის მოსაზრებით, 2008 წლის 8 თებერვლამდე რეგისტრირებული მონაცემების საფუძვლის აღდგენისათვის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს;

18.3. მეორე კასატორმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებაზე მიუთითა და დამატებით განმარტა, რომ საგადასახადო ორგანომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, ყველა ფაქტისა და გარემოების სრულად გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობს სადავო ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი;

18.4. მესამე კასატორი მიიჩნევს, რომ მხარემ მარეგისტრირებულ ორგანოში წარადგინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება, რომლის შესრულებაც ადმინისტრაციული ორგანოსათვის სავალდებულო იყო. მასზე თანდართული დოკუმენტები კი პასუხობდა იმ პერიოდში მოქმედ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 08.05.2008 წლის №... ბრძანებით დამტკიცებულ, ინსტრუქციის ნორმებს. მესამე კასატორის მტკიცებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ მართებულად მიიჩნია, რომ არ არსებობდა რეგისტრაციაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი;

18.5. მეოთხე კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე და მიიჩნევს, რომ სასამართლომ კოოპერაციის დამფუძნებლისა და ლეგიტიმურად არჩეული გამგეობის კანონიერი ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მათი საქმეში მონაწილეობის გარეშე მიიღო;

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით, საკასაციო საჩივრები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

20. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დასაბუთებულია, კერძოდ, არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

21. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

22. განსახილველ შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგი, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს (სანარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის გაუქმება და ამ ცვლილებების რეგისტრაციამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა), გამომდინარეობს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>1</sup>.1 მუხლის (მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კო-

დექსით განსაზღვრული სუბიექტების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, ასევე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემები), „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5<sup>1</sup>.1, 5<sup>1</sup>.2, 5<sup>1</sup>.3 მუხლებისა (საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს. ტერმინი „დაინტერესებული პირი“ ამ კანონში გამოიყენება „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით; საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება; საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება გულისხმობს საწარმოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესის, გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმისწარმოების დაწყებისა და შეწყვეტის, ლიკვიდატორის, მეურვის, რეაბილიტაციის მმართველის ან გაკოტრების მმართველის, ასევე, სარეგისტრაციო დოკუმენტის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვას მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში) და სსკ-ის 408.1 მუხლის (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) დანაწესებიდან. ამ ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღწევად აუცილებელი წინაპირობების შემოწმებამდე სასამართლომ, პირველ რიგში, მოპასუხეთა სათანადოობის საკითხი უნდა გამოიკვლიოს, რის თაობაზეც, მოცემულ შემთხვევაში, მეოთხე კასატორიც აპელირებს, კერძოდ, იგი მიიჩნევს, რომ ცეკავშირის საბჭოს კრებაზე მიღებული სადავო გადაწყვეტილებების ბათილობისა და სამენარმეო რეესტრში ცვლილების შეტანის (პირვანდელი ჩანაწერის აღდგენის) თაობაზე დასკვნა სააპელაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებების მიმღები სუბიექტის (ცეკავშირის) მონაწილეობის გარეშე არ უნდა გამოეთქანა.

23. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ 18.02.2008 წლისა და 16.05.2008 წლის ცეკავშირის საბჭოს კრების ოქმების (გადაწყვეტილებების) კანონსაწინააღმდეგო ხასიათის მტკიცებისათვის დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა



აუცილებელი არ არის. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის მიზანია სუბიექტური უფლების მიკუთვნება – სამენარმეო რეესტრში ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ მოსარჩელის რეგისტრაცია. ამდენად, ცეკავშირის სადავო გარიგებების ბათილობა აღნიშნული უფლების დაბრუნების წინაპირობად უნდა განვიხილოთ, რის გამოც, გარიგებათა ბათილობის მოთხოვნის გარეშეც, სასარჩელო მოთხოვნას იურიდიული საფუძველი გააჩნია, თუმცა პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ზემოხსენებული გარიგებების ბათილობის საფუძვლად მითითებული გარემოებების გამაქარწყლებელი ფაქტების დადასტურება ადმინისტრაციული ორგანოების მტკიცების საგანში შედის. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარიგებების ნამდვილობის თაობაზე დასაბუთებული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება ამ გარიგებათა დამდებ ორგანოს გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული გარიგებების ნამდვილობის შესაფასებლად, პირველ რიგში, სათანადო მოპასუხეთა წრეა დასადგენი. პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე უნდა იმსჯელოს, სარჩელი აღძრულია თუ არა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც პასუხი უნდა აგოს მასზე, კერძოდ, არის თუ არა მარეგისტრირებული ორგანო, როგორც გარიგების კანონის შესაბამისად რეგისტრაციაზე, ისე გარიგების ნამდვილობაზე პასუხისმგებელი პირი.

24. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს მხრიდან სარჩელის წარმატებულობის საკითხის კვლევისას, უპირველესად, პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: ვინ, ვისგან, რას და რის საფუძველზე მოითხოვს? პირველი ორი კითხვა იძლევა პასუხს სათანადო მხარეზე, რომლის შემომწმებაც (ისევე, როგორც შემდგომი საკითხები: მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძველი) სასამართლოს პრეროგატივაა და ორიენტირებულია მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებაზე. სწორედ სათანადო მხარეთა შორის უნდა დადგინდეს ის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომლებიც მტკიცების საგანში შედიან და მიღწეულ იქნეს მართლმსაჯულების მიზანი – კანონიერი და დასაბუთებული გადანყვეტილებით აღიკვეთოს მხარეთა სადავოდ ქცეული უფლების დარღვევა. პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობს მოსარჩელის უფლება, მოპასუხედ დაასახელოს პირი, რომლისგანაც მოითხოვს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვას, თუმცა ამ პრინციპის აბსოლუტურ ბუნებას ზღუდავს სწორი მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობა

და მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას, გამოარკვიოს, როგორც მხარის სათანადოობის საკითხი, ისე იმ პირთა მონვევის აუცილებლობა, რომელთაც შეიძლება, შეეხოს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (სსსკ-ის 85-ე, 86.1, 89-ე მუხლები). ამდენად, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ უნდა იმსჯელოს სათანადო მოპასუხეთა დადგენის თაობაზე, რომელთაც ყველა იმ შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობა ექნებათ, რომელიც მოპასუხეს გააჩნია და მხოლოდ ამის შემდეგ შეაფასოს მოსარჩელის მოთხოვნა (შდრ. სუსგ, ას-1085-1042-2016, 10.05.2017; ას-922-880-2013, 03.10.2014).

25. სსსკ-ის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმის მიხედვით, თუკი უფლება შეიძლება, ეკუთვნოდეს მესამე პირებს, ისინი აუცილებლად უნდა იქნენ საქმეში ჩართულნი მოპასუხეებად, რათა სასამართლოს გადაწყვეტილებით არ შეილახოს მათი ინტერესები. ამასთან, როდესაც სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება, ასეთ შემთხვევაში, სახეზეა სავალდებულო თანამონაწილეობა. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის მიკუთვნებით მოთხოვნას წარმოადგენს სამენარმეო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაცია, კერძოდ, ცეკავშირის თავმჯდომარედ, მეოთხე კასატორის ნაცვლად, მოსარჩელის რეგისტრაცია, რადგან ახლანდელი თავმჯდომარე ბათილი გარიგებების საფუძველზეა რეგისტრირებული. აღნიშნული მოთხოვნა მიმართულია სადავო გარიგებების დამდები სუბიექტის – ცეკავშირის წინააღმდეგ და ასაბუთებს მოსარჩელის პრეტენზიას რეგისტრაციის საფუძველად არსებული ცეკავშირის საბჭოს კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების ბათილობის თაობაზე. ცეკავშირის 23-ე მონვევის მე-14 კრების, ცეკავშირის 24-ე ყრილობისა და 24-ე მონვევის საბჭოს პირველი კრების სადავო გადაწყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილება, თუ მითითებული კრებების წესდების შესაბამისად ჩატარება, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია და მტკიცების განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ცეკავშირს შესაბამისი პროცესუალური სტატუსი ექნება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს აღნიშნულ დავაში მისი სავალდებულო თანამოპასუხის სტატუსით ჩაბმის თაობაზე. ამდენად, თუ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო დაადგენს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სათანადო მოპასუხეა, ასეთ შემთხვევაში, მან უნ-

და იმსჯელოს კოოპერატივის (ცეკავშირის) სავალდებულო თანამოპასუხეობაზეც (მდრ. სუსგ, №ას-655-621-2015, 15.12.2015).

26. მესამე პირების საქმეში ჩაბმის თაობაზე მეოთხე კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, სსსკ-ის 89-ე და 90-ე მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების საქმეში ჩართვა დასაშვებია ორი გზით, კერძოდ, საქმეში მონაწილე ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან თავად იმ პირის შუამდგომლობით, რომელსაც მესამე პირად საქმეში ჩართვა სურს. ამდენად, სასამართლოს ინიციატივით დავაში მესამე პირის ჩართვის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში, დაინტერესებული პირების განცხადების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია, საქმეში ჩააბას მეოთხე კასატორის მიერ დასახელებული მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, თუ დაადგენს, რომ სასამართლოს გადანყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია, შემდგომში გავლენა მოახდინოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ (მდრ. სუსგ, №ას-1017-978-2016, 25.01.2017).

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც ამ განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

28. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და რ. ა-ის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

### აღიარებითი სარჩელი

#### ბანძინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-597-597-2018

30 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საკომლო ჩანანერიდან კომლის ნევრის ამორიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ქ. ს-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორის მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ა-ის, ნ. და ა. ს-ეების (შემდგომში – მოპასუხეები, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეები ან კასატორები) მიმართ და მოითხოვა, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზ-ეების საკომლო ნივთში მოსარჩელის კომლში მოპასუხეების რეგისტრაციის თაობაზე არსებული ჩანანერის გაუქმება და თანმდევი შედეგებით მოპასუხეების ამორიცხვა კომლიდან.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე ოჯახთან ერთად ცხოვრობს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზ-ეებში. ამავე ოჯახში ცხოვრობს მისი შვილი ჯ. ს-ე ოჯახის ნევრებთან ერთად. კერძოდ, ჯ. ს-ე 1998 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ნ. ა-ესთან და მხოლოდ 2000 წლის 1 მარტს დარეგისტრირდა ქორწინება. ქორწინების პერიოდში შეეძინათ ქალიშვილები: ნ. ს-ე (დაბ. 19.. წლის 1.. აგვისტოს) და ა. ს-ე (დაბ. 20...წლის 1... აგვისტოს). 2010 წლის 4 მაისს ჯ. ს-ე და ნ. ა-ე განქორწინდნენ, მიუხედავად ამისა, ნ. ა-ე დღემდე ცხოვრობს მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის ერთ ოთახში. 2017 წელს ქ. ს-ემ მოინდომა ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება, 2017

წლის 1 მარტის ხელვაჩაურის არქივის მიერ გაცემული ცნობით დადგინდა, რომ ხელვაჩაურის რაიონის, შ. თემის საკრებულოს 1986-2000 წლის საკომლო ამონაწერის თანახმად, კომლის უფროსი არის ქ. ს-ე და კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: მეუღლე – ე. ს-ე და შვილები: ლ., მ., ი. და ჯ. ს-ეები, ასევე, კომლში ჩანერილები არიან ჯ. ს-ის ოჯახის წევრები: მეუღლე – ნ. ა-ე და შვილი ნ. ს-ე. საკომლო წიგნში გაკეთებული იქნა აღნიშვნა, რომ 1992 წლის 25 დეკემბერს ლ. ს-ე გადახაზულია, მიწერილია ამოეწერა, გათხოვდა, ხოლო ნ. ა-ეზე მიწერილია 2003 წლის 15 აპრილს. ხელვაჩაურის რაიონის შ-ის თემის საკრებულოს 2001-2006 წლის საკომლო ამონაწერის თანახმად, კომლის უფროსი არის ქ. ს-ე და კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: მეუღლე – ე. ს-ე, შვილები: მ. ს-ე, ი. ს-ე, ჯ. ს-ე, მისი მეუღლე ნ. ა-ე და შვილები: ნ. და ა. ს-ეები. საკომლო წიგნში გაკეთებულ იქნა აღნიშვნა, რომ 1998 წელს მ. ს-ე გათხოვდა, ხოლო, ჯ. ს-ე 2005 წლის 17 ნოემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა უგზო-უკლოდ დაკარგულად. კომლის მესაკუთრეს წარმოადგენს ქ. ს-ე და მისი ოჯახის წევრები: მეუღლე – ე. ს-ე, ჯ. ს-ე და ი. ს-ე, ხოლო კომლის დანარჩენი წევრები: ნ. ა-ე, ნ. და ა. ს-ეები არ წარმოადგენენ კომლის თანამესაკუთრეებს, ვინაიდან მათი კომლის შემადგენლობაში ჩანერა მოხდა კომლის გაუქმების შემდეგ, კერძოდ, ნ. ა-ე 2003 წელს, ხოლო ნ. და ა. ს-ეები დაბადებიდან – 1999 და 2004 წლებიდან. საკომლო წიგნის ჩანაწერი უფლების დამდგენი საბუთია, იგი განსაზღვრავს პირის მიერ ქონების მართლზომიერ მფლობელობას. ხშირ შემთხვევაში, ქონებაზე თანამესაკუთრეობას და წარმოადგენს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების წარმომშობ დოკუმენტს, მოპასუხეები კანონიერად არ ფლობდნენ და არ სარგებლობდნენ სადავო ქონებით. საკომლო წიგნის ამონაწერი შეიცავს ცნობას, რომ კომლს გააჩნია მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი. მას შემდეგ კი, კომლის არსებობას არ აქვს სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, კომლი წყვეტს არსებობას და კომლის ქონება გარდაიქმნება კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრებად, სადაც თითოეულს თანაბარი წილი ეკუთვნის. საქმეში არსებული მტკიცებულებებით კი დგინდება, რომ მოპასუხეებს სადავო კომლში საკუთრების უფლება არ გააჩნიათ. შესაბამისად, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ისინი წარმოადგენდნენ სამოქალაქო სამართლის კოდექსით (ძველი რედაქციით) გათვალისწინებულ სუბიექტს – საკომლმურნეო კომლის წევრებს, რომლებსაც 1993 წლიდან პირადი საკუთრების უფლება წარმოეშვათ კომლის ქონებაზე.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხებებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა კომლის წევრობიდან მისი და მისი შვილების ამორიცხვაზე მიმართულია იმისკენ, რომ ქ. ს-ემ დაირეგისტრიროს საკუთრებაში მთლიანი ქონება და შემდგომში არასრულწლოვან შვილებთან ერთად გამოასახლონ მოპასუხეები, რომელთაც სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ, მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგულად შრომობდა ამ ოჯახში და ადრიდანვე, როცა მისი ყოფილი მეუღლე, მოსარჩელის შვილი – ჯ. ს-ე წავიდა სახლიდან და შემდგომში აღიარებული იქნა უგზო-უკვლოდ და კარგულად, იგი შვილებთან ერთად აპირებდა მამისეულ სახლში დაბრუნებას, თუმცა მოსარჩელემ არ გაუშვა და შეჰპირდა, რომ შეუქმნიდა ყველა პირობას ნორმალური ცხოვრებისათვის. ჯ. ს-ის საქართველოში დაბრუნების შემდგომ, 2010 წელს მეუღლეები განქორწინდნენ, თუმცა, ქონებაზე არ უდავიათ, რადგან კომლის სხვა წევრებმა ურთიერთშეთანხმებით გამოუყვეს მოპასუხეებს საცხოვრებელი ფართი, სადაც ზრდის შვილებს და ფაქტობრივად ირიცხება ცალკე კომლად, აქვს თავისი ელექტრო მრიცხველი, ცალკე იხდის გადასახადებს და აქვს ცნობა, რომ წარმოადგენს ცალკე კომლს. რაც შეეხება მოპასუხეთა კომლში ჩანერას, ის თავისი ნებით განახორციელეს ქ. და ჯ. ს-ეებმა, შესაბამისად, ყველა ქმედება განხორციელდა კანონიერად და ჩანანერის გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზ-ეების საკომლო წიგნში, ქ. ს-ის კომლში ნ. ა-ის, ნ. ს-ის და ა. ს-ის ჩანანერი კომლში რეგისტრაციის თაობაზე თანმდევი შედეგით და ამოირიცხნენ ისინი ხელვაჩაურში, სოფელ ზ-ეებში ქ. ს-ის კომლის წევრობიდან.

## **6. კასატორების მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ხოლო, ქ. ს-ის სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული შემდეგი გარემოებების გამო:

**1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი. ვიდრე პალატა საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამოწმებდეს, ყურადღებას საკასაციო სამართალწარმოების რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე გაამახვილებს:

1.1.1. საკასაციო წესით მართლმსაჯულების განხორციელებისას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება ორი მიმართულებით, კერძოდ: სასამართლო, უპირველესად ამოწმებს, ხომ არ ვლინდება გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში, ხოლო, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეფასებას ექვემდებარება კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობა, ამ გარემოებათა ჩამონათვალი კი, რეგლამენტირებულია ამავე კოდექსის 393-ე მუხლში.

1.1.2. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, ისე – სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მათი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

1.2. საკასაციო პალატა მიუბრუნდება განსახილველ საკითხს, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის კვლევას შეეხება. უნდა ითქვას, რომ სარჩელის ინსტი-

ტუტის საპროცესო კლასიფიკაციას თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი იძლევა და, დოქტრინაში განვითარებული შეხედულების თანახმად, ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია. აღიარებითი სარჩელის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სარჩელი შეიძლება, აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. აღიარებითი სარჩელი, ბუნებრივია, სრულად უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ-შინაარსობრივ მოთხოვნებს, თუმცა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით დაწესებულია დამატებითი მოთხოვნა ამ ტიპის სარჩელებისათვის – იურიდიული ინტერესი, რომელსაც სასამართლო სარჩელის დასაშვებობისას ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ამონებებს, ხოლო, დაშვების შემთხვევაში, სწორედ ამ ინტერესის ნამდვილობაზე დამოკიდებული სარჩელის წარმატებულობა. გასათვალისწინებელია, რომ დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემონმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, რა დროსაც პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას? იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურსამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს განეკუთვნება შემდეგი:

- ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში;
- ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომა-



ვალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;

გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

1.2.1. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანია, გაირკვეს, ხომ არ არსებობს სხვა ტიპის სარჩელის აღძვრის წინაპირობები, რადგან ამგვარი წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელე ვერ შეძლებს თავისი ნამდვილი მიზნის (უფლების დაცვის) აღიარებითი სარჩელით მიღწევას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, საფუძველს აცლის აღიარებით მოთხოვნას. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, საპროცესო ეკონომიის პრინციპი, რომელიც უფლების რეალური დაცვის ხელშეწყობის საშუალებაა და ემსახურება იმას, რომ დარღვეული უფლების დაცვა მხარემ ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უზრუნველყოს.

1.2.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე (იხ. სუსგ დიდი პალატის გადანყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი) განმარტა შემდეგი: აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი რამ სასამართლომ გადანყვეტილებით აღიაროს, მაგალითად: მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს, ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბიექტური ხასიათისაა და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. სუსგ-ები №ას-937-887-2015, 10.11.2015; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308, 2016, 03.06.2016წ.; №ას-407-

390-2016, 10.06.2016წ; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

1.3. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ აღიარებოდა სარჩელის იურიდიულ ინტერესად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელეს შეუძლია საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ხოლო მოპასუხეთა კომლის წევრობიდან ამორიცხვა დაუკავშირა იმ გარემოებას, რომ მათი ჩანერა 1993 წლის შემდგომ განხორციელდა.

1.4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების საფუძველზე, 1993 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არსებული კოლმეურნეობების ლიკვიდაცია მოხდა და ამ დღიდან, საქართველოში არსებული ყველა საკოლმეურნეო კომლი გაუქმდა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის 1964 წლის კოდექსის 125-ე, 128-ე, 129-ე მუხლების საფუძველზე ლიკვიდირებული საკოლმეურნეო კომლის ქონების მესაკუთრეები გახდნენ ამ კომლის წევრები, თანაბარი წილის უფლებით. ასეთ ვითარებაში, თუკი მოსარჩელეს სურს ინდივიდუალური საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, მას ბუნებრივია ეს საკითხი სრულად შეუძლია მოაგვაროს მარეგისტრირებელ ორგანოში, რომლისთვისაც კარგადაა ცნობილი ზემოხსენებული საკანონმდებლო დანაწესები, გარდა ამისა, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელე არ კარგავს უფლებას, სასამართლო წესით მოითხოვოს ქონებაზე საკუთრების უფლება, ამასთანავე, მნიშვნელოვანია ასევე ვინდიკაციური სარჩელის ინსტიტუტიც, რამდენადაც თუკი მესაკუთრე დაამტკიცებს, რომ მფლობელს არ გააჩნია ნივთის ფლობის მართლზომიერი უფლება ან შეუწყდა იგი, მას შეუძლია მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. რაც შეეხება ინდივიდუალური საკუთრების მოპოვების მიზანს, სადავო ჩანაწერის ბათილად ცნობის სარჩელით ეს მიზანი არ მიიღწევა, თავის მხრივ, სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის იმპერატიული შეზღუდვიდან გამომდინარე, ვერ გასცდება სასარჩელო მოთხოვნას და ვერ მიაკუთვნებს მხარეს იმას, რაც არ უთხოვია, ან იმაზე მეტს, ვიდრე ის მოითხოვდა. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ აღიარებითი სარჩელი, განსახილველ შემთხვევაში, დაუშვებელია.

1.5. საკასაციო პალატა, საკითხის სრულყოფის მიზნით მოიშველიებს „აღამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციას, რომლის მე-6 მუხლით რეგულირებულია სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია. კონვენციის აღნიშნული დათქმა, ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, ექ-

ვემდებარება ფართო განმარტებას და არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტურ და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება. (საქმეზე: *Apostol v. Georgia*; §37; ასევე, *Hornsby v. Greece*, §40 ევროსასამართლომ განმარტა, რომ საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე, იმ საკითხზე, თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად, შესაძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. იხ. ასევე: (*IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia*, §42; *Burdov v. Russia*, §34; *Hornsby v. Greece*, §40).

1.6. მოხმობილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და, მართალია, ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემონიშნებაზე მასშია საუბარი, თუმცა ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი) იმ შემთხვევისათვის, როდესაც ვლინდება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (იხ. სუსგ №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კასატორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით  
და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ა-ის, ნ. და ა. ს-ეების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკ-  
მაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-  
ქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება,  
ასევე, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 12 სექ-  
ტემბრის გადაწყვეტილება და ქ. ს-ის სარჩელი ნ. ა-ის, ნ. და ა. ს-  
ეების მიმართ საკომლო ჩანაწერიდან კომლის წევრის ამორიცხვის  
თაობაზე დარჩეს განუხილველად.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-  
ჩივრდება.

# ალიარაბიტი სარჩალი

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1490-2018

17 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ქმედების დავალდებულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ნ. შ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან კასატორი) და ნ., ნ., ნ., რ. და პ. შ-ძეები (შემდეგში ტექსტში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხეები, აპელანტები ან მონინალმდევე მხარეები) ქედის რაიონის სოფელ ... ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ.

2. 5002 კვ.მ ფართის უძრავი ქონება, ს/კ-ით №... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელის საკუთრება, პირველი უძრავი ქონება, პირველი უძრავი ნივთი ან პირველი მიწის ნაკვეთი) მოსარჩელის, ხოლო, 2501 კვ.მ ფართის უძრავი ნივთი, ს/კ-ით №... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხეთა საკუთრება მეორე უძრავი ნივთი, მეორე უძრავი ქონება ან მეორე მიწის ნაკვეთი) მოპასუხეთა საკუთრებაა. მხარეებმა მიწის ნაკვეთის მონაცემები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე, საჯარო რეესტრი ან სააგენტო) 2011 და 2015 წელს დააზუსტეს.

3. მეზობელი მიწის ნაკვეთები გამიჯნულია ლობით, რომელიც მოპასუხეთა კუთვნილ მიწის ნაკვეთზეა განთავსებული.

4. ინდ. მენარმე ლ. ჭ-ძემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ინდ. მენარმე) მოსარჩელის დაკვეთით, 2016 წლის 30 აგვისტოს მოსარჩელის მიწის ნაკვეთის ახალი ნახაზი შეადგინა, რომლის მიხედვითაც, ნაკვეთებს შორის არსებული ლობე, ანუ, მოპასუხეთა კუთვნილი ნაკვეთის ნაწილი მოსარჩელის ნაკვეთის ფარგლებში მოექცა.

5. მოსარჩელემ საჯარო რეესტრს განცხადებით მიმართა და ახალი ნახაზის საფუძველზე მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის კონფი-

გურაციის ცვლილება მოითხოვა, თუმცა აღნიშნულ განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა. აღნიშნული გადანყვეტილება მოსარჩელემ საჯარო რეესტრში ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა. საჯარო რეესტრის 2017 წლის 19 იანვრის გადანყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი უარყოფილ იქნა.

**6. 2017 წლის 13 თებერვალს მოსარჩელემ ადმინისტრაციული სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა:**

6.1. ს.რ.ე.ს-ოს 2017 წლის 10 იანვრის გადანყვეტილების (ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) ბათილად ცნობა;

6.2. მოპასუხეების დავალდებულება საჯარო რეესტრში მათ სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზის ელექტრონულ ვერსიაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რათა აღმოფხვრილიყო ზედდება მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე და განხორციელებულიყო მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია მოსარჩელის მიერ წარდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით.

6.3. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას საკუთრებად რეგისტრირებული ჰქონდა 5002 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, თუმცა, 2016 წლის 30 აგვისტოს განხორციელებული ხელახალი აზომვის შედეგად, მიწის ნაკვეთის რეალური ფართი 4073 კვ.მ აღმოჩნდა, ფართი აზომილ იქნა რეალურად არსებულ საზღვრებში, მაგრამ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ვერ განხორციელდა, გამომდინარე იქიდან, რომ წარდგენილ ნახაზზე ასახულ მიწის ნაკვეთსა და პირველი მოპასუხეების სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის არსებობდა ზედდება. მოსარჩელემ მიმართა საჯარო რეესტრს იმ ჩანაწერის გაუქმებაზე, რომლითაც არასწორად დაურეგისტრირდათ ნაკვეთი პირველ მოპასუხეებს, თუმცა რეესტრმა წარმოება შეწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ნახაზი შედგენილია ზუსტი მონაცემებითა და რეალურად არსებული ღობის გათვალისწინებით, ხოლო მოპასუხეთა მიერ წარდგენილი ნახაზი არასწორია, ეს უკანასკნელები რეესტრში არსებული მონაცემების ნებაყოფლობით შესწორებაზე უარს აცხადებენ.

7. პირველმა მოპასუხეებმა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლთ სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ რეესტრის ჩანაწერი კანონიერია, ნაკვეთის ფართი მოსარჩელემ პირველად მას შემდეგ დააზუსტა, რაც მხარეები მიწის გაყოფაზე შეთანხმდნენ, ამდენად, უძრავი ქონების რეგისტრირებული მონაცემები სწორია და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები არ იკვეთება.

მეორე მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით ასევე არ ცნო სარჩელი. ის ამტკიცებდა, რომ სარეგისტრაციო სამსახურმა, იმ საფუძველით, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები გადაფარვაში იყო მოპასუხეების მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებთან, მიიღო გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ. რადგანაც მოსარჩელემ ვერ აღმოფხვრა წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზი, სარეგისტრაციო სამსახური, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ბ“ პუნქტის დანაწესით, უფლებამოსილი იყო, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიეღო. ამდენად, რეესტრის 2017 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება კანონიერია და მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ ვლინდება.

8. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა ს.რ.ე.ს-ოს 2017 წლის 10 იანვრის №8598 გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე. მოპასუხეებს დაევალიათ შეეტანათ ცვლილება საჯარო რეესტრში მათ სახელზე რეგისტრირებულ მინის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზის ელექტრონულ ვერსიაში, რითაც აღმოიფხვრებოდა ზედდება მოსარჩელის მინის ნაკვეთზე და განხორციელდებოდა მინის ნაკვეთების რეგისტრაცია მოსარჩელის მიერ რეესტრში წარდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.1 და მე-60<sup>1</sup> მუხლები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, მე-2, მე-8, 115-ე და 311-ე მუხლები, ასევე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ და „თ“ ქვეპუნქტები, 3.6, მე-11<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილი, ასევე, 21-ე და 22-ე მუხლები გამოიყენა.

9. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პირველმა მოპასუხეებმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 10 აპრილის განჩინებით, აპელანტთა სააპელაციო საჩივარი განსჯადობით გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გადასაწყვეტი იყო, და ამ ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობდა ად-

მინისტრაციული კანონმდებლობიდან.

**11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი უარყოფილ იქნა.**

11.1. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც სამეზობლო ღობეა განთავსებული, პირველი მოპასუხეების საკუთრებაა. აღნიშნულის საწინააღმდეგო რაიმე მტკიცებულება მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია, შესაბამისად, მოსარჩელე არსებითად, მოითხოვდა მოპასუხეთათვის მათი კუთვნილი ქონების ჩამორთმევას, იმ მოტივით, რომ ფაქტობრივად არსებული საზღვარი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს არ ემთხვეოდა;

11.2. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 311-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით განმარტა, რომ სადავო საკადასტრო ნახაზის ელექტრონულ ვერსიაში ასახულია უძრავი ქონების ის მონაცემები, რომელიც პირველ მოპასუხეებს ეკუთვნით და რომელზეც მოსარჩელეს რაიმე უფლება არ გააჩნია. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, და ის პირველი ინსტანციის სასამართლომ უსაფუძვლოდ დააკმაყოფილა.

**12. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:**

12.1. პირველ მოპასუხეთა მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი საკადასტრო ნახაზი შუაზე ჰყოფს მოსარჩელის კუთვნილ დამხმარე შენობა ნაგებობასა და ეზოს. სწორედ ამ ნახაზის გასწორების თაობაზე მიმდინარეობს სასამართლოში დავა და არა სასაზღვრო მიჯნაზე, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა;

12.2. სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ დაასკვნა, რომ მოსარჩელეს საკუთრებაში 5002 კვ.მ ფართი გააჩნია, ახალი საკადასტრო ნახაზით ცალსახად დასტურდება, რომ რეალურად მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი 4073 კვ.მ ფართს შეადგენს;

12.3. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთებს შორის ფაქტობრივად არსებული ღობე მოპასუხეთა კუთვნილ მიწაზეა განთავსებული. ხსენებული ღობე განთავსებულია, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხეთა კუთვნილ მიწის ნაკვეთზე;

12.4. მოსარჩელის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ საჯარო რეესტრში არსებული ელექტრონული საკადასტრო ნახა-



ზი გასწორდეს, რათა მხარეთა უძრავი ნივთები სწორი მონაცემებით დარეგისტრირდეს;

12.5. სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ მოსარჩელე მოპასუხეთაგან მოითხოვს კუთვნილი ქონების ჩამორთმევას, იმ საფუძველით, რომ ფაქტობრივად არსებული საზღვარი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს არ ემთხვევა, დაუსაბუთებელია. ამგვარი მსჯელობით, სასამართლომ მოპასუხეებს ფაქტობრივად მიაკუთვნა მოსარჩელის კუთვნილი დამხმარე შენობა-ნაგებობა, ე.წ. „ნალია“. შესაბამისად, გასაჩივრებული გადანაცვებების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, მოპასუხეებს უფლება აქვთ საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე, ღობის გადატანა მოსარჩელის მხარეს მოითხოვონ, რის შედეგადაც, და ე.წ. „ნალია“ და ეზოს უმეტესი ნაწილი მოპასუხეთა საკუთრებაში დარჩება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელეს რეალურად ჩამოართვა მამისგან დატოვებული ქონება;

12.6. ყურადღება მისაქცევია ის ფაქტი, რომ მოპასუხეებს საკუთრებაში გააჩნიათ 2501 კვ.მ ფართი. იმ შემთხვევაში, თუკი საკადასტრო აზომვითი ნახაზი შესწორდება, მოპასუხეები არ დაკარგავენ საკუთრების უფლებას, მათ კვლავ შეუნარჩუნდებათ 2501 კვ.მ მიწის ფართი;

12.7. ახალი საკადასტრო ნახაზის შესაბამისად, მოპასუხეების როგორც საცხოვრებელი სახლის, ისე დამხმარე ნაგებობების ფაქტობრივი ადგილმდებარეობა არ შეესაბამება რეალობას. სინამდვილეში, მიწის ნაკვეთზე განთავსებული სახლი და დამხმარე ნაგებობა არასწორად არის ნახაზში ასახული და სწორედ ამ უზუსტობამ გამოიწვია ნაკვეთებს შორის ზედდება;

12.8. ქვედა ინსტანციის სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, ის გასცდა დავის საგანს და მოპასუხეებს მიაკუთვნა ის, რაც მათ კანონით არ ეკუთვნით. დასკვნაში ცალსახად არის მითითებული, რომ მოპასუხეების სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე შენობა ნაგებობის რეალური ადგილმდებარეობა არ შეესაბამება საჯარო რეესტრით დარეგისტრირებულ საკადასტრო აზომვით ნახაზზე არსებულ ადგილმდებარეობას.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 იანვრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩი-

ვარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

15. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (შდრ. სუსგ №ას-15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; სუსგ საქმე №ას-973-1208-04).

ამასთან, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა კანონისმიერი საფუძვლიდან.

#### **16. წინამდებარე სარჩელით, მოსარჩელე მოპასუხეებისგან მოითხოვდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილებების შეტანას.**

16.1. სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის დავას ინვესს არა მარტო საკადასტრო აზომვითი ნახაზი, არამედ, ასევე, სადავო მიწაზე საკუთრების უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელია სწორი დასკვნების გამოტანა საქმეზე მხოლოდ საკადასტრო აზომვითი ნახაზის სისწორის დადგენის გზით.

16.2. მოსარჩელის მითითებით, მოპასუხეებს არასწორი საკადასტრო ნახაზის საფუძველზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით უკანონოდ აქვთ რეგისტრირებული მისი მიწის ნაკვეთის ნაწილი (გადაფარვაში მოყოლილი ფართი).

16.3. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკადასტრო ნახაზში ცვლილების დავალდებულების მოთხოვნით არ მიიღწევა ის იურიდიული შედეგი, რომლის ინტერესიც მოსარჩელეს გააჩნია. მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მიმართულია სადავო მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში თავის საკუთრებად რეგისტრაციისაკენ. ამასთან მიმართებით მნიშვნელოვანია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრმა შეაჩერა და შემდგომში შეწყვიტა მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ახალი ნახაზის მიხედვით, რადგან მისი მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, კერძოდ, მოპასუხეთა საკუთრებაში. ამდენად, უდავოა, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მოპასუხეთა სახელზე.

16.4. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე სადავოდ არ ხდის სადავო ფართის მოპასუხეთა საკუთრებაში რეგისტრაცი-

ის ფაქტს, შესაბამისად, მართოდენ საკადასტრო აზომვით ნახაზში ცვლილებების განხორციელება ვერ გამოიწვევს იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს.

17. მოსარჩელე სადავოდ ხდის მხოლოდ საკადასტრო აზომვითი ნახაზს, რაც თავისი სამართლებრივი მნიშვნელობით წარმოადგენს სარეგისტრაციო წარმოების დაწყების ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) საფუძველს („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი). მითითებული ნორმის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. განცხადებას უნდა ერთვოდეს ინსტრუქციით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

17.1. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკადასტრო აზომვითი ნახაზის განხორციელების სამართლებრივი ნორმები წარმოადგენენ საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლების ერთ-ერთ მარეგულირებელ მექანიზმს, რითაც განისაზღვრება საჯარო რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებები. „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკადასტრო მონაცემები არის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ასახული, მინის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციისა და ადგილმდებარეობის, მასზე არსებული ნაგებობების, მათ შორის ხაზოვანი ნაგებობების, ასევე სერვიტუტის ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლების შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახული ზუსტი ინფორმაცია. აღნიშნული დანაწესი უზრუნველყოფს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის საზღვრის დადგენის რეალიზაციას („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტი). აქედან გამომდინარე, საკადასტრო აზომვითი ნახაზი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ პირობებს, რომლის თანახმად, საკადასტრო აზომვითი ნახაზს თან უნდა ერთვოდეს წერილობითი ინფორმაცია საკადასტრო აღწერის უფლებამოსილი პირის, უძრავი ნივთის და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების აღწერილობისა და დაინტერესებული პი-

რის შესახებ, აგრეთვე, დამსწრეთა და უძრავი ნივთის მოსაზღვრე უძრავი ნივთის (ნივთების) მართლზომიერი მფლობელის ან მესაკუთრის არსებობის შესახებ („საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

17.2. საკადასტრო აზომვითი ნახაზი არ წარმოადგენს უფლების დამდგენ დოკუმენტს. „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტს წარმოადგენს ნორმატიული ანდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, გარიგება ან სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოშობს უძრავ ნივთზე უფლების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. ხსენებული ინსტრუქციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკადასტრო მონაცემები წარმოადგენენ რეგისტრაციის ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) საფუძველს. ამავე ინსტრუქციის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკადასტრო აზომვითი ნახაზი არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი დოკუმენტი და არა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

17.3. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკადასტრო აზომვით ნახაზში უზუსტობის დადგენა არ არის საკმარისი მოსარჩელის მიერ თავისი უფლების რეალიზაციისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ამ უსწორობით უნდა ილახებოდეს მოსარჩელის უფლება, რომლის დაცვას ის უნდა ახორციელებდეს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

17.4. ამდენად, საკადასტრო აზომვითი ნახაზი წარმოადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის ერთ-ერთ აუცილებელ ინფორმაციას, ხოლო მასში სასამართლო გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილებები არ არის საკმარისი მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დასაკმაყოფილებლად, რაც საარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია (საკასაციო პალატის ზემოხსენებული დასკვნები შესაბამისობაშია მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან (შდრ. სუსგ №ას-1648-1545-2012, 06.09.2013წ., №ას-365-347-2013, 11.11.2013).

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

19. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

20. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264.3, 404-ე, 408-ე, 410-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. შ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# აღიარებითი სარჩელი

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1980-2018

28 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმე-  
ბის ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მ-ის“ (შემდეგში – ამხანა-  
გობა) წევრი რ. მ-ძე (შემდეგში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი)  
2007 წლის 11 იანვრის სართო კრების ოქმის საფუძველზე საჯარო  
რეესტრში აღირიცხა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებუ-  
ლი 322.47 კვ.მ სხვენის მესაკუთრედ.

2. ამხანაგობის წევრებმა – მ. დ-ამ, მ. დ-მა, და ე. ბ-ამ (შემდეგში  
– მოსარჩელები) სარჩელი აღძრეს მოპასუხის, ამხანაგობისა და  
ქ. ფ-ძის (შემდეგში – თავდაპირველი მოპასუხეები) წინააღმდეგ  
და მოითხოვეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 11.01.2007 წლი-  
სა და 10.10.2007 წლის კრების ოქმების ბათილად ცნობა.

3. მოსარჩელის მტკიცებით, 2011 წლის 11 მარტს თავდაპირ-  
ველმა მოპასუხემ დაამონა ამხანაგობის ორი კრების ოქმი, რომე-  
ლიც დათარიღდა 2007 წლის 11 იანვრით და 2007 წლის 10 ნოემ-  
ბრით. 2013 წლის 6 დეკემბერს კრების ოქმების საფუძველზე ამხა-  
ნაგობის წევრთა თანასაკუთრებაში არსებული სხვენი დარეგის-  
ტრირდა მოპასუხის საკუთრებად. მოსარჩელეთა მტკიცებით, ამ-  
ხანაგობის წევრთა საერთო კრება საერთოდ არ ჩატარებულა და  
სადავო ოქმები უკანონოდ არის შედგენილი. მოპასუხის მიერ შეც-  
დომამში შეყვანის შედეგად, თავდაპირველმა მოპასუხემ ოქმებს  
ხელი მოაწერა. ამასთან, ეს უკანასკნელი ამხანაგობის თავმჯდო-  
მარე არასდროს არ ყოფილა. სადავო ოქმების ხელმოწერისას ამხა-  
ნაგობის თავმჯდომარე იყო თავად მოპასუხე, ხოლო 2011 წლის 4  
ივლისიდან დღემდე ამხანაგობის თავმჯდომარე არის მ. ს-ძე (შემ-  
დეგში – თავმჯდომარე).

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ მოსარჩელეებს კრების ოქმების ბათილად ცნობასთან მიმართებით იურიდიული ინტერესი არ აქვთ. მისი მტკიცებით, მოსარჩელები კრების ოქმების ჩატარებისას არ იყვნენ ამხანაგობის წევრები, ხოლო მათმა წინამორბედებმა სხვენზე თავიანთი უფლება მოპასუხეს გადასცეს.

5. თავდაპირველმა მოპასუხეებმა სარჩელი ცნეს.

#### **6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა;**

6.1. ბათილად იქნა ცნობილი ამხანაგობის 2007 წლის 11 იანვრის (დამონმებული 11.03.2011 წელს ნოტარიუს თ. დ-ის მიერ რეესტრის №1102...) და 2007 წლის 10 ნოემბრის (დამონმებული 11.03.2011 წელს ნოტარიუს თ. დ-ის მიერ რეესტრის №1102...) კრების ოქმები.

7. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

8.1. სააპელაციო სასამართლომ მითითებით, რამდენადაც სასამართლომ მსჯელობის საგანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობა, უპირველეს ყოვლისა, შესაფასებელია წარმოადგენს თუ არა მოსარჩელე დასახელებული ოქმების ბათილად ცნობის შედეგისადმი დაინტერესებულ პირს.

8.1.2. პალატამ დაადგინა, რომ სადავო ფართი, რომელიც ამხანაგობის საერთო საკუთრება იყო, ამხანაგობის წევრთა საერთო ნების გარეშე განიკარგა. მოსარჩელები კრების ოქმის ბათილად ცნობის იურიდიულ ინტერესად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ კრებები არ მოწვეულა, არ ჩატარებულა კანონის მოთხოვნათა დაცვით და, სადავო კრების ოქმების საფუძველზე, ამხანაგობის საერთო ქონება მოპასუხეს უკანონოდ გადაეცა ინდივიდუალურ საკუთრებაში, რითაც შეიზღუდა მოსარჩელების, ისევე, როგორც ამხანაგობის სხვა წევრთა უფლებები. ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის შემთხვევაში სადავო სხვენი და სარდაფი კვლავ ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებად აღირიცხება. ამდენად, პალატამ დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია კრების ოქმების ბათილობის მოთხოვნასთან მი-



მართებით მოსარჩელეთა კანონიერი იურიდიული ინტერესის არსებობა, ვინაიდან, აღნიშნულმა, შესაძლოა, მომავალში განაპირობოს მოსარჩელეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვა.

8.2. აღნიშნულის შემდგომ, სააპელაციო სასამართლოს შეფასების საგანია აქვს თუ არა იურიდიული ძალა სადავო კრების ოქმებს ანუ აკმაყოფილებს თუ არა კრების ოქმი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, იქნა თუ არა მოწვეული კრება კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

8.2.1. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხემ ვერ წარადგინა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სადავო კრებები მოწვეული იყო და ჩატარდა კანონით დადგენილი წესით. ამხანაგობა შედგებოდა 8 წევრისგან, მოპასუხემ ვერ უზრუნველყო დაესახელებინა მისი 2/3 წევრი, რომელთა მონაწილეობის შემთხვევაშიც, კრება უფლებაუნარიანი იქნებოდა, მიელო გადაწყვეტილება. ამასთან, კრების თავმჯდომარე წარმოდგენილი შესაგებლით სრულად ცნობდა სარჩელს და ადასტურებდა, რომ სადავო კრებები არ ჩატარებულა და მან ოქმს ხელი მოაწერა შეცდომის საფუძველზე. ამდენად, პალატამ დაადგინა, რომ ამხანაგობას 2007 წლის 11 იანვარსა და 10 ნოემბერს კრება არ ჩატარებია, ამხანაგობის წევრები კრების ჩატარების შესახებ ინფორმირებულნი არ ყოფილან და მათ გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

**9. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა.**

9.1. კასატორის მტკიცებით, 1959 წელს მისმა მამამ შექმნა კოოპერატივი, რომელმაც ააშენა კორპუსი. იგი ოჯახთან ერთად სარგებლობდა სხვენით, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ სხვენის ფლობა და სარგებლობა მოპასუხემ გააგრძელა. ეს გარემოება დადასტურდა მეზობლების მიერ სადავო კრებებზე, რაც, თავის მხრივ, ნოტარიუსმა დაადასტურა. ამის შემდეგ მოპასუხემ სადავო სხვენი საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა.

9.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ სადავო კრებები არ ჩატარებულა, არასწორია. სასამართლომ ამ ფაქტის დასადასტურებლად მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა. მიუხედავად ამისა, კრების ჩატარების დასადასტურებლად მოპასუხემ წარმოადგინა სათანადო მტკიცებულებები, რომელიც სასამართლომ არ გაითვალისწინა და დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელეთა

ზეპირსიტყვიერ ახსნა-განმარტებებს.

9.3. რაც შეეხება თავდაპირველ მოპასუხეებს, იკვეთება მათი ინტერესი სარჩელის დაკმაყოფილების მიმართ, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში ისინი მიიღებენ წილს სხვენიდან. ამდენად, სასამართლომ არასწორად დააყრდნო გადაწყვეტილება მათ ახსნა-განმარტებას.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

11. საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. როგორც გასაჩივრებული განჩინება, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12. მოსარჩელეთა მოთხოვნა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 11.01.2007 წლისა და 10.10.2007 წლის კრების ოქმების ბათილად ცნობაა. მითითებული მოთხოვნა აღიარებითი შინაარსისაა. აღიარებითი სარჩელის დასაბუთებულობის შემონმებამდე სასამართლო ვალდებულია, მისი დასაშვებობა შეამოწმოს. მოცემულ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა შეამოწმეს წარდგენილი აღიარებითი სარჩელის დასაშვებობა და მიიჩნიეს, რომ მოსარჩელებს ნამდვილი იურიდიული ინტერესი ჰქონდათ აღიარებითი მოთხოვნის მიმართ, რასაც საკასაციო პალატა არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ წარდგენილი აღიარებითი სარჩელი არ არის დასაშვები შემდეგ გარემოებათა გამო:

13. აღიარებითი სარჩელი მისი დასაშვებობის მიზნებისათვის უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 180-ე მუხლის მოთხოვნებს (სარჩელი შეიძლება, აღიაროს უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს). კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. ამდენად, დასახელებული ნორმით, აღიარებითი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით.

14. აღიარებითი სარჩელის სამართლებრივი ბუნების თაობაზე საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ: მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაც ედავება მას ამ უფლებაში. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი) – საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების არსებობა: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტილებით მხარე გარკვეულ იურიდიულ შედეგს უნდა იღებდეს, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელის აღძვრა ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია, აღიარება მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის ეს უკანასკნელი კრიტერიუმი განპირობებულია საპროცესო ეკონომიისა და სწრაფი მართლმსაჯულების ინტერესებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთი დავის ფარგლებში რამდენიმე სარჩელის აღძვრა. აღიარებითი სარჩელი დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს. მაგალითად: მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ, ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვითმატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიურია და იური-

დიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (შდრ. სუსგ, საქმე №ას-551-522-2015, 14.08.2015; საქმე №ას-937-887-2015, 10.11.2015, ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინების დასკვნები საქმე-ზე ას-121-117-2016).

15. აღიარებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული იურიდიული ინტერესი უნდა იყოს ნამდვილი. სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესი ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ სასარჩელო წესით მოთხოვნა მიღწევადი, ხოლო უფლება რეალიზებადია. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად იურიდიული ინტერესი ვერ მიიღწევა, იურიდიული ინტერესი ნამდვილი არ არის.

16. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი სხვენზე ამხანაგობის წევრთა თანასაკუთრების უფლების აღდგენაა. მითითებულ უძრავ ქონებაზე, სადავო კრების ოქმების საფუძველზე, საჯარო რეესტრში მოპასუხეა რეგისტრირებული. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ სადავო კრების ოქმების ბათილად ცნობით, სადავო სხვენზე მათი თანასაკუთრების უფლება აღდგება, რაც სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადავო კრების ოქმებს ბათილად მივიჩნევთ, მხოლოდ აღნიშნული გარემოება ვერ გახდება საზიარო საგნის თანამესაკუთრეთა საკუთრებაში დაბრუნების საკმარისი საშუალება, ვინაიდან ამისათვის მოსარჩელებმა უნდა აღძვრან შესაბამისი მიკუთვნებითი სარჩელი, რომლის მტკიცების საგანს (და არა – სასარჩელო მოთხოვნას) შეიძლება წარმოადგენდეს ცალკეულ დოკუმენტთა ნამდვილობა. ამდენად, კრების ოქმების ბათილობით მოსარჩელები ვერ მიაღწევენ დასახულ მიზანს. ამ მიზნის მისაღწევად უნდა არსებობდეს სასამართლო გადაწყვეტილება სადავო ქონების ამხანაგობის წევრთათვის მიკუთვნების თაობაზე. რაკი ასეთი მოთხოვნა მოსარჩელებს არ აღუძრავთ, სასამართლო კი, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს ვერ გასცდება (სსსკ-ის 248-ე მუხლი), პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი ვერ მიიღწევა, შესაბამისად, ეს სარჩელი განუხილველად უნდა დარჩეს.

17. აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღების ერთ-ერთი წინაპირობა, როგორც აღინიშნა, იურიდიული ინტერესის არსებობაა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 399-ე, 372-ე მუხლებითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის

თანახმადაც, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემონემაზეა საუბარი, თუმცა ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის 7.2 მუხლი) მაშინ, როდესაც იკვეთება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა. მოცემულ საქმეში ასეთი შემთხვევა ისაა, რომ მოსარჩელებს სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი არ აქვთ. ეს კი, მოსარჩელეთა აღიარებითი სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველია (შდრ. სუსგ №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც მიღებული განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძლიანობის შემონემა შეუძლებელია.

18. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თვისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე, რომლითაც რეგლამენტირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა (მსგავსად საქართველოს კონსტიტუციის 42.1 და სსსკ-ის 2.1. მუხლებისა) ექვემდებარება ფართო განმარტებას და არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტური და რეალური დაცვის კენაა მიმართული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება. ამდენად, მოცემულ საქმეზე, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა

იქნეს დატოვებული, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 187.2, 284-ე, 285-ე,  
408.3 მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განჩინება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეჯის 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. მ. დ-ას, მ. დ-ისა და ე. ბ-ას სარჩელი დარჩეს განუხილველად;
4. რ. მ-ძეს (...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე ჯ. ჭ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის (საგადახდო დავა-  
ლება №7, გადახდის თარიღი 06.12.2018) 70% – 210 ლარი;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-  
რდება.

## 5. სარჩელის უზრუნველყოფა

### განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ა-1741-შ-42-2020

22 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ერემაძე,  
ზ. ძლიერიშვილი

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. მარცვლეულითა და საკვებით ვაჭრობის ასოციაციის (G-A) 11.10.2019წ. გადაწყვეტილებით (საარბიტრაჟო საქმე № 17-810) შპს „გ-ე-ს“ (შემდეგში „საარბიტრაჟო მოპასუხე“) შპს „T. H. M. & B.“-ის (შემდეგში „საარბიტრაჟო მოსარჩელე“) სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 39 000 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე 19.03.2019წ.-დან გადახდის თარიღამდე წლიურად 4%, რომელიც დარიცხულ იქნება 3 თვიანი პერიოდის მქონე რთული პროცენტის სახით. ასევე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ არბიტრაჟის ხარჯები დაეკისროს საარბიტრაჟო მოპასუხეს.

2. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა საარბიტრაჟო მოსარჩელემ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა, ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

3. საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.05.2020წ. განჩინებით საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საარბიტრაჟო მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული შვიდი ერთეული სატრანსპორტო საშუალების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 21.07.2020წ. განჩინებით:

– შუამდგომლობა დაკმაყოფილდა მარცვლეულითა და საკვებით ვაჭრობის ასოციაციის (G-A) 11.10.2019წ. გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ცნობისა და აღსასრულებ-

ლად მიქცევის შესახებ, რომლითაც საარბიტრაჟო მოპასუხეს სა-  
არბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღა-  
ურება 39 000 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე 19.03.2019წ.-დან გა-  
დახდის თარიღამდე წლიურად 4%, რომელიც დარიცხულ იქნება 3  
თვიანი პერიოდის მქონე რთული პროცენტის სახით.

– შუამდგომლობა საარბიტრაჟო მოპასუხისათვის არბიტრაჟის  
ხარჯების დაკისრების ნაწილში მარცვლეულითა და საკვებით ვაჭ-  
რობის ასოციაციის (G-A) 11.10.2019წ. გადაწყვეტილების ცნობისა  
და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, დატოვებულ იქნა განუ-  
ხილველად.

– საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარ-  
გებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 200 ლარის  
ოდენობით. ასევე წარმომადგენლის დანაშაულისათვის განეული  
ხარჯის ანაზღაურება 1 119 აშშ დოლარის ოდენობით, სანოტარო  
მომსახურებისთვის განეული ხარჯი – 109.48 ლარის ოდენობით,  
დამონმებული გადაწყვეტილების მიღებისთვის განეული ხარჯი –  
823.27 ბრიტანული ფუნტის ოდენობით.

5. საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომარ-  
თა საარბიტრაჟო მოპასუხემ და მოითხოვა ამავე სასამართლოს  
29.05.2020წ. განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონის-  
ძიების გაუქმება იმ საფუძვლით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტი-  
ლება აღსრულებულია. 08.02.2021წ. სასამართლოში წარმოდგენი-  
ლი იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სა-  
აღსრულებო ბიუროს წერილი მასზედ, რომ საარბიტრაჟო მოპასუ-  
ხემ სრულად გადაიხადა №ა-1741-შ-42-2020 სააღსრულებო ფურ-  
ცლით გათვალისწინებული თანხა და სააღსრულებო საქმეზე წარ-  
მოება დასრულდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ  
განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

6. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების  
საგანს წარმოადგენს საარბიტრაჟო მოპასუხის განცხადება, რო-  
მელიც მოითხოვს საარბიტრაჟო მოსარჩელის შუამდგომლობის სა-  
ფუძველზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნ-  
ველყოფის მიზნით მის კუთვნილ მოძრავ ქონებაზე საკასაციო სა-  
სამართლოს მიერ დადგენილი შეზღუდვის გაუქმებას იმ საფუძ-  
ვლით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება აღსრულებულია.

7. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგ -  
ში სსსკ) 356<sup>18</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, მხარეთა შორის საარ-



ბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება ამ კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით. ასევე, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლო სსსკ-ის 356<sup>13</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-4 ნაწილის საფუძველზე უფლებამოსილი იყო ემსჯელა საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, შესაბამისად, მისი აღსრულების უზრუნველყოფაზე, იგი ასევე უფლებამოსილია განიხილოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საკითხიც.

8. სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზ-

რუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროების გასვლისთანავე იგი უნდა გაუქმდეს.

9. დადგენილია, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.05.2020წ. განჩინებით შუამდგომლობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საარბიტრაჟო მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული შვიდი ერთეული სატრანსპორტო საშუალების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 21.07.2020წ. განჩინებით:

– შუამდგომლობა დაკმაყოფილდა მარცვლეულითა და საკვებით ვაჭრობის ასოციაციის (G-A) 11.10.2019წ. გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, რომლითაც საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 39 000 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე 19.03.2019წ. -დან გადახდის თარიღამდე წლიურად 4% 3 თვიანი პერიოდის მქონე რთული პროცენტის სახით.

– საარბიტრაჟო მოპასუხეს საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 200 ლარის ოდენობით. ასევე, წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 1 119 აშშ დოლარის ოდენობით, სანოტარო მომსახურებისთვის განეული ხარჯი – 109.48 ლარის ოდენობით, დამონმებული გადაწყვეტილების მიღებისთვის განეული ხარჯი – 823.27 ბრიტანული ფუნტის ოდენობით.

11. შუამდგომლობა საარბიტრაჟო მოპასუხისათვის არბიტრაჟის ხარჯების დაკისრების ნაწილში მარცვლეულითა და საკვებით ვაჭრობის ასოციაციის (G-A) 11.10.2019წ. გადაწყვეტილების ცნო-

ბისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, დატოვებულ იქნა განუხილველად. განუხილველად დატოვების საფუძვლად სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია საარბიტრაჟო მოპასუხისთვის არბიტრაჟის ხარჯების დაკისრების თაობაზე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს მითითებას, კონკრეტულად რა ოდენობის საარბიტრაჟო ხარჯი დაეკისრა მოპასუხეს, რაც ამ ნაწილში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ბუნდოვანს ხდის.

12. საარბიტრაჟო მოპასუხემ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა განცხადებით და მოითხოვა 29.05.2020წ. განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება იმ საფუძვლით, რომ მის მიერ სრულად არის გადახდილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა. 08.02.2021წ. წარმოდგენილ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს წერილი, რომლითაც დგინდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 21.07.2020წ. გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე №ა-1741-შ-42-2020 წარმოებულ სააღსრულებო საქმეზე წარმოება დასრულებულია, ვინაიდან მოვალემ (საარბიტრაჟო მოპასუხემ) სრულად გადაიხადა დაკისრებული დავალიანება აღსრულების საფასურის ჩათვლით.

13. საარბიტრაჟო მოსარჩელე არ ეთანხმება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას იმ საფუძვლით, რომ მას აქვს ინტერესი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოხდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება საარბიტრაჟო ხარჯების საარბიტრაჟო მოპასუხისთვის დაკისრების ნაწილშიც, ანუ იმ ნაწილში, რომლის ცნობის და აღსასრულებლად მიქცევის შუამდგომლობაც განუხილველად იქნა დატოვებული. იგი გეგმავს, უახლოეს პერიოდში კვლავ მომართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს დაზუსტებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის და აღსასრულებლად მიქცევის შუამდგომლობით. იქვე აღნიშნავს, რომ დასჭირდება რამდენიმე კვირა, რათა დედანი დოკუმენტი მარცვლეულითა და საკვებით ვაჭრობის ასოციაციისაგან (G-A) იქნეს მიღებული.

14. პალატა განმარტავს, რომ სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს მაშინ, როდესაც დავის საგანს ესაჭიროება დაცვა. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების და შემდგომ მისი შენარჩუნების მიზანი არის გადაწყვეტილების აღსრულების გართულების ან შეუძლებლობის თავიდან აცილება. იმ პირობებში კი, როდესაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ ვალდებულება შესრულებულია, ანუ წინამდებარე წარმოების ნა-

ნილში მიღებული განჩინება აღსრულებულია, არ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნების ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძველი, რაც მისი გაუქმების წინაპირობაა. უზრუნველყოფის მიზანი მიღწეულია და საკუთრების უფლების შეზღუდვის გაგრძელება გაუმართლებელია.

15. გარდა აღნიშნულისა, ამ ეტაპზე უცნობია (დაუზუსტებელია) რას შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები, რომელთა დაკისრების ნაწილშიც იქნა შუამდგომლობა განუხილველად დატოვებული, შესაბამისად, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს, რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ამ ნაწილში უზრუნველყოფის თანაზომიერ და პროპორციულ ოდენობად. რაც შეეხება საარბიტრაჟო მოსარჩელის ნებას, ახალი განცხადებით/შუამდგომლობით მოითხოვოს ე.წ. დაზუსტებული საარბიტრაჟო გადანაცვლებების ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ასევე მისი უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის კანონიერი ინტერესი. დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, რითაც ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესის რეალიზაცია და მისი სარჩელის უზრუნველყოფა, არ უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის უპირობო და ცალსახა შელახვა, არამედ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მოპასუხე მხარის კანონიერი ინტერესის გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა-შევიწროებით და იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესის დაცულობისთვის. იმისათვის, რომ მოხდეს მხარეთა ინტერესების დაბალანსება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს არაადეკვატური, არათანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

16. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით, სსსკ-ის 284-ე, 285-ე, 191-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „გ-ე-ის“ განცხადება დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.05.2020წ. განჩინებით შპს „გ-ე-ისათვის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი ...) დანესებული მის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ნივთების გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა:

2.1. სახ. № – ..., მოდელი MITSUBISHI PAJERO ..., გ/წ 2000, საიდენტ №/შასი ..., ფერი თეთრი, სარ. მონმ ..., რეგისტრაციის თარიღი 2011-...

2.2. სახ. № – ..., მოდელი MERCEDES-BENZ ..., გ/წ: 2013, საიდენტ. №/შასი ..., ფერი თეთრი, სარ. მონმ. LV0..., რეგისტრაციის თარიღი 2017-05-04;

2.3. სახ. № – ..., მოდელი TIRSAN TSN-MAK-3S-..., გ/წ 2014, საიდენტ №/შასი NNTDAF303..., ფერი რუხი 2/8, სარ. მონმ LV01..., რეგისტრაციის თარიღი 2017-05-04.

2.4. სახ. № – ..., მოდელი SAMRO S ..., გ/წ 2001, საიდენტ №/შასი VK1S..., ფერი რუხი 7/8, სარ. მონმ LV01..., რეგისტრაციის თარიღი 2016-08-22.

2.5. სახ. № – ..., მოდელი MERCEDES-BENZ ..., გ/წ 2007, საიდენტ №/შასი ქ..., ფერი ლურჯი 7/8, სარ. მონმ LV007..., რეგისტრაციის თარიღი 2013-07-16.

2.6. სახ. № – ..., მოდელი SCHMITZ ..., გ/წ 2004, საიდენტ №/შასი WS..., ფერი ყვითელი 3/8, სარ. მონმ. LV007..., რეგისტრაციის თარიღი 2013-07-16;

2.7. სახ. № ..., მოდელი DAF 95.480, გამოშვების წელი 2004, საიდენტ. №/შასი XL..., ფერი თეთრი, სარ. მონმ. LV..., რეგისტრაციის თარიღი 2016-08-22.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სარჩელის უზრუნველყოფით გამონაკვეთი ზარალის ანაზღაურება

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-115-2020

11 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მიქაბერიძე,  
მ. ერემაძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. დ-ძემ (შემდეგში: მოპასუხე, მსესხებელი, მოვალე, კასატორი) 2012 წლის 8 ოქტომბერს ნოტარიულად დამონმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დადო თ. პ-თან (შემდეგში: მოსარჩელე, გამსესხებელი, კრედიტორი). ხსენებულ გარიგებაში მხარეებმა შეიტანეს ცვლილება 2013 წლის 26 აპრილს შედგენილი ხელშეკრულების საფუძველზე და მთლიანობაში განსაზღვრეს, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს 114 260 აშშ დოლარი ასესხა, სესხის ძირითადი თანხის ყოველთვიური 4 პროცენტი სარგებლით, 2013 წლის 26 ივნისამდე.

2. ზემოაღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი, ქ. თბილისში, ... სართულზე მდებარე №48 ბინა (შემდეგში – უძრავი ქონება).

3. 2014 წლის 28 იანვარს კრედიტორის (მოსარჩელე) განცხადების საფუძველზე ნოტარიუსმა სააღსრულებო ფურცელი (შემდეგში – სააღსრულებო ფურცელი) გასცა, რომლითაც აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა შემდეგნაირად განისაზღვრა: სესხის ძირითადი თანხა – 114 260 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო – 2013 წლის 27 ივნისიდან მსესხებლის მიერ ვალდებულების სრულად შესრულებამდე, გადაუხდელი თანხის 0.15%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება აღსასრულებლად მიექცა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის განჩინებით, მოვალის განცხადების საფუძველზე, სააღსრულებო ფურცლის აღსრულება შეჩერ-

და.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სააღსრულებო ფურცელში მითითებული სესხის ძირითადი თანხის (114 260 აშშ დოლარი) დაკისრების ნაწილში ცვლილება შევიდა და სესხის ძირითადი თანხის სახით მოვალის ვალდებულება კრედიტორის წინაშე 90 500 აშშ დოლარით განისაზღვრა. ამავდროულად გადაწყვეტილებით, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

6. გამსესხებელმა სასამართლოში სარჩელი აღძრა მსესხებლის წინააღმდეგ და ზიანის, 20 000 აშშ დოლარის ანაზღაურება მოითხოვა.

6.1. მოსარჩელის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის განჩინებით (მოვალის განცხადების საფუძველზე) შეჩერებული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება 2016 წლის 1 თებერვალს განახლდა. ამის გამო, მოსარჩელემ სესხის სახით გაცემული 90 500 აშშ დოლარი ორი წლის განმავლობაში ვერ დაიბრუნა, რითაც მას ზიანი მიადგა. მოპასუხესთან დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად, ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელე 86 880 აშშ დოლარის სარგებელს მიიღებდა. მიუხედავად ამისა, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას 20 000 აშშ დოლარის ოდენობით მოითხოვდა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს (მსესხებელი) მოსარჩელის (გამსესხებელი) სასარგებლოდ ზიანის ასანაზღაურებლად 20 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ (გამსესხებელი), რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 11 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

9.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (სააღსრულებო წარმოების შეჩერება)

გაუმართლებელი იყო, რაც მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აძლევდა.

9.2. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 199-ე მუხლზე (თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად) და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხემ უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით. მასვე ეკისრება დამდგარი ზიანის და მისი ოდენობის დამტკიცების ტვირთი. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის ცნების ქვეშ, უფლების დროებით შეზღუდვა არ იგულისხმება, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულებაც სწორედ უფლების დროებით შეზღუდვაა (გასხვისების აკრძალვა, ქმედების განხორციელების აკრძალვა, ნივთობრივი უფლებით დატვირთვის აკრძალვა და ა.შ). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის მიყენება გულისხმობს უფლების დაუშვებელ ხელყოფას, როგორცაა მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხე უფლებამოსილია, მოითხოვოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, ანუ ე.წ. უზრუნველყოფის შებრუნება.

9.3. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მართებულად განისაზღვრა 20 000 აშშ დოლარის ოდენობით. მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა გამომდინარეობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 411-ე მუხლიდან (ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც). იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად საალსრულებო წარმოება ორი წლით შეჩერდა, კრედიტორი ზიანის დაანგარიშებისას მინიმალური სარ-



გებლის დაკისრებას, კერძოდ, ძირითადი ვალდებულების 1%-ს ითხოვდა. მოპასუხე თავს მხოლოდ მოთხოვნის უსაფუძვლობასთან მიმართებით იცავდა და ოდენობასთან მიმართებით შედავება არ განუხორციელებია. შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, ასეთ პირობებში ივარაუდება, რომ მიუღებელი შემოსავლის სახით ორი წლის განმავლობაში, თვეში 1% ოდენობით ზიანის ანაზღაურების დაკისრება გონივრული, პროპორციული და სამართლიანია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ რამდენადაც კრედიტორის ძირითადი საქმიანობა ფულადი სახსრების განკარგვით შემოსავლის მიღება იყო, მოვალისთვის წინასწარ განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო სესხად აღებული თანხის ვადაში დაუბრუნებლობისას მოპასუხისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. ამასთან, მოვალის მიერ ვალდებულების აღების მომენტში სალი აზროვნებისა და მოვლენების გონივრული განსჯის შეუძლებლობა საქმეზე არ დადგენილა, ამიტომ ივარაუდებოდა, რომ ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოება არ არსებობდა.

**10. სააპელაციო სასამართლოს განჩინებას საკასაციო წესით ასაჩივრებს მოპასუხე, რომელიც მოითხოვს ამ განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, შემდეგი დასაბუთებით:**

10.1. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში იშვიათია ნორმები, რომელთა გამოყენება პირდაპირაა შესაძლებელი, როგორც მატერიალური პასუხისმგებლობის წყარო. ასეთი საგამონაკლისოა სსსკ-ის 199.3 მუხლი, რომელიც უზრუნველყოფის მომთხოვნ მხარეს მეორე მხარისათვის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას აკისრებს. ამ მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგომა მხოლოდ ორ შემთხვევაშია დასაშვები, კერძოდ, თუკი მოსარჩელეს სარჩელზე უარი ეთქმევა ან თუ მოსარჩელე სარჩელს არ აღძვრავს.

10.2. სსსკ-ის 199.3 მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგომისათვის უნდა არსებობდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად უნდა დგინდებოდეს ზიანი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უზრუნველყოფის ღონისძიებასა და დამდგარ შედეგს შორის. სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, ამ ფაქტების მითითება და მტკიცება მოსარჩელეს ევალება. რაკი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, წარმოუდგენელია სარჩელის უსაფუძვლობისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების გაუმარ-

თლებლობის მტკიცება.

10.3. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ სასამართლოს გადან-  
ყვეტილებით სარჩელი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აღ-  
ნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არაადეკვატუ-  
რობაზე არ მიუთითებს. სასამართლოს სხვა სამართლებრივი შე-  
საძლებლობა არ გააჩნდა. მოვალის მოთხოვნა იყო სააღსრულებო  
ფურცლის ბათილად ცნობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მსესხებე-  
ლი სააღსრულებო ფურცელში ცვლილების ნაწილობრივ შეტანას  
მოითხოვდა (რა ფორმითაც სასამართლომ სარჩელი გაიზიარა), სა-  
აღსრულებო წარმოება მაინც სრულად შეჩერდებოდა. სააღსრუ-  
ლებო ფურცლის აღსრულების ნაწილობრივ შეჩერების შესაძლებ-  
ლობას კანონი არ იცნობს. ამდენად, მოვალის მოთხოვნის საფუძ-  
ველზე გამოყენებული უზრუნველყოფა სრულიად გამართლებუ-  
ლია, მისი მოთხოვნის საფუძველზე აღსასრულებელ დოკუმენტში  
ცვლილება განხორციელდა.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2020 წლის 20 მარტის განჩინებით, საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის  
მიხედვით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშ-  
ვებობის შესამოწმებლად. 2020 წლის 23 სექტემბრის განჩინებით,  
სსსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო  
პალატამ საკასაციო საჩივარი დასაშვებლად ცნო და დაადგინა საქ-  
მის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივ-  
რის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუ-  
ხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემ-  
დეგ გარემოებათა გამო:

12. საკასაციო პალატის მიერ განსახილველი საკითხი შემდე-  
გია: არსებობს თუ არა მოპასუხისათვის სსსკ-ის 199.3 მუხლით გათ-  
ვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამო-  
ყენებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების საფუძველი.

13. ზემოხსენებული საპროცესო ნორმის მიხედვით, თუ სარჩე-  
ლის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლე-  
ბელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელ-  
ზე და გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო,  
რომ სასამართლომ გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონის-  
ძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნ-  
ველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რო-

მელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

14. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მსესხებლის (მოცემული საქმის მოპასუხე) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სააღსრულებო ფურცელში მითითებული სესხის ძირითადი თანხის (114 260 აშშ დოლარი) დაკისრების ნაწილში ცვლილება შევიდა და სესხის ძირითადი თანხის სახით მსესხებლის ვალდებულება კრედიტორის წინაშე 90 500 აშშ დოლარით განისაზღვრა. ამავე გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში.

ამავდროულად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ:

სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილებით განხილულ საქმეზე, მსესხებლის განცხადების საფუძველზე, სასამართლომ გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 თებერვლის განჩინებით სააღსრულებო ფურცლის აღსრულება შეჩერდა;

მსესხებელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რის გამოც სააღსრულებო ფურცელზე წარმოება მხოლოდ 2016 წლის 1 თებერვალს განახლდა.

15. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემომითითებული გარემოებები კასატორს დასაბუთებული შედავების (პრეტენზია) გზით არ გაუქარწყლებია, ამიტომ ისინი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსსკ-ის 407.2 მუხლი).

16. მოპასუხის მოთხოვნა სსსკ-ს 199.3 მუხლით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე იმ ფაქტობრივ საფუძველს ემყარება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (სააღსრულებო წარმოების შეჩერება) გაუმართლებელი იყო და 2016 წლის 1 თებერვლამდე სააღსრულებო წარმოების შეჩერებით მისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა.

17. პალატას მიაჩნია, რომ სსსკ-ის 199.3 მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების საფუძველი უნდა ვეძიოთ სამოქალაქო მატერიალური კანონმდებლობის ნორმებში. საკითხისადმი ამგვარი

მიდგომა იმითაა გამოწვეული, რომ საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის განხილვის წესებს ადგენს და ამ მიზნის ფარგლებში მხარეთა შორის საპროცესოსამართლებრივ უფლებება-მოვალეობებს განსაზღვრავს, ხოლო მათი მოთხოვნების სამართლებრივი საფუძველი მატერიალური კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ასეა მოცემულ შემთხვევაში. სსკ-ის 199.3 მუხლი ზიანის არსს კი არ განსაზღვრავს, არამედ იგი იმას ადგენს, თუ რა შემთხვევებში სარგებლობს მოპასუხე უფლებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. ასეთ დროს, ზიანში მოიაზრება მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა. ზიანი არ გულისხმობს უფლების დროებით შეზღუდვას, რადგან, როგორც სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულება სწორედ უფლების დროებით შეზღუდვაა (გასხვისების აკრძალვა, ქმედების განხორციელების აკრძალვა, ნივთობრივი უფლებით დატვირთვის აკრძალვა და სხვა).

18. ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ საფუძველს ქმნის სსკ-ის 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება), 411-ე (ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო) და 412-ე (ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს) მუხლები.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ: სსკ-ის 408.1, 411-ე და 412-ე მუხლების ამოსავალი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (*lucrum cessans*). სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც კრედიტორს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა, მოვალეს რომ ვალდებულება ჯეროვნად შეესრულებინა. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (*pure economic loss*), რომელიც ხელშეკრუ-

ლების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ექვის საფუძველს (შდრ. იხ. სუსგ №ას-459-438-2015, 07.10.15წ.; №ას-54-54-2018, 13.02.2018წ.). მიუღებელი შემოსავალი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუკი კრედიტორი დაასაბუთებს, რომ იგი ამ ოდენობით ანაზღაურებას მიიღებდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში და ეს მოვალისათვის სავარაუდო უნდა ყოფილიყო (შდრ. იხ. სუსგ №ას-107-2019, 13.03.2020წ.).

ამავდროულად, არსებობს საკასაციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებულ ზიანზე. იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულია საპროცენტო განაკვეთი, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გვაროვნული ნივთი – ფული, ხოლო კრედიტორის სამენარმეო საქმიანობა სასყიდლიანი კრედიტის გაცემაა, სსკ-ის 411-ე მუხლის წინაპირობების არსებობა დადასტურებულად მიიჩნევა (შდრ. იხ. სუსგ №ას-107-2019, 13.03.2020წ.). ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და, სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტისა და არც მისი ოდენობის დადგენას (შდრ. იხ. სუსგ №ას-962-2020, 23.12.2020წ.; №ას-566-2020, 29.09.2020წ.; №ას-992-950-2013, 04.03.2014წ.; №ას-1843-2018, 05.04.2019წ.).

ამდენად, თუკი მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორი) მხარეზეა (იხ. სუსგ №ას-459-438-2015, 07.10.15წ.), ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებში განსხვავებული მიდგომაა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები (კრედიტორის ძირითადი საქმიანობა, ფულა-

დი სახსრების განკარგვით შემოსავლის მიღება იყო; ვალდებულების აღების მომენტში მოვალის მიერ სალი აზროვნებისა და მოვლენების გონივრული განსჯის შეუძლებულობა არ დადგენილა) საკმარის საფუძველს ქმნის დასკვნისათვის, რომ მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით 2014 წლის 04 თებერვლიდან (ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შეჩერების შესახებ განჩინების მიღების თარიღი) სააღსრულებო ფურცელზე წარმოების განახლებამდე (2016 წლის 1 თებერვალი) ზიანი მიაღდა. ეს ზიანი იმაში გამოიხატა, რომ მითითებულ პერიოდში შეუძლებელი იყო, აღსასრულებელი მოთხოვნის აღსრულება მსესხებელთან დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უზრუნველყოფის საშუალებაზე გადახდევინების მიქცევით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ზიანის არსებობისა და მისი ანაზღაურების მიზანშეწონილობის შესახებ, კანონშესაბამისია.

19. მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მოსარჩელისათვის ზიანის სრულად ანაზღაურების თაობაზე. მოცემული კუთხით საკითხის შეფასებისას საყურადღებოა სსსკ-ს 199.3 მუხლის შინაარსი, კერძოდ, ამ მუხლის მიხედვით, მოპასუხეს შეუძლია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანი თავიდან აიცილოს შემდეგ შემთხვევებში:

1. მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე ან გაუქმდა ჯერ არაღძრული სარჩელის უზრუნველყოფა იმის გამო, რომ პირმა არ აღძრა სარჩელი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში;

2. მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

კონკრეტულ შემთხვევაში, არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება, რომლითაც მსესხებლის (მოცემული საქმის მოპასუხე) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, სააღსრულებო ფურცელში მითითებული სესხის ძირითადი თანხის (1 14 260 აშშ დოლარი) დაკისრების ნაწილში ცვლილება შევიდა და სესხის ძირითადი თანხის სახით მსესხებლის ვალდებულება კრედიტორის წინაშე 90 500 აშშ დოლარით განისაზღვრა.

ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით სარჩელს მთლიანად კი არ ეთქვა უარი, მისი გარკვეული ნაწილი არ დაკმაყოფილდა. ასეთ პირობებში, სსსკ-ის

199.3 მუხლის საფუძველზე კრედიტორისათვის (დასახელებული გადანყვეტილებით განხილული საქმის მოპასუხე) ზიანის სრულად ანაზღაურება, არასწორია.

სსსკ-ის 199.3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ამ ნორმის ერთ-ერთი მიზანი კრედიტორისათვის სარჩელის დაუკმაყოფილებლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურებაა, რადგან უზრუნველყოფის მომთხოვნ მხარეს მეორე მხარისათვის სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ზარალის ანაზღაურება მაშინ ევალება, თუკი მოსარჩელეს სარჩელზე უარი ეთქმევა.

ცხადია, რომ სარჩელის ის ნაწილი, რომელიც მოსარჩელისათვის სასარგებლო შედეგით დასრულდა, მოპასუხისათვის ზიანის მომტანი ვერ იქნება, ვინაიდან აღნიშნულ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით კანონიერადაა ცნობილი.

აქედან გამომდინარე და სსსკ-ის 199.3 მუხლის შინაარსი უნდა განიმარტოს არა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით არამედ კანონის განმარტების ლოგიკური და განვრცობითი მეთოდის გამოყენებით.

კერძოდ, საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისას, მოპასუხეს სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად ზიანი არ უნდა აუნაზღაურდეს, რადგან ამავე გადანყვეტილების შესაბამისად, მითითებულ ნაწილში ზიანი ვერ იარსებებს.

პალატის დასკვნით, სსსკ-ის 199.3 მუხლის სხვაგვარი განმარტება დაარღვევს იმ საკანონმდებლო ბალანსს, რომლის დაცვასაც კანონმდებელი ისახავდა მიზნად.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხისათვის ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპით უნდა გამოანგარიშდეს, ე.ი. მსესხებლისათვის დასაკისრებელი ზიანი იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ მას გამოაკლდეს უზრუნველყოფის მომთხოვნი მხარის (მსესხებელი, მოვალე) სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული თანხა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საალსრულებო ფურცლის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის მომთხოვნ მხარეს (მსესხებელი) დაკისრებული ჰქონდა კრედიტორისათვის (მოცემული საქმის მოსარჩელე) სესხის ძირითადი თანხის, 114 260 აშშ დოლარის გადახდა;

მსესხებელმა აღნიშნული ოდენობა სადავოდ გახადა და სარჩელით მოითხოვა სესხის ძირითადი თანხის (114 260 აშშ დოლარი) 41

000 აშშ დოლარით განსაზღვრა; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სესხის ძირითადი თანხა (114 260 აშშ დოლარი) 90 500 აშშ დოლარამდე შემცირდა.

აქედან გამომდინარე ნათელია, რომ, მსესხებელი სადავოდ ხდიდა სესხის ძირითადი თანხიდან (114 260 აშშ დოლარი) მხოლოდ 73 260 აშშ დოლარს, რადგანაც იგი მოითხოვდა ამ თანხის 41 000 აშშ დოლარით განსაზღვრას ( $114\,260 - 41\,000 = 73\,260$ -ს).

მიუხედავად ამისა, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სესხის ძირითადი თანხა 23 760 აშშ დოლარით შემცირდა, ვინაიდან სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით ის 90 500 აშშ დოლარით განსაზღვრა ( $114\,260 - 90\,500 = 23\,760$  აშშ დოლარს). ამასთან, სადავო თანხიდან დაუკმაყოფილებელი დარჩა მოთხოვნა 49 500 აშშ დოლარის ფარგლებში ( $73\,260 - 23\,760 = 49\,500$ -ს).

ამდენად, კასატორის (მსესხებელი, მოვალე, მოცემული საქმის მოპასუხე) სასარჩელო მოთხოვნა, სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხა შემცირებულიყო 73 260 აშშ დოლარით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ.

პროცენტულ მაჩვენებლებში ასახვის შემთხვევაში დავადგენთ, რომ კასატორის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა 32,43 პროცენტით ( $73260:100X=732,6$ ) ( $23760:732,6=32,43$ ). შესაბამისად სასარჩელო მოთხოვნის 67.57 პროცენტს დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

საკასაციო პალატის დასკვნით, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანის მოცულობა (20 000 აშშ დოლარი) სწორედ ზემოაღწერილი პროპორციით უნდა განანილდეს და თ. პ.-ს უნდა მიეკუთვნოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ. დ.-ის სასარჩელო მოთხოვნიდან დაუკმაყოფილებელი ნაწილის პროპორციული თანხა, რაც მოცემულ შემთხვევაში  $13\,514$  აშშ დოლარია ( $20\,000 : 100 \times 67.57 = 13\,514$ -ს).

ამასთან, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მსესხებლის სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისი პროცენტი (32.43%) ზიანის (20 000 აშშ დოლარი) ანგარიშში არ უნდა ჩაითვალოს და მოსარჩელეს მის ანაზღაურებაზე უარი უნდა ეთქვას.

20. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ



კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

21. სსსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

22. ამდენად, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეს უნდა დაეკისროს განეული საპროცესო ხარჯების ნაწილი, 997.33 ლარის მოცულობით. ამასთან, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 324.3 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, გადახდის დროს არსებული კურსით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 399-ე, 372-ე, 264.3, 404-ე, 408.3, 409-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ნ. დ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ნოემბრის განჩინება იმ ნაწილ-

ში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი მე-2 და მე-3 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. პ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. ნ. დ-ძეს თ. პ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ზიანის, 13 514 აშშ დოლარის ანაზღაურება;

5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

6. ნ. დ-ძეს თ. პ-ის სასარგებლოდ დაეკისროს განეული საპროცესო ხარჯების ნაწილი 997,33 ლარის მოცულობით;

7. თ. პ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 324.3 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა (გადახდის დროს არსებული კურსით). სახელმწიფო ბაჟი განთავსებულ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 6. დაუსრულებელი გადაწყვეტილება

### მოპასუხის გამომუცხადებლობა

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-662-2019

11 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ო-ი (შემდეგში: მოსარჩელე, დასაქმებული, კასატორი), 2016 წლის 23 მარტიდან იმავე წლის 3 დეკემბრის ჩათვლით, სს „მ. მ-ში“ (შემდეგში: მოპასუხე, დამსაქმებელი, აპელანტი) არქიტექტორის თანამდებობაზე მუშაობდა.

2. დასაქმებულის ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება, სამე- მოსავლო გადასახადის გარეშე, 6000 ლარს შეადგენდა.

3. დასაქმებულმა 2016 წლის 3 დეკემბერს, დამსაქმებელს სა- ხელფასო დავალიანების გამო, სამუშაოდან წასვლის შესახებ ელექ- ტრონული წერილით აცნობა და ხელფასის სრულად ანაზღაურება მოითხოვა.

#### 4. სარჩელის საფუძვლები

4.1. დასაქმებულმა 2017 წლის 20 მარტს სარჩელი აღძრა დამ- საქმებლის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხეს მოსარჩელის სა- სარგებლოდ დაეკისროს:

4.1.1. სახელფასო დავალიანება – 13043.45 ლარი;

4.1.2. პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და- ვალიანების თანხის 0.07%, რაც შეადგენს 922.7 ლარს;

4.1.3. იძულებითი მოცდენისათვის ერთი თვის ხელფასი – 6000 ლარი.

4.2. დასაქმებულის განმარტებით, დამსაქმებელი ხელფასს ყო- ველ თვე დაგვიანებით ურიცხავდა, ხოლო ბოლო თვეების განმავ- ლობაში ან აკლებდა ხელფასს, ან საერთოდ არ ურიცხავდა, რის

გამოც, იძულებული გახდა სამსახური დაეტოვებინა.

### **5. მოპასუხის შესაგებელი**

5.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

### **6. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება**

6.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

6.1.1. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანება – 13043.45 ლარი და ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის 2016 წლის 10 დეკემბრიდან, დავალიანების სრულ გადახდამდე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 13043.45 ლარის 0.07% დაეკისრა;

6.1.2. მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის იძულებითი მოცდენის გამო 6000 ლარის დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

### **7. სააპელაციო საჩივარი**

7.1. მოპასუხემ (დამსაქმებელმა) სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი ნაწილობრივ გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

### **8. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

8.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, დასაქმებულის გამოუცხადებლობის გამო, აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **9. დასაქმებულის საჩივარი**

9.1. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა დასაქმებულმა, მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება მოითხოვა.

### **10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები**

10.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 მარტის განჩინებით, დასაქმებულის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

10.2. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 თებერვლის 13:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა დასაქმებულის წარმომადგენელი, რომელიც სა-

სამართლოს მთავარი სხდომის დროისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

10.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საჩივრის ავტორის წარმომადგენელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა იმ საფუძველით, რომ სასამართლო პროცესზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით – ავადმყოფობით, კერძოდ, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, რუსეთის ფედერაციაში მკურნალობს და, ვინაიდან საელჩოსგან სავიზო მომსახურებაზე უარი ეთქვა, სხდომის დღეს დასჭირდა თავის მკურნალ ექიმთან ონლაინ-კონსულტაცია, რასაც მის მიერ წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაცია ადასტურებს.

10.4. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 241-ე და 215-ე მუხლის შესაბამე ნაწილზე მიუთითა, ასევე, იმავე კოდექსის 102-ე-103-ე მუხლებზე და განმარტა, რომ საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მიერ წარდგენილი იყო მტკიცებულება – ლაბორატორია „ს-ში“ ამ უკანასკნელის კვლევის პასუხები, ასევე, 2018 წლის 21-23 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში, შპს „ნ.კ-ს“ საოჯახო კლინიკა „ჩ. დოქტორში“, წარმომადგენლის ექიმთან ვიზიტისა და ლაბორატორიული კვლევის ამსახველი მტკიცებულებები, რომლის თანახმად, წარმომადგენელი განმეორებით დაბარებული იყო ერთხელ 10 დღის შემდეგ, ხოლო მეორედ – საჭიროებისამებრ.

10.5. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, წარდგენილი მტკიცებულებები ვერ მიიჩნეოდა სსსკ-ის 215.3 მუხლით გათვალისწინებულ სათანადო მტკიცებულებებად, რომლითაც სხდომის დღეს საჩივრის ავტორის წარმომადგენლის ავადმყოფობა ან სხვა გარემოება – რუსეთის ფედერაციაში ექიმთან ონლაინ კონსულტაციის ფაქტი ან მისი გამოუცხადების შეუძლებლობა სასამართლოში დადასტურდებოდა.

10.6. სააპელაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე განმარტა, რომ აპელანტმა წერილობით საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განხილვაზე უარი განაცხადა და, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარეს ჩაჰპარდა და აპელანტის პოზიცია მისთვის ცნობილი იყო, აღნიშნული, სსსკ-ის 376<sup>1</sup>.2 მუხლის შესაბამისად, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განხილვის შესაძლებლობას გამოორცხავდა.

## **11. საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

11.1. დასაქმებულმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო

სასამართლოს განჩინება, დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად და საქმის ხელახლა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

11.2. კასატორის განმარტებით, სასამართლომ საქმის გარემოებები არასწორად შეაფასა. საქმეში წარდგენილია სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევა და ექიმის რეკომენდაცია. დასაქმებულის წარმომადგენლის ჯანმრთელობა აღნიშნული კვლევის თარიღიდან დღემდე გაუარესდა. პერსონალური მონაცემების დაცვის გამო, წარმომადგენელმა სასამართლოში არ წარადგინა ის ცნობა, რომელიც მის ავადმყოფობას რეალურად ასახავდა და რასთან დაკავშირებითაც, 2019 წლის 6 თებერვალს, ექიმთან ონლაინკონსულტაცია გაიმართა.

11.3. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, მან სააპელაციო შესაგებელში მიუთითა, რომ 2019 წლის 6 თებერვალს საქართველოში არ იქნებოდა, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა, ისევე, როგორც ის ფაქტი, რომ მხარეს საქმის მიმართ ინტერესი არ დაუკარგავს.

11.4. კასატორი მიუთითებს, რომ მოცემული დავა შრომითი კატეგორიისაა და მის მარწმუნებელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლით გარანტირებული უფლება წაერთვა.

11.5. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად ამართლებდა.

11.6. კასატორი უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზეც (საქმე №ას-1532-1435-2012), მონინალდმდევე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობისას სასამართლოს მიერ შეფასებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.7. კასატორის განმარტებით, სასამართლომ სსსკ-ის 230.2 მუხლი დაარღვია, კერძოდ, სასამართლოს შეეძლო დაყრდნობა და მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ სადავო და უდავო გარემოებებს ან, საქმის ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევის გზით, ახალი ფაქტები თავად დაედგინა.

11.8. სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად არ გამოიყენა სსსკ-ის 280-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და იმავე კოდექსის 281-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი და 233-ე მუხლი.

11.9. კასატორის მტკიცებით, საქმეში წარდგენილია მტკიცებულებები, რომელთა თანახმად, კასატორის წარმომადგენელს

დადგენილი ჰქონდა ორთვიანი მკურნალობის კურსი და მისი დასრულების შემდეგ, უკუჩვენების შემთხვევაში, აუცილებლად საჭიროებდა კონსულტაციას. ყველა გამოკვლევა შესრულდა ქვეყნის გარეთ და წარმომადგენელს ექიმის კონსულტაცია შეიძლება დასჭირვებოდა ადგილზე მისვლით ან/და სატელეფონო ონლაინ-კომუნიკაციით, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა.

## **12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

დასაქმებულის საკასაციო საჩივარი საკასაციო დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რადგან გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა გაანალიზების, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი მოტივაციის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად გასაჩივრებული განჩინება (რომლითაც ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება) უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგი არგუმენტაციით:

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს

შესაბამის დასაბუთებას.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

16. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, იმას განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარეები მოწვეული იყვნენ სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, შესაფასებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და მისი უცვლელად დატოვების კანონიერება. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს კასატორის იმ ძირითად პრეტენზიებზე, რომლებიც უკავშირდება მხარის წარმომადგენლის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზს, იყო თუ არა საპატიო მოსარჩელის (სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის) გამოუცხადებლობა.

17. სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს სსსკ-ის 387-ე მუხლი განსაზღვრავს. ამ ნორმით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში კი გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სსსკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „თუ საქმის განხილვაზე მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას“. ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სხდომაზე და არც გამოცხადების შეუძლებლობის მიზეზის თაობაზე უცნობებია სასამართლოსათვის. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. ამდენად, უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები:



ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა აპელანტის მონი-  
ნააღმდეგე მხარე, რომელსაც, სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთ-  
ხოვნათა დაცვით ჩაპბარდა შეტყობინება სასამართლო სხდომის  
თაობაზე, ხოლო, სასამართლოს არ მოეპოვება ცნობა მისი გამო-  
უცხადებლობის საპატიოობის თაობაზე;

ბ) გამოცხადებული აპელანტი შუამდგომლობს დაუსწრებელი  
გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმა-  
ყოფილებას. „ამ გარემოებათა კუმულაციურად არსებობა, წარმო-  
ადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ  
წინაპირობას. 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წი-  
ნაპირობების არსებობის დადგენის შემდეგ, ამავე ნორმის მე-3 ნა-  
წილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეა-  
მოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამო-  
ტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ, სახეზე ხომ არ  
არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი  
ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, ამასთანავე, სასამარ-  
თლომ უნდა შეამოწმოს სააპელაციო მოთხოვნას იურიდიულად  
ამართლებს თუ არა მასში გადმოცემული ფაქტები (სსსკ-ის 230.2  
მუხლი). ეს უკანასკნელი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ უნ-  
და მოიძიოს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, ფორმალური თვალ-  
საზრისით შეაფასოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ  
დადგენილი გარემოებები და მათ წინააღმდეგ წარდგენილი პრე-  
ტენზიები და ამ გზით განსაზღვროს მოთხოვნის განხორციელება-  
დობა“ (იხ. სუსგ №ას-485-485-2018, 31.01.2020წ).

18. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის სააპელაციო საჩი-  
ვარი წარმოებაში იქნა მიღებული განსახილველად სააპელაციო სა-  
სამართლოს 2019 წლის 16 იანვრის განჩინებით და იმავე განჩინე-  
ბით განისაზღვრა სააპელაციო საჩივრის ზეპირი განხილვა 2019  
წლის 06 თებერვალს, 13:00 საათზე, მთავარ სხდომაზე (სსსკ-ის  
376-ე მუხლი). ამ სხდომაზე არ გამოცხადდა აპელანტის მონი-  
ნააღმდეგე მხარე (მოსარჩელე) და არც მისი უფლებამოსილი წარმო-  
მადგენელი, რომელთაც სხდომის თაობაზე ეცნობათ კანონის მოთ-  
ხოვნათა დაცვით (იხ. სასამართლო უწყება). სააპელაციო საჩივრის  
შემტანმა პირმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების  
გამოტანის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა  
გამოცხადებული მხარის (აპელანტის) შუამდგომლობა და მოსარ-  
ჩელის წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

19. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვე-  
ტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არ-  
სებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ

მხარის გამოუცხადებლობა გამონვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. დასახელებული ნორმა განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს, წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობისა და მიზეზების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინების გაგზავნა სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა მტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა.

20. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს: „სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული „საპატიო მიზეზი“ იმგვარად განიმარტება, რომ მხარეს საპროცესო მოქმედების შესრულება საპატიოდ ჩათვალოს, როდესაც მის მიერ წარდგენილი მტკიცებულება ადასტურებს მისგან დამოუკიდებელი ფაქტორების ზემოქმედებით სადავო საპროცესო მოქმედების შესრულების ობიექტური ხელშეშლით გამონვეულ შეუძლებლობას. ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ყოველი კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგებისას, სასამართლომ გამოიკვლიოს და დაადგინოს დავის ფაქტობრივი გარემოებები, რაც, ცხადია, თითოეულ შემთხვევაში განსხვავებულია. სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგიც გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან“. (იხ. სუსგ-ები: №ას-1671-2019. 13.03.2020წ; №ას-330-2019. 19.11.2019წ.).

21. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებსა და მათ სამართლებრივ შეფასებას (იხ. წინამდებარე განჩინების 10.3- 10.5 ქვეპუნქტები) და არ ეთანხმება კასატორის პრეტენზიას, რომ მან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ შეძლო სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადება და სააპელაციო სასამარ-

თლოს სამოქალაქო პალატის 2018 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ საჩივარს დაურთო არაერთი მტკიცებულება, რომლებიც არასაკმარისად შეაფასა სასამართლომ და არ გაითვალისწინა, რომ მხარის წარმომადგენლის პერსონალურ მონაცემებს ეხება საქმე, რის გამოც არ იქნა წარდგენილი ის ცნობა, რომელიც რეალურად ასახავს მხარის წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას, რაზედაც სწორედ 2019 წლის 6 თებერვალს შედგა ონლაინ კონსულტაცია. კასატორი უთითებს: „მართალია, არ არის წარმოდგენილი ამ ონლაინ კონსულტაციის დამადასტურებელი საბუთი, თუმცა ის არსებობს რეალურად, მაგრამ კონფიდენციალურობიდან გამომდინარე არ იქნა წარმოდგენილი“ (იხ. საკასაციო საჩივარი). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილი საჩივრის განხილვის ეტაპზე იმსჯელა და განმარტა, რომ საჩივარზე თანდართული 2019 წლის 26 თებერვალს, ლაბორატორია „ს.“-ში მოსარჩელის (აპელანტის მონინაალმდეგ მხარის) წარმომადგენლის ლაბორატორიული კვლევის (ანალიზების) პასუხები, ასევე, 2018 წლის 21-23 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში, შპს „ნ. კ“-ს საოჯახო კლინიკა „ჩ. დ“-ში, მოსარჩელის წარმომადგენლის ექიმთან ვიზიტისა და ლაბორატორიული კვლევის ამსახველი მტკიცებულებების მიხედვით, ირკვეოდა, რომ მხარის წარმომადგენელი განმეორებით ვიზიტებზე დაბარებული იყო ერთ შემთხვევაში 10 დღის შემდეგ, ხოლო მეორე შემთხვევაში – საჭიროებისამებრ. ეს მტკიცებულებები კი არ შეიძლება მიჩნეულიყო სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ სათანადო მტკიცებულებად, რომლითაც დადასტურდებოდა, აპელანტის მონინაალმდეგე მხარის (მოსარჩელის) წარმომადგენლის ავადმყოფობა ან სხვა გარემოება – რუსეთის ფედერაციაში ექიმებთან ონლაინ კონსულტაციის ფაქტი და სასამართლოში მისი გამოცხადების შეუძლებლობა. სააპელაციო სასამართლოს ეს დასკვნები სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და განმარტებებს სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის თაობაზე და გაზიარებულია საკასაციო სასამართლოს მიერ.

22. კასატორის ძირითად პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც პირადი მონაცემების დაცვის სტანდარტიდან გამომდინარეობს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კასატორს არც სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ საჩივარში და არც საკასაციო გა-

ნაცხადში არ მიუთითებია ისეთ მტკიცებულებაზე, რაც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, ემსჯელა სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობაზე. ამ თვალსაზრისით არ იყო აუცილებელი, რომ კასატორს მაინცდამაინც ექიმთან ონლაინ კონსულტაციის შინაარსი წარმოედგინა და გაესაჯაროებინა მისი პირადი მონაცემები, რომელთა დაცვა პაციენტის უფლებას წარმოადგენს. სასამართლოს შესაფასებლად უნდა წარდგენოდა ისეთი მტკიცებულება, რომელშიც მითითებული იქნებოდა, რომ მხარე (მოსარჩელის წარმომადგენელი) 2019 წლის 6 თებერვალს ვერ შეძლებდა 13 საათზე დანიშნულ სხდომაზე გამოცხადებას, რადგან ის საჭიროებდა გადაუდებელ სამედიცინო ონლაინ კონსულტაციას, რომლის სხვა დროისათვის გადადება დაუშვებელი იყო და პირის ჯანმრთელობას შეუქმნიდა საფრთხეს. ასეთი სახის მტკიცებულება, დადასტურებული მკურნალი ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული/ხელმოწერილი არ წარუდგენია მხარეს სასამართლოსათვის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოსათვის ამოსავალი იქნებოდა პირის გამოცხადების შეუძლებლობის საპატიოობა, რადგან სპეციალისტის მიერ გაცემული/დამოწმებული ავთენტიკური დოკუმენტი, როგორც წესი, მაღალი სანდოობით სარგებლობს და ასეთ მტკიცებულებად შესაძლებელია შეფასებულიყო ისეთი შინაარსის ცნობა, რომლითაც, ერთი მხრივ, დადასტურებული იქნებოდა ონლაინ კონსულტაციის განვეის აუცილებლობა კონკრეტულ დღეს და კონკრეტული დროის (სასამართლოს მიერ განსაზღვრული საათის გათვალისწინებით) მითითებით და ასეთი კონსულტაციის სხვა დროს გადადების დაუშვებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, დაცული იქნებოდა პაციენტის (მხარის) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. მოცემულ შემთხვევაში თვითონ კასატორიც ადასტურებს, რომ მას არ წარუდგენია ონლაინ კონსულტაციის განვეის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც იმთავითვე დაუსაბუთებელს ხდის მის პრეტენზიას, რადგან მხარემ ვერ დაძლია კუთვნილი მტკიცების ტყვიართი. ამდენად, კასატორის მითითება სუსგ-ზე №ას- 1532- 1435-2012, სადაც განმარტებულია სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე შესაგებლის წარდგენის სამართლებრივი შედეგები კასატორის სასარგებლოდ ვერ ცვლის სურათს, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინებით (საქმე №121- 117-2016) განიმარტა: „სააპელაციო საჩივარი უკავშირდება პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელებულ მტკიცებულებით საქმიანობას, დადგენილ ფაქტობრივ გა-

რემოვებს და ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ კვალიფიკაციას. შესაგებლის ზოგადი სახეები, რომელზეც უკვე იქნა გამახილებული ყურადღება, ასევე ეხება სააპელაციო შესაგებელსაც. სააპელაციო საჩივრის უარყოფა (არცნობა) წარმოადგენს სააპელაციო შესაგებლის ერთ-ერთ სახეს, რომლის გარეშე არ არსებობს ზოგადად შესაგებელი, როგორც თავდაცვის პროცესუალური საშუალება. სსსკ-ის 373-ე მუხლი, რომლითაც მოწესრიგებულია სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის მომზადებასთან დაკავშირებული საპროცესო ურთიერთობები, ადგენს სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარდგენის წესს. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ მიმართული შესაგებელი უკავშირდება პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელებულ მტკიცებულებით საქმიანობას, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ კვალიფიკაციას, ე.ი. წარსულში უკვე შედავებულ და გამოკვლეულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობას არ მოჰყვება პირველ ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები – ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამ ტიპის შესაგებლის წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოქმედებს პრეზუმფცია, რომელიც ეხება ფაქტს, მტკიცების წესს და არა სამართალს. შესაბამისად, სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფართო განმარტება, ნორმის გავრცელება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უცხო სააპელაციო სამართალწარმოებისათვის, დაუშვებელია“ (პუნქტი 47). „მიუხედავად იმისა, რომ საქმის მომზადების მიზნით პირველი ინსტანციისათვის დადგენილი წესები თითქმის მთლიანად ეხება სააპელაციო სასამართლოსაც, სააპელაციო შესაგებელს გააჩნია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოსათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც პირველ რიგში ვლინდება მტკიცებით საქმიანობაში. სააპელაციო შესაგებელი, როგორც მტკიცებითი საქმიანობის განსახორციელებელი საპროცესო საშუალება, არ შეიძლება გავაიგივოთ სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელთან. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგან სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან თავისუფლდება მოსარჩელე. აღნიშნული ფაქტი შეიძლება იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა. შესაბა-

მისად, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობას საქმის მომზადების ეტაპზე, როგორც იურიდიულ ფაქტს, არ შეიძლება მოჰყვეს ისეთივე შედეგები, რადგან აპელაციაში მტკიცებითი საქმიანობის განხორციელების თავისებურებიდან გამომდინარე იხილება იგივე სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები და მტკიცებულებები, ხოლო ამ სტადიაზე შესაგებლის წარუდგენლობით არ განისაზღვრება პირველ ინსტანციაში შესაგებლის წარუდგენლობის მსგავსად მტკიცების საგანი“ (პუნქტი 48). „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის.

23. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების (შესაბამისად იმავე სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების) დასაბუთებლობა მონმდება არა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის კანონიერების თვალსაზრისით, არამედ- აპელანტის მონინაალმდევე მხარის სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზის საპატიოობის შესწავლის გზით.

24. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს აპელანტის (მოპასუხის) მონინაალმდევე მხარის (მოსარჩელის) სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას, სსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილს მოიხმობს, რომლის თანახმად მონინაალმდევე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სასამართლო დაემყარება მომჩივნის ახსნა-განმარტებას. ეს კი ნიშნავს არა სარჩელში მითითებული გარემოებების ავტომატურად დადგენილად მიჩნევას, არამედ იმის შემონმებას, სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებებით (მათი დადგენილად მიჩნევით) გაბათილდება თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი სადავო ნაწილის დასკვნები, რომლებიც აპელანტის წინაალმდევე არის მიმართული, ანუ სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მონინაალმდევე მხარის გამოუცხადებლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მხედველობაში უნდა მიიღოს აპელანტის ახსნა-განმარტება (რომელიც შეიძლება არც იყოს მოსარჩელე), ხოლო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით აპელანტის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გადმოცემული აპელანტის განმარტებები მოთხოვნას იუ-

რიდიულად ამართლებს (ანუ აპელანტი მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე). ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება არ ხდება და მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად, ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო (შეად. სუსგ-ებს: №ას-330-2019, 19.11.2019წ; №ას-656-626-2016, 27.03.2017წ; №ას-682-648-2013, 10.03.2015წ.).

25. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კასატორის მიერ მითითებული კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. თ. ო-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2019 წლის 20 მარტის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. სასამართლო გადაწყვეტილება

### დავატაგითი გადაწყვეტილება

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-123-2021

4 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**სასარჩელო მოთხოვნა:**

1. თ. მ-მა (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ჭ-ის ...-ის“ (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ ზიანის – 184670 აშშ დოლარის, მიუღებელი შემოსავლის – 102 000 აშშ დოლარისა და სავენტილაციო მონყობილობის რეკონსტრუქციის ღირებულების – 21 670.57 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურების შესახებ.

**სარჩელის საფუძვლები:**

2. მოსარჩელის განმარტებით, წარმოადგენს ქ. თბილისში ... მდებარე ქონების მესაკუთრეს.

3. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ დასკვნით დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ... მდებარე შენობა (შესაბამისად მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონებაც) იმყოფებოდა ტექნიკურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, თუმცა ამავე დასკვნაში მიეთითა, რომ სადავო საცხოვრებელი შენობის სიახლოვეს სამშენებლო სამუშაოების წარმართვა გამოიწვევდა არსებული შენობის მზიდი კონსტრუქციების რღვევით დეფორმაციებს.

4. 2014 წელს მოპასუხემ მოსარჩელის საკუთრებაში მყოფი ქონების უშუალო სიახლოვეს (ქ. თბილისში, ...) დაიწყო მრავალსართულიანი სასტუმროს მშენებლობის ძირითადი სამუშაოები, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მოსარჩელის ქონების ტექნიკურ მდგომარეობაზე. სამშენებლო სამუშაოების სანარმოებლად,



მოპასუხის მიერ მოენყო დამატებითი შესასვლელი ... ქუჩის მხრიდან ... გამზირის ტროტუარზე, საიდანაც დიდი ინტენსივობით, უშუალოდ ქ. თბილისში, ... არსებული მოსარჩელის საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ, ტროტუარზე მოძრაობდა (დღესაც გრძელდება) მძიმე ტექნიკა, ბეტონის მანქანები, ამწები, რაც დაუშვებელი იყო არსებული შენობის უშუალო სიახლოვეს ტექნიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, რითაც პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა მის საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირება. სამშენებლო სამუშაოებმა სავალალო შედეგები გამოიღო, კერძოდ: არაერთხელ დაიტორა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონება, შესაბამისად, მრავალჯერ დასველდა შენობის საძირკვლის ფუძე, გაჩნდა გამჭოლი ბზარები მზიდ კონსტრუქციებზე, მათ შორის, კედლებზე, ჭერზე, იატაკზე, დასველდა და დანესტიანდა კედლები.

5. სამშენებლო ტერიტორიაზე არსებულ ქვაბულში ჩასასვლელი გადმოტანილ იქნა ქ. თბილისში ... არსებული შენობის დაზიანებული ტორსული კედლის გასწვრივ 3 მეტრში, ვიდრე ეს იყო მანამდე, რითაც მოსარჩელის საკუთრებაში მყოფი ქონება კიდევ უფრო დაზიანდა. არსებული ბზარები კიდევ უფრო გაღრმავდა. ახალი ბზარები გაჩნდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონების ზედა პირველ სართულზე, მათ შორის, სვეტებზე, თაღოვან ადგილებში. გარდა ამისა, მოპასუხემ, მესაკუთრის დაუკითხავად, დემონტაჟი გაუკეთა მოსარჩელის საკუთრებაში ... მყოფი საზოგადოებრივი ობიექტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ და ძვირადღირებულ სავენტილაციო მოწყობილობას, დააზიანა იგი, დაანანევრა და უპატრონოდ დაყარა.

6. მოსარჩელის მითითებით, მშენებლობის შედეგად დაზიანდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონება, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა მისი ღირებულება, მოსარჩელემ ვერ მიიღო და დღესაც არ იღებს იმ შემოსავალს, რომელსაც ის მიიღებდა ხსენებულ მისამართზე მდებარე კვების ობიექტის იჯარით გაცემის შედეგად.

#### **მოპასუხის პოზიცია:**

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ არ ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნებს, ვინაიდან მოსარჩელე არსებითად არასწორად წარმოადგენს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელზეც თავის მოთხოვნას ამყარებს.

#### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-

ლეგის 2017 წლის 11 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, სარჩელი დაკმაყოფილდა, რაზეც მოპასუხემ შეიტანა საჩივარი. ამავე სასამართლოს 2020 წლის 13 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 ივნისის დამატებითი გადაწყვეტილებით მოსარჩელის განცხადება დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლოს გარეშე ხარჯის – 2880 ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 14 დეკემბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დამატებითი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სსსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლებში. ზოგადი პრინციპი ასეთია – იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური ნარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა (შდრ. სუსგ №ას-1054-2019, 30.09.2019).

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. მითითებული მუხლი ითვალისწინებს ისეთი ხარვეზის აღმოფხვრის მექანიზმებს, როდესაც, მართალია, მხარემ მოითხოვა პროცესის ხარჯების დაბრუნება სასამართლოსაგან, მაგრამ სასამართლოს თავისი მიზეზით გამორჩა მხედველობიდან ამ საკითხის გადაწყვეტა (შდრ. სუსგ.-ები: №ას-1054-2019, 30.09.2019წ., №ას-165-158-2013, 27.01.2014წ.).

13. სსსკ-ის 261-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გა-

დანყვეტილები გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. პალატა მიუთითებს, რომ 7-დღიანი ვადით კანონმდებელმა შემოსაზღვრა როგორც მხარეთა, ისე სასამართლოს შესაძლებლობა, ამავე ნორმით დადგენილი წინაპირობების შემთხვევაში, სასამართლომ გამოიტანოს დამატებითი ვადანყვეტილება, რადგან დაადგინა, რომ ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება (სუსგ. №ას-1670-2019, 21.05.2020წ.).

14. დამატებითი ვადანყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის 7-დღიანი ვადის დენის დანყებას კანონი უკავშირებს ვადანყვეტილების გამოცხადებას და არა მხარისათვის მის ჩაბარებას (მდრ. იხ.: სუსგ-ებები: №ას-225-217-2012, 25.06.2012წ.; №ას-385-366-2015, 14.05.2015წ.), რადგან სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ მხარეებისათვის ცხადი ხდება, რომ ვადანყვეტილება გამოტანილია ერთ-ერთი იმ ხარვეზით, რასაც ითვალისწინებს სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი. შესაბამისად, კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული დათქმა ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლომ დროულად გამოასწოროს მის მიერ დაშვებული ხარვეზი (სუსგ. №ას-1670-2019, 21.05.2020წ.; №ას-920-870-2015, 09.06.2016წ.).

15. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 13 მაისის დაუსწრებელი ვადანყვეტილება გამოტანილ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა მოსარჩელის შუამდგომლობით. საქმეში არ დევს მტკიცებულება, თუ როდის ჩაბარდა დაუსწრებელი ვადანყვეტილება შუამდგომლობის ავტორს – მოსარჩელეს, შესაბამისად, საქმის მასალებით არ დგინდება, დაცულია თუ არა დამატებითი ვადანყვეტილების გამოტანის საკითხის დაყენებისათვის კანონით დადგენილი 7-დღიანი ვადა. აღნიშნულ გარემოებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დამატებითი ვადანყვეტილების გამოტანა მოთხოვნილი იყო სასამართლო ხარჯების თაობაზე, რომელიც მოპასუხის ფულად ვალდებულებას ზრდის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ, შესაბამისი წერილობითი კორესპონდენციის არარსებობის პირობებში (თუ როდის ეცნობა დაუსწრებელი ვადანყვეტილების შინაარსი მოსარჩელეს), მოსარჩელისათვის დაუსწრებელი ვადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი მაშინვე, გამოტანის დღესვე გახდა ცნობილი. საწინააღმდეგოს დაშვება გამოიწვევს მოპასუხის მოსარჩელესთან მიმართებით არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც ეწინააღმდეგება საპროცესო თანასწორობის პრინციპს. ამდენად, სა-

აპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასულია დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის კანონით დადგენილი ვადა. გარდა ამისა, დამატებითი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს სხვა საფუძვლითაც, რომელსაც სააპელაციო საჩივარი არ მოიცავს, მაგრამ ის წმინდა პროცესუალური საკითხია, რომლის პროცედურული დარღვევის ხასიათზე პალატას დამოუკიდებლად მსჯელობის უფლება აქვს. კერძოდ: სსსკ-ის 261.3 მუხლის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს სასამართლო სხდომაზე, რომლის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას. სსკ 262.3<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ზეპირი მოსმენის გარეშეც განიხილოს სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებული საკითხი. მართალია, კანონი უშვებს მოსამართლის დისკრეციას, საქმის განხილვის ფორმის არჩევასთან დაკავშირებით, თუმცა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის ფორმა არ ათავისუფლებს სასამართლოს იმ იმპერატიული დანაწესის დაცვისგან, რაც არის მხარეთა წინასწარი ინფორმირებულობა, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი დასმულია ან საკუთრივ მოსამართლის, ან რომელიმე მხარის მიერ. აღნიშნულს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით. მხარე უნდა იყოს ინფორმირებული ნებისმიერ პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს მის წინააღმდეგ რაიმე გადაწყვეტილების მიღება, იქნება ეს პროცესუალური თუ მატერიალურ-სამართლებრივი.

16. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ აპელანტი მხარისათვის არ ყოფილა ცნობილი დამატებითი გადაწყვეტილებაზე მსჯელობის შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, დაირღვა სსსკ-ის 261-ე მუხლით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნა, რაც დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს დამატებითი გადაწყვეტილების გაშვების შესახებ.

### **კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

18. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის მე-4, 249-ე მუხლების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლისა და ევ-

როსასამართლოს პრაქტიკის უგულბებელყოფით, გასაჩივრებულ განჩინებაში არ გასცა დეტალური პასუხი მხარის არგუმენტებს, რომლებსაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა.

19. კასატორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინებით გაუქმდა დამატებითი გადაწყვეტილება. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით კი, გადაწყვეტილება უქმდება გადაწყვეტილებით და არა განჩინებით. სააპელაციო პალატამ, ერთი მხრივ, უცვლელად დატოვა დამატებითი გადაწყვეტილება, მეორე მხრივ კი, საქმის გარემოებების გვერდის ავლით უსაფუძვლოდ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი.

20. კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ თავად დაადასტურა, რომ 2020 წლის 13 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თარიღი მოსარჩელისათვის ცნობილი არ იყო. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ საქმეში არ დევს მტკიცებულება იმის შესახებ, მოსარჩელეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება თუ როდის ჩაჰპარდა. აღნიშნულის მიუხედავად, პალატამ გაიზიარა საჩივრის ავტორის უსაფუძვლო პოზიცია, რომ მოსარჩელისათვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ მისი გამოტანის დღესვე იყო ცნობილი.

21. კასატორმა მიუთითა, რომ 2020 წლის 13 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი მოსარჩელემ შეიტყო არა 13, არამედ 28 მაისს სასამართლოს საქმის წარმოების სისტემის საიტის მეშვეობით. შესაბამისად, კასატორმა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადება დროულად შეიტანა.

22. კასატორმა იუჟამდგომლა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენით განიხილვის შესახებ.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 19 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2021 წლის 18 მაისის განჩინებით კი, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

24. საკასაციო სასამართლო წინამდებარე საქმის მასალების შესწავლის და განსახილველი საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გასაჩივრე-

ბული განჩინება უნდა გაუქმდეს და საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

25. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. სსკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი, კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

26. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, „საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადანყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხარეები მოითხოვენ და დაადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით. სასამართლოსთვის მინიჭებული ამგვარი ლეგიტიმური უფლება გამოდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებიდან. საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეულ ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე და იმის მიხედვით, თუ როგორ შეცვლის ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადანყვეტილებას, ამას მოჰყვება პროცესის ხარჯების განაწილების ცვლილებაც, საკასაციო პალატის შეფასებით, ვინაიდან არსებობს დავის გადანყვეტასთან ერთად იმავე დავაზე განეული ხარჯების დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმი, ხოლო საპროცესო კანონი სპეციალურ რეგულაციას არ იცნობს, მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრება) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ უნდა შეეზღუდოთ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ, ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა და მანამდე მხარისთვის ამ ფაქტის შესახებ ობიექტურად ცნობილი

ვერ იქნებოდა“ (იხ. სუსგ №ას-165-158-2013, 27 იანვარი, 2014 წელი).

27. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი გადანყვეტილება არაა სრულყოფილი და არ შეიცავს პასუხს ყველა იმ საკითხზე, რომელიც განხილვის საგანი იყო სასამართლო პროცესში (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ.372.).

28. სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაში გადანყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადანყვეტილება, კერძოდ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადანყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადანყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

29. მოხმობილი ნორმის დეფინიციიდან გამომდინარეობს, რომ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ამომწურავ ჩამონათვალს იმ საკითხების განხილვისა და გადანყვეტისათვის, რომელიც ახასიათებს დამატებითი გადანყვეტილების ინტიტუტს. აღსანიშნავია ისიც, რომ დამატებითი გადანყვეტილების გამოტანა დასაშვებია როგორც მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, ისე სასამართლოს ინიციატივით. მითითებული მუხლი ითვალისწინებს ისეთი ხარვეზის აღმოფხვრის მექანიზმებს, როდესაც, მართალია, მხარემ მოითხოვა პროცესის ხარჯების ანაზღაურება სასამართლოსაგან, მაგრამ სასამართლოს თავისი მიზეზით გამორჩა მხედველობიდან ამ საკითხის გადანყვეტა (შდრ. სუსგ.-ები: №ას-1054-2019, 30.09.2019წ., №ას-165-158-2013, 27.01.2014წ.).

30. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი არეგულირებს შემთხვევას, როდესაც მხარემ დასვა საპროცესო ხარჯების მოწინააღმდეგისათვის დაკისრების საკითხი, თუმცა სასამართლოს თავისი ბრალით გამორჩა მხედველობიდან ამ საკითხის გადანყვეტა, ამასთანავე, მითითებული ნორმა არეგულირებს ე.წ „ნაკლიანი“ გადანყვეტილების გასწორების შესაძლებლობას და მისი რეგულირების ქვეშ მოიაზრება მთლიანად სასამართლო ხარჯების საკითხი (როგორც სასამართლო,

ისე არასასამართლო ხარჯები) (იხ. სუსგ №ას-658-625-2014, 26 იანვარი, 2015 წელი).

31. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 ივნისის დამატებითი გადაწყვეტილებით მოსარჩელის განცხადება დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლოს გარეშე ხარჯის (ექსპერტიზის ხარჯი – 1700 ლარი, ქონების შეფასების ხარჯი – 1180 ლ, სულ – 2880 ლარის გადახდა.

32. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. 7-დღიანი ვადით კანონმდებელმა შემოსაზღვრა როგორც მხარეთა, ისე სასამართლოს შესაძლებლობა, ამავე ნორმით დადგენილი წინაპირობების შემთხვევაში, სასამართლომ გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, რადგან დაადგინა, რომ ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება (სუსგ. №ას-1670-2019, 21.05.2020წ.). დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის 7-დღიანი ვადის დენის დანყებას კანონი უკავშირებს როგორც წესი, გადაწყვეტილების გამოცხადებას და არა მხარისათვის მის ჩაბარებას, რადგან სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ მხარეებისათვის ცხადი ხდება, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია ერთ-ერთი იმ ხარვეზით, რასაც ითვალისწინებს სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი. შესაბამისად, კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული დათქმა ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლომ დროულად გამოასწოროს მის მიერ დაშვებული ხარვეზი (სუსგ. №ას-1670-2019, 21.05.2020წ.; №ას-920-870-2015, 09.06.2016წ.), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

33. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, თუ რა მოვლენას უკავშირებს კანონმდებელი დამატებითი გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი 7-დღიანი საპროცესო ვადის ათვლის დანყებას, – ესაა გადაწყვეტილების ზეპირ სხდომაზე გამოცხადება. კანონის ამ დათქმას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ მხარე სასასამართლო სხდომაზე მოისმენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს და მყისიერად შეიტყობს, სასამართლომ იმსჯელა და პასუხი გასცა თუ არა მის ყველა მოთხოვნას. ასეთ ვითარებაში მხარე, რომელიც აღმოაჩენს, რომ არსებობს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ განცხადების წარდგენის სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველ ნაწილში ასახული რომელიმე წინაპირობა, 7 დღეში მიმართავს სასამართლოს



და მოითხოვს მის მიერ დასმული და სასამართლოს მხრიდან გამოტოვებული საკითხის გადაწყვეტას.

34. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის განხილვა ზეპირ სხდომაზე ყოველთვის არ მიმდინარეობს და მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს რიგ შემთხვევებში დავა გადაწყვეტოს მხარეთა მონვევის გარეშე. ასეთ დროს მხარეებს დავის სამართლებრივი შედეგი ეცნობებათ მას შემდეგ, რაც გადაეცემათ სასამართლო გადაწყვეტილება/განჩინება.

35. შესაბამისად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევაში სსსკ-ის 261-ე მუხლით დადგენილი საპროცესო ვადა უნდა აითვალოს არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების დღიდან, არამედ მხარისათვის მისი სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარების მომენტიდან, ანუ იმ დროიდან როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის საჭიროების არსებობის შესახებ.

36. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ 2020 წლის 13 მაისს ძირითადი დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო დავის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად. აღნიშნული საპროცესო დოკუმენტი მოსაჩივრეს არ გაეზავნა და არც მისი ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. საქმეში განთავსებულია, სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტი, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაეგზავნა მხოლოდ მოპასუხეს 2020 წლის 25 მაისს და ჩაბარდა 2020 წლის 09 ივნისს.

37. 2020 წლის 01 ივნისს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქალაქო სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ და მიუთითა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო 2020 წლის 28 მაისს საქმის წარმოების სისტემის საიტის მეშვეობით.

38. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 13 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა მოსარჩელის შუამდგომლობით. საქმეში არ დევს მტკიცებულება, თუ როდის ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება შუამდგომლობის ავტორს – მოსარჩელეს, შესაბამისად, საქმის მასალებით არ დგინდება, დაცულია თუ არა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დაყენებისათვის კანონით დადგენილი 7-დღიანი ვადა. აღნიშ-

ნულ გარემოებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დამატებითი გადანყვეტილების გამოტანა მოთხოვნილი იყო სასამართლო ხარჯების თაობაზე, რომელიც მოპასუხის ფულად ვალდებულებას ზრდის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ, შესაბამისი წერილობითი კორესპონდენციის არარსებობის პირობებში (თუ როდის ეცნობა დაუსწრებელი გადანყვეტილების შინაარსი მოსარჩელეს), მოსარჩელისათვის დაუსწრებელი გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი მაშინვე, გამოტანის დღესვე გახდა ცნობილი. სანინალმდეგოს დაშვება გამოიწვევდა მოპასუხის მოსარჩელესთან მიმართებით არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც ეწინააღმდეგება საპროცესო თანასწორობის პრინციპს. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასულია დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის კანონით დადგენილი ვადა (იხ. წინამდებარე გადანყვეტილების პ. 15).

39. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ რადგან ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადანყვეტილება გამოტანილი იქნა მოსარჩელის შუამდგომლობით, ამიტომაც დაუსწრებელი გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი მისთვის გამოტანის დღესვე გახდა ცნობილი. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს, საქმეში განთავსებულ მოსარჩელის სხვადასხვა დროს აღძრულ შუამდგომლობებზე მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის შესახებ: 2019 წლის 10 დეკემბრის შუამდგომლობა; 2019 წლის 17 დეკემბრის შუამდგომლობა; 2019 წლის 30 დეკემბრის შუამდგომლობა; 2020 წლის 15 იანვრის შუამდგომლობა; 2020 წლის 10 თებერვლის შუამდგომლობა; 2020 წლის 04 მარტის შუამდგომლობა; 2020 წლის 17 მარტის შუამდგომლობა. დაუსწრებელი გადანყვეტილება კი გამოტანილი იქნა ბოლო შუამდგომლობიდან თითქმის ორი თვის გასვლის შემდეგ – 2020 წლის 13 მაისს.

40. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი გადანყვეტილების გამოტანის საკითხი განხილული იქნება ზეპირი მოსმენის გარეშე, სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილით ზემოაღნიშნული საპროცესო ვადის ათვლა, უნდა დაიწყოს განჩინების განმცხადებლისათვის გადაცემის მომდევნო დღიდან. (შდრ. სუსგ №ას-259-2020, 11 მარტი, 2021; სუსგ №ას-1602-2018, 24 მარტი, 2021). ვადის ათვლა ასეთ შემთხვევაში უნდა დაუკავშირდეს გადანყვეტილების (განჩინების) მხარისთვის ჩაბარებას, რამეთუ იქამდე მხარე მოკლებული იყო ობიექტურ შესაძლებლობას, ევარაუდა დამატებითი გადანყვეტი-

ლების/განჩინების გამოტანის საჭიროება (შდრ. სუსგ №ას-242-2020, 20 ოქტომბერი, 2020. დამკვიდრებული პრაქტიკით, საკითხი ანალოგიურადაა რეგლამენტირებული ისეთ შემთხვევებში, როცა გადანყვეტილების გამოცხადებას არ ესწრება მხარე, რომლისთვისაც ცნობილი იყო გამოცხადების თარიღი (იხ.: სუსგ საქმეზე №ას-180-180-2018, 04 მაისი, 2018წ.).

41. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მართალია, „სასამართლო უფლება“, განსაკუთრებით სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა ამ შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდონ მოსარჩელის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ დონემდე, რომ მან გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე. შეზღუდვები აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს მხოლოდ მაშინ, თუ აქვს დასახული ლეგიტიმური მიზანი და თუ არის დაცული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებასა და დასახულ მიზანს შორის (Liakopoulou v. Greece, 20627/04, \$17, 2006, ECHR).

42. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სასამართლო ვალდებული იყო, მოსარჩელისთვისაც გაეზავნა დაუსრულებელი გადანყვეტილების ასლი, რაც მას არ განუხორციელებია. ამის გათვალისწინებით, განმცხადებლის (მოსარჩელის) მიმართ სსსკ-ის 261-ე მუხლით განსაზღვრული 7-დღიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყო მის მიერ მითითებული ძირითადი გადანყვეტილების შინაარსის გაცნობის მომენტიდან – 2020 წლის 28 მაისიდან.

43. სსსკ-ის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების მიხედვით კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

44. ამდენად, სადავო საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 2020 წლის 29 მაისიდან და ამოიწურა ამავე წლის 4 ივნისს. განცხადება კი მოსარჩელემ შეიტანა 2020 წლის 1 ივნისს, კანონით დადგენილ 7 დღიან ვადაში.

45. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ საკითხზეც, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ თავისი ინიციატივით იმსჯელა დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ საფუძვლითაც, რომ აპელანტი (მოპასუხე) მხარისათვის არ იყო ცნობილი მოსარჩელის განცხადების შინაარსი დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

46. საკასაციო სასამართლოს არაერთ განჩინებაში განმარტებულია, თუ საკითხი ეხება სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ ზემოხსენებული საფუძვლებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რომლის თაობაზეც უნდა ეცნობოთ მხარეებს კანონით დადგენილი წესით (სსკ-ის 261.3 მუხლი), ხოლო, თუ საკითხი ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ სასამართლო ხარჯების თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რის თაობაზეც ასევე უნდა ეცნობოთ მხარეებს (სსკ-ის 261.3<sup>1</sup> მუხლი), თუმცა მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

47. საქმეში განთავსებულ 2020 წლის 04 ივნისის დამატებით გადაწყვეტილებაში, სასამართლომ იმსჯელა დამატებითი გადაწყვეტილების ზეპირი მოსმენის გარეშე გამოტანის მიზანშეწონილობის შესახებ. აღნიშნული დამატებითი გადაწყვეტილება გაეგზავნა და ჩაჰბარდა მოპასუხე მხარეს 2020 წლის 15 ივნისს. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს 2020 წლის 04 ივნისის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმების სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

48. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სადავო დამატებითი გადაწყვეტილება არასწორად გააუქმა.

49. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო

თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

50. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმის სააპელაციო პალატისათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობის არსებობა არ დადგენილა. იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ პროცესის ხარჯებს და არა რაიმე მატერიალურ სამართლებრივ უფლებას, ამიტომაც მიღებული უნდა იქნეს განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 04 ივნისის დამატებითი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

51. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

52. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის (კასატორი) სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 411-ე მუხლით, 284-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 14 დეკემბრის განჩინება.
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 04 ივნისის დამატებითი გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
4. შპს „ჭ-ის ...-ს“ თ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# გადანყვეტილების ასლის მხარეებისთვის ჩაბარება

## განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-886-836-2015

25 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუერი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაო ადგილზე  
აღდგენა, იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

### II. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები

2. ი. რ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სს „გ-ის“  
მიმართ, რომლითაც მოითხოვდა:

– ი. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სს „გ-ის“ დირექტორის – მ. პ-ის 2014 წლის 31 მარტის №3... ბრძანების ბათილად ცნობა;

– ი. რ-ის სს „გ-ის“ სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენა;

– სს „გ-ისათვის“ ი. რ-ის სასარგებლოდ იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2014 წლის 31 მარტიდან სამუშაო ადგილზე აღდგენამდე, ყოველთვიურად 2500 ლარის ოდენობით.

### III. მოპასუხის პოზიცია

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

### IV. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### V. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

5. გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილ ვადაში, სააპელაციო საჩივარი წარადგინა ი. რ-მა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ი. რ-ის სარჩელის დაკმაყოფილება.

## **VI. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები**

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისის განჩინებით ი. რ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

7. მოცემული საქმის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე და 385-ე მუხლების საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

8. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 3.2.1 აბზაცში განვითარებული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული თანამდებობის – სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობის არსებობა არ დასტურდებოდა. პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი და ეს ტვირთი მოსარჩელეს გადააკისრა, მაშინ, როცა შრომის სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე (ვინაიდან ამ ურთერთობებში მონაწილეობს სუსტი მხარე – დასაქმებული და ძლიერი მხარე – დამსაქმებელი), ის თუ რომელ თანამდებობაზე მუშაობდა აპელანტი (მოსარჩელე) სწორედ საწარმოს უნდა ემტკიცებინა, ვინაიდან მას, როგორც სამენარმეო სუბიექტს „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ევალება ეს საქმიანობა „ორგანიზებულად“ წარმართოს ანუ, მონესრიგებული ჰქონდეს თავისი სააღრიცხვო და ა.შ. საქმიანობა და საბუთები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვინაიდან: ა) 2014 წლის 31 დეკემბრის გათავისუფლების ბრძანებაში საწარმო ვერ მიუთითებდა თუ რომელი კონკრეტული თანამდებობიდან გაათავისუფლა დასაქმებული (ანუ, სავარაუდოა, რომ თავად საწარმომაც არ იცოდა კონკრეტულად რა თანამდებობაზე მუშაობდა იგი, და თუ ეს ასე არაა, მაშინ, თავად უნდა დაემტკიცებინა საწინააღმდეგო) და ბ) მოსარჩელე ითხოვდა კონკრეტულად სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენას.

9. საქმეში წარმოდგენილი საბუთებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შრომითი ურთერთობა საწარმოსთან აპელანტმა (მოსარჩელემ) დაიწყო ჯერ კიდევ, 2012 წლის

16 ივლისს, როდესაც იგი დაინიშნა მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელად ერთთვიანი გამოსაცდელი ვადით. 2012 წლის 01 დეკემბრიდან იგი დაინიშნა რეგიონალური ქსელის განვითარების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ამ ბრძანების შემდეგ რაიმე ოფიციალური საბუთი მისი დანიშვნის ან გადაყვანის შესახებ აღარ მოიპოვება, გარდა 2014 წლის 26 მარტის ცნობისა, რომლის თანახმად, აპელანტი მუშაობს სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. მართალია ეს ცნობა გაუქმდა 2014 წლის 26 მარტის ბრძანებითვე, მაგრამ პალატამ მიუთითა, რომ ისევე სანარმოს, როგორც ძლიერი მხარის მდგომარეობიდან გამომდინარე (რაც გამოიხატება ამგვარი ან მსგავსი ბრძანებების ყოველდღიურ ან დღეში რამდენჯერმე გამოცემის შესაძლებლობაში), უნდა ემტკიცებინა ის, რომ მას, ასეთი თანამდებობა მართლაც არ ჰქონდა. ამის დასადასტურებლად კი, მხოლოდ ანალოგიური დოკუმენტის – ბრძანების გამოცემა არ იყო საკმარისი, საჭირო იყო ამ ბრძანების გამოცემაზე დამტკიცებული საშტატო განრიგი, რომ ასეთი თანამდებობა 2014 წლის 26 მარტს მართლაც არ არსებობდა. ასეთი კი, მხარემ ვერ წარმოადგინა. უფრო მეტიც, მოწმედ დაკითხულმა სანარმოს დირექტორმა გ. შ-მ განმარტა, რომ რაიმე დალაგებული სტრუქტურა სანარმოს არ გააჩნდა და იგი, როგორც დირექტორი მუშაობდა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

10. ანალოგიური განმარტება მიეცა საქმეში წარმოდგენილ 2014 წლის 27 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს, რომლის მიხედვით, გაუქმდა თანამგზავრული ქსელის დეპარტამენტი და მასში შემავალი საშტატო ერთეულები. სახელდობრ, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სანარმოს უნდა დაემტკიცებინა, რომ სწორედ ამ დეპარტამენტში შედიოდა ის თანამდებობა, რომელიც ეკავა ი. რ-ს და რომელიც გათავისუფლების ბრძანებაში ვერ მიუთითა, ანუ ამ მტკიცებულების განკუთვნიანობა მოცემულ საქმესთან გაპირობებული შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მაშინ თუ, დადგინდებოდა მისი კავშირი აპელანტთან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც გათავისუფლების ბრძანებაში არაა აღნიშნული აპელანტის თანამდებობა, არაა წარმოდგენილი 2014 წლის 26 მარტამდე არსებული საშტატო განრიგი, შეუძლებელია დამტკიცდეს რა კავშირი აქვს ამ ოქმს აპელანტთან. შეიძლება გაუქმდა დეპარტამენტი, მაგრამ ამას უნდა ჰქონდეს კავშირი აპელანტთან. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის მარტის თვის ხელფასის უწყისში ასეთი დეპარტამენტი არ იკითხება (მაშინ, როცა იგი ამ დროს იგი ჯერ კიდევ არსებობდა) და მით უმეტეს, არ იქნება ასეთი დეპარტამენტი იმა-



ვე წლის ოქტომბრის თვის უწყისში, როცა იგი გაუქმებული იყო. საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ ოქმზე საერთოდ არ უმსჯელია, მაშინ, როცა საწარმო შტატების შემცირების საფუძვლად სწორედ მას ასახელებდა.

11. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და აღნიშნა, რომ ნორმის დანაწესით დაშვებულია შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა გარკვეულ გარემოებებში. უფრო მეტიც, იმავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი უშვებს განსაზღვრულ პირობებში, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტასაც. მაგრამ იმისათვის რომ დადგინდეს ასეთი გარემოებების არსებობა, ამისათვის საჭიროა მხარეებზე მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილება, რათა დავიცვათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი ქცევის წესი.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, მიზანშეწონილად მიიჩნია საქმის დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში: ა) რა კონკრეტულ თანამდებობაზე მუშაობდა აპელანტი 2014 წლის მარტის ბოლოს; ბ) რა კონკრეტული თანამდებობიდან გათავისუფლდა აპელანტი 2014 წლის 31 მარტის ბრძანებით; გ) რამდენად განკუთვნილია საწარმოს მიერ წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი და მისი შედეგები აპელანტთან.

12. ასევე, საფუძველს მოკლებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 6.2 აბზაცში მოყვანილი დასკვნა იმის შესახებ, რომ აპელანტმა გადააცილა გასაჩივრების 30 დღიან ვადას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. რ-მა 2014 წლის 31 მარტს ჩააბარა საწარმოს წერილი შემთანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ. იმავე დღეს გამოიცა სადავო ბრძანება. ამ ბრძანების წერილობითი დასაბუთება გამოიცა 2014 წლის 14 მაისს და გაეგზავნა აპელანტს იმავე დღეს, თუმცა არაა წარმოდგენილი მისი აპელანტისათვის ჩაბარების მტკიცებულება. მიუხედავად ამისა, დგინდება, რომ სარჩელი შეტანილ იქნა 2014 წლის 18 ივნისს. ამდენად, იმისათვის რომ გამოყენებული ყოფილიყო შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი, უტყუარად უნდა დადგენილიყო წერილობითი დასაბუთების აპელანტისათვის ჩაბარების დრო, რაც საწარმოს მტკიცებულების ტვირთს წარმოადგენდა. ვინაიდან ასეთი მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი, პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრების 30-დღიანი ვადის დარღვევაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მითი-

თება მოკლებული იყო ფაქტობრივ საფუძვლიანობას.

## **VII. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები**

13. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება სს „გ-მა“ გაა-საჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გა-დანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

14. კასატორის პრეტენზია (კასაციის საფუძვლები) იმ გარემო-ებას ემყარება, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპ-როცესო ნორმების დარღვევით მიიღო წარმობაში სააპელაციო სა-ჩივარი.

კასატორი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადან-ყვეტილება ი. რ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხ-ლის მოთხოვნათა დაცვით უნდა ჩაებარებინა 2015 წლის 12 იან-ვრამდე, ხოლო სააპელაციო საჩივარი კი, უნდა შეეტანა 2015 წლის 26 იანვრამდე.

კასატორის მითითებით, ი. რ-ი არ წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბა-ჟის გადახდისაგან გათავისუფლებულ პირს სარჩელის მოთხოვნის ყველა ნაწილში, სახელდობრ, სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქარ-თველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სა-ხელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ფიზიკური პი-რები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომ-დინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, ი. რ-ის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას სამუშაო ადგილზე აღდგენა წარმოადგენდა, შესაბამისად, მოთ-ხოვნის მითითებულ ნაწილში, იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდისა-გან გათავისუფლებულ პირად არ მიიჩნეოდა და სახელმწიფო ბა-ჟიც ჰქონდა გადახდილი ორივე ინსტანციის სასამართლოში. ეს ყო-ველივე კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის მოთ-ხოვნათა შესაბამისად ი. რ-ს წარმოუშობდა საპროცესო სამარ-თლებრივ ვალდებულებას გამოცხადებულიყო სასამართლოში გა-დანყვეტილების გამოცხადებიდან 20-30 დღიან ინტერვალში და უშუალოდ ჩაებარებინა გადანყვეტილება.

15. ამასთან, კასატორი მიუთითებს სარჩელის ხანდაზმულობა-ზეც და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არასწორად დაადგინა, რომ მონინალმდევე მხარის მიერ შრომის კოდექსით დადგენილი სარჩელის შეტანის ვა-

და დაცული იყო.

კასატორის მითითებით, ი. რ-მა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი ვადის დარღვევით მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების წერილობითი დასაბუთება. 2014 წლის 31 მარტს გათავისუფლებულ ი. რ-ს 30 დღის ვადაში ანუ, 2014 წლის 01 მაისამდე უნდა მოეთხოვა წერილობითი დასაბუთება, მაშინ როდესაც მან დამსაქმებელს ასეთი მოთხოვნით მიმართა 2014 წლის 8 მაისს.

2014 წლის 14 მაისს სს „გ-ის“ მიერ გაიცა ი. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების წერილობითი დასაბუთება. შესაბამისად, ი. რ-ს სარჩელი უნდა შეეტანა 2014 წლის 13 ივნისს. სარჩელი შეტანილ იქნა 2014 წლის 18 ივნისს (სარჩელზე დასმულია თარიღი 2014 წლის 17 ივნისი).

ამრიგად, აპელანტის მიერ დაირღვა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის და ამავე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი ვადები.

კასატორის განმარტებით, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ვადები ერთმანეთს უკავშირდება და ერთი ვადის ამოწურვა იწვევს მეორე ვადის დენის დაწყებას. სააპელაციო სასამართლომ კი, გამოიყენა მხოლოდ 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი და უგულვებელყო ის ვადები, რომლებიც უშუალოდ წინ უძღვის ხსენებული მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ ვადას, რომელიც ეხება დამსაქმებლისგან წერილობითი დასაბუთების დროულად (გათავისუფლებიდან 30 კალენდარულ დღეში) მოთხოვნას და მიუხედავად ამ დასაბუთების მიღებისა (დასაბუთების მოთხოვნისგან 7 დღის ვადა) მისი დროული გასაჩივრება (7 დღიანი ვადის ამოწურვიდან 30 კალენდარული დღე).

სს „გ-მა“ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დაასაბუთა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ დასაბუთება მოითხოვა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. ამიტომ, ი. რ-ის მიერ სარჩელის შეტანის ვადა დარღვეულია.

გარდა ამისა, ი. რ-მა წერილობითი დასაბუთების მოთხოვნა სს „გ-ს“ ჩააბარა 2014 წლის 8 მაისს. შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მიუხედავად დამსაქმებლის წერილობითი დასაბუთებისა, ი. რ-ს 2014 წლის 08 მაისიდან 07 დღის გასვლის შემდეგ ანუ, 15 მაისიდან 30 დღის ვადაში უნდა წარედგინა სარჩელი, ანუ 2014 წლის 15 ივნისამდე. სარჩელი კი, შეტანილ იქნა 2014 წლის 18 ივნისს.

16. კასატორი სადავოდ ხდის საქმის სააპელაციო წესით განხილველი სასამართლოს მიერ მხარეთა შორის მტკიცების ტვირ-

თის განაწილების წესს.

კასატორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ სს „გ-ი“, რომელიც არის „ძლიერი მხარე“ ვალდებულია ეკისრება ამტკიცოს მუშაობდა თუ არა ი. რ-ი მის მიერ სარჩელში მითითებულ თანამდებობაზე – სამონტაჟო სამსახურის უფროსად. კასატორის მითითებით, აღნიშნული მსჯელობა ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დანაწესს. შრომის კოდექსიდან გამომდინარე ურთიერთობებზე კი, სრულად ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის სტანდარტი. საგამონაკლისო შემთხვევას აწესრიგებს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რა შემთხვევაშიც, დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს, რომელმაც დასაქმებულის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში თუ წერილობით არ დაასაბუთა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, მაშინ დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი მას ეკისრება.

მოცემულ საქმის მასალებიდან კი, ასეთი შემთხვევა არ იკვეთება.

17. კასატორი არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარის მითითებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ი. რ-ის „გ-ის“ ყოფილი გენერალური დირექტორის – გ. შ-ს მიერ 2013 წლის 28 ნოემბრის შემდეგ დაინიშნა სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

ამასთან, სასამართლოზე ი. რ-ის მოთხოვნით მოწმედ დაკითხულმა გ. შ-მ კატეგორიულად უარყო მოწინააღმდეგე მხარის დანიშვნა ხსენებულ თანამდებობაზე. მისი თქმით, სამსახურში იგეგმებოდა სტრუქტურული ცვლილებები, თუმცა ამ ცვლილებების განხორციელებამდე იგი განთავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან. მხოლოდ ამ ჩვენებებზე დაყრდნობით კი, შეეძლო სააპელაციო სასამართლოს დაედგინა, რომ ი. რ-ი ცრუობდა და არადროს უმუშავია სადავო თანამდებობაზე. მით უფრო, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის წერილობითი დოკუმენტი მხარეს არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც, მან წარმოადგინა ისეთი დოკუმენტი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის მისივე განმარტებასთან. კასატორის მითითებით, ყალბია დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ი. რ-ს 2013 წლის ივლისში მიმართავენ, როგორც სამონტაჟო სამსახურის უფროსს.

18. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სს „გ-მა“ ი. რ-ის გათავისუფლების ბრძანებაში

არ მიუთითა, თუ რომელი თანამდებობიდან მოხდა მისი გათავისუფლება.

კასატორი აღნიშნავს, რომ კანონი არ ითვალისწინებს გათავისუფლების ბრძანების აუცილებელ რეკვიზიტად თანამდებობის მითითებას.

კანონი ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას წერილობით დასაბუთების თაობაზე, რომელშიც უნდა აღინიშნოს თუ, რატომ მოხდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა მხარესთან, რომელშიც ასევე აღინიშნება, თუ რომელი თანამდებობიდან მოხდა დასაქმებულის გათავისუფლება. ყველა ეს გარემოება კი, დეტალურად არის აღწერილი სს „გ-ის“ წერილობით დასაბუთებაში.

19. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა 2014 წლის 26 მარტის ცნობას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ ცნობის ბრძანებით გაუქმებისა, ეს საკმარისი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ ი. რ-ი მუშაობდა სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა და დოქტრინა იცნობს ვალდებულებითი ურთიერთობის (ვალის) არსებობის კაუზალურ და აბსტრაქტულ აღიარებას. აბსტრაქტული აღიარება არ საჭიროებს საფუძველს (კაუზას) და იგი ნამდვილია, მიუხედავად იმისა, სინამდვილის შესაბამისი ფაქტები მოცემულია თუ არა მასში. ვალის (ვალდებულებითი ურთიერთობა) აბსტრაქტულ აღიარებას ეხება სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი. განსხვავებით ვალის (ვალდებულებითი ურთიერთობის) აბსტრაქტული აღიარებისა, ვალდებულებითი ურთიერთობის კაუზალური (არააბსტრაქტული) აღიარება აუცილებლად მოითხოვს, რომ ასეთ აღიარებას ჰქონდეს კაუზა (საფუძველი).

ცნობა, როგორც სიტყვა მიანიშნებს, რომ არის უკვე არსებულ მონაცემებსა და ურთიერთობებზე ინფორმაცია, ის პირდაპირ დაკავშირებულია პირველად მონაცემებზე და ურთიერთობებზე, რომელთა დაკავშირებითაც გაიცემა ცნობა.

სს „გ-ს“ 2014 წლის 26 მარტის ცნობა, რომ ი. რ-ი მუშაობს სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, არის კაუზალური აღიარება და იგი უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ საფუძველს (ი. რ-ის სამსახურში დანიშვნის ბრძანებას ან შრომით ხელშეკრულებას), რაც არ არსებობს.

მოცემულ შემთხვევაში, 2014 წლის 26 მარტის ბრძანებით გაუქმდა არასწორ მონაცემებზე დაყრდნობით გაცემული ცნობა და აღნიშნულის შესახებ ეცნობა ყველა დაინტერესებულ პირს.

ასევე, კასატორმა აღნიშნა რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა 2014 წლის მარტის თვის საშტატო განრიგი. სს „გ-ში“ მარტის თვეში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები და წარმოდგენილ საშტატო განრიგში მოცემულია სტრუქტურული ცვლილებების შემდგომი მდგომარეობა და მასში ვერ აისახებოდა უკვე გაუქმებული სამსახურები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

#### **VIII. საკასაციო პალატის დასკვნები**

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 05 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

21. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

კასატორი ერთ-ერთ საკასაციო პრეტენზიას საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე ამყარებს. მისი მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, დარღვეულია სააპელაციო საჩივრის შეტანის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადა, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საპროცესო სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

22. ვინაიდან კასატორის მითითებული პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევას შეეხება, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება დაიწყოს სწორედ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობების არსებობის კვლევით.

23. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პოზიცია ი. რ.-ის მხრიდან სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის დარღვევასთან მიმართებით, მართებულია და გაზიარებული უნდა იქნეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, იმ ფაქტს, რომ სამოქალაქო საქმეზე №2/10284-14, ი. რ.-ის სარჩელის გამო მოპასუხე, სს „გ-ის“ მიმართ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაო ადგილზე აღდგენისა და იძულებითი მოცდენილი დროის ხელფასის

ანაზღაურების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2014 წლის 12 დეკემბერს.

მითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას უშუალოდ ესწრებოდა მოსარჩელე – ი. რ.-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. რ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ირკვევა, რომ მოსარჩელე ი. რ.-ა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილებით ისარგებლა 2015 წლის 17 თებერვალს, ხოლო ამავე წლის 02 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით ი. რ.-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

24. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი თავისი სტრუქტურით ბლანკეტური შინაარსის ნორმაა, რომელიც დათქმას აკეთებს ამავე კოდექსის 46-ე მუხლზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით კი, დადგენილია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების საფუძვლები. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის მიხედვითაც, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების სხვა შემთხვევებს კი, თავის მხრივ, ადგენს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელდობრ, კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია შეღავათები სახელმწიფო ბაჟში, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ი. რ-ის სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენდა:

– ი. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სს „გ-ის“ დირექტორის – მ. პ-ის 2014 წლის 31 მარტის №3... ბრძანების ბათილად ცნობა;

– ი. რ-ის სს „გ-ის“ სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენა;

– სს „გ-ისათვის“ ი. რ-ის სასარგებლოდ იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2014 წლის 31 მარტიდან სამუშაო ადგილზე აღდგენამდე, ყოველთვიურად, 2500 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული მოთხოვნებიდან მოსარჩელე ბრძანების ბათილად ცნობისა და სს „გ-ის“ სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, არ წარმოადგენდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლე და მამასადამე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის რეგულირების სფეროში შემავალ იმ ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც გადანყვეტილების ასლის გაგზავნა და ჩაბარება უნდა უზრუნველყო სასამართლოს ამავე კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების შესახებ სარჩელის მოთხოვნა, როგორც მეორადი მოთხოვნა



ნა, წარმოადგენს უკანონოდ გათავისუფლების შესახებ ბრძანების თანმდევ სამართლებრივ შედეგს, მოსარჩელე არც მოთხოვნის ამ ნაწილში, წარმოადგენს იმ ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ჩაბარების ზემოთმიითებული წესი გავრცელდება.

25. საკასაციო პალატის ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან კი, გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ სწორედ ი. რ-ის საპროცესო სამართლებრივ ვალდებულებას წარმოადგენდა გამოცხადებულიყო სასამართლოში, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-30 დღიან ინტერვალში და უშუალოდ ჩაებარებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილია შესასრულებლად სავალდებულო წესი და ამდენად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა კი, აისახება მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე.

დადგენილია, რომ ი. რ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2015 წლის 30 იანვარს, მაშინ როდესაც უკვე გასული იყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-30 დღიანი ინტერვალი. აღნიშნული კი, იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ი. რ-ის მიმართ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო არა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან, არამედ, ამ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

26. ასევე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილი წესი ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესთან ერთობლიობაში ადგენს გასაჩივრების უფლების წარმოშობისა და ამ ვადის დენის დასაწყისს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. გასაჩივრების ვადის დენის ათვლის წესთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება (იხ., სუს 30.12.2014წ.-ის განჩინება საქმეზე №ას-1161-1106-2014).

განსახილველ შემთხვევაში, ი. რ-ისათვის სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენა, სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, დაიწყო 2015 წლის 11 იანვრიდან.

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. მითითებული ნორმის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად მიიჩნევა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

დადგენილია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2015 წლის 17 თებერვალს. ამ დროსათვის კი, გასული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 14-დღიან ვადა, რადგანაც ეს ვადა ამოიწურა 2015 წლის 25 იანვარს.

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით წლებით გამოსათვლელი ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს.

ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად კი, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 02 მარტს ი. რ-ის სააპელაციო საჩივარი მიიღო განსახილველად, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმა.

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვე-

ტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 409-ე, 412-ე მუხლების მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზიის შემონმების შედეგად საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილია დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 02 მარტს ი. რ-ის სააპელაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევით მიიღო განსახილველად, აღნიშნული კი, გასაჩივრებული განჩინებისა და აგრეთვე, მისი წინმსწრები – ი. რ-ის სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინების გაუქმების უპირობო საფუძველია.

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, სს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, ი. რ-ს უნდა დაეკისროს სს „გ-ის“ მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით, 1750 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

## დაადგინა:

1. სს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისისა და 2015 წლის 02 მარტის განჩინებები და ი. რ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
3. ი. რ-ს დაეკისროს სს „გ-ის“ მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით, 1750 ლარის გადახდა.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კასაციის დასაშვებობა

### გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1191-1133-2014

14 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაეური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

#### აღწერილობითი ნაწილი:

სს „მ.ო.ჯ.კ-მა“ თბილისის საქალაქო სასამართლოში გ. თ-ის, რ. მ-ისა და მ. ს-ას მიმართ წარადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა: 1. გ. თ-ისა და მ. ს-ასათვის სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად სესხის ძირითადი თანხის – 5000 აშშ დოლარის დაკისრება; 2. გ. თ-ისა და მ. ს-ასათვის სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად სესხისათვის გადასახდელი სარგებლის – 702,16 აშშ

დოლარის დაკისრება; 3. გ. თ-ისა და მ. ს-ასათვის სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად სესხის გადახდის ვადაგადაცილებისათვის 2013 წლის 16 აპრილამდე დარიცხული პირგასამტეხლოს – 2787 აშშ დოლარის დაკისრება; 4. გ. თ-ისათვის სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ სასარგებლოდ სესხის გადახდის ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 5000 აშშ დოლარის 0,1%-ის დაკისრება 2013 წლის 16 აპრილიდან სესხის დაფარვამდე; 5. დასახელებული ფულადი ვალდებულების შესრულების მიზნით მის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული, რ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – თბილისში, ჟ. შ-ს ქუჩა №...-ში მდებარე №... ბინის (159,13 კვ.მ, საკადასტრო კოდი: ...) სარეალიზაციოდ მიქცევა.

### **სარჩელი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:**

2012 წლის 28 სექტემბერს სს „მ.ო.ჯ.კ-სა“ და გ. თ-ს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება №0572, რომლითაც გაიცა კრედიტი 5000 აშშ დოლარის ოდენობით 4 თვის ვადით, თვეში 4% სარგებლით. ამავე ხელშეკრულებით ვალდებულების დარღვევისათვის განისაზღვრა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის სესხის თანხის 0,5%-ის ოდენობით. №0572 საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით სს „მ.ო.ჯ.კ-სა“ და მ. ს-ას შორის დაიდო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც მ. ს-ამ სრული პასუხისმგებლობა აიღო გ. თ-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე 6250 აშშ დოლარის ფარგლებში. 2012 წლის 28 სექტემბერს სს „მ.ო.ჯ.კ-სა“ და რ. მ-ს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც №... საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა რ. მ-ის კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე თბილისში, ჟ. შ-ს ქუჩა №...-ში, ბინა №.. (ფართი 159.13 კვ.მ, საკადასტრო კოდი – ...). გ. თ-მა დაარღვია საკრედიტო ხელშეკრულების შესრულების გრაფიკი, რასთან დაკავშირებით მოპასუხეებს გაეგზავნათ შეტყობინებები, თუმცა ვალდებულება შესრულებული არ ყოფილა. შედეგად, 2013 წლის 16 აპრილისათვის გ. თ-ის დავალიანებამ შეადგინა 8489,84 აშშ დოლარი, საიდანაც 5000 აშშ დოლარი სესხის ძირითადი თანხაა, 702,16 აშშ დოლარი – სარგებელი, ხოლო 2787,68 აშშ დოლარი – პირგასამტეხლო.

მოპასუხე გ. თ-მა სარჩელი ცნო სესხის ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდის მოთხოვნის ნაწილში, ხოლო არ ცნო პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის ნაწილში იმაზე მითითებით, რომ მოსარჩელის მიერ დარიცხული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მა-

ღალია, იგი უნდა იქნეს გაუქმებული ან 10-ჯერ შემცირებული.

მოპასუხე მ. ს-ამ სარჩელი არ ცნო. შესაგებლის მიხედვით, მ. ს-ას არ დაუნერია განცხადება 2012 წლის 28 სექტემბერის №0572 საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების თავდებობასთან დაკავშირებით, ხოლო თავდებობის ხელშეკრულებას ხელი შეეცდომით მოაწერა, რის გამოც იგი არ შეიძლება, ნამდვილად ჩაითვალოს.

მოპასუხე რ. მ-ს სარჩელზე შესაგებელი არ წარუდგენია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შემდეგი სახით: 1. გ. თ-სა და მ. ს-ას სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 5980.94 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძირითადი თანხაა 5000 აშშ დოლარი, პროცენტი – 702.16 აშშ დოლარი, ხოლო პირგასამტეხლო – 278.78 აშშ დოლარი; 2. არ დაკმაყოფილდა სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ სასარჩელო მოთხოვნა გ. თ-სა და მ. ს-ასათვის პირგასამტეხლოს სახით 2508.9 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე; 3. გ. თ-ს სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით დაეკისრა 2013 წლის 16 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის ვადით, ყოველდღიურად 0.5 აშშ დოლარის გადახდა; 4. ფულადი დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული, რ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე თბილისში, ჟ. მ-ს №...-ში ბინა №... (ფართი 159.13 კვ.მ, საკადასტრო კოდი – ...).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მ. ს-ამ, მოითხოვა მისი გაუქმება მ. ს-აზე თანხის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის შესაბამისი ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით მ. ს-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

2012 წლის 28 სექტემბერს სს „მ.ო.ჯ.კ-სა“ და გ. თ-ს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება №..., რომლის მიხედვით, კრედიტის ოდენობად განისაზღვრა 5000 აშშ დოლარი, მოქმედების ვა-

დად – 4 თვე, სარგებლის ოდენობად – 4%, ხოლო პირგასამტეხლოდ – 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

2012 წლის 28 სექტემბერის №... ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით სს „მ.ო.ჯ.კ-სა“ და მ. ს-ას შორის დაიდო სოლიდარული თავდებობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მ. ს-ამ სრული პასუხისმგებლობა აიღო გ. თ-ის მიერ სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულებაზე. დასახელებული ხელშეკრულებით, თავდების პასუხისმგებლობა განისაზღვრა 6250 აშშ დოლარით;

2012 წლის 28 სექტემბერს სს „მ.ო.ჯ.კ-სა“ და რ. მ-ს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა შემდეგი უძრავი ქონება: თბილისში, ყ. შ-ს ქუჩა №...-ში მდებარე ბინა №... (ფართი 159,13 კვ.მ, საკადასტრო კოდი ...);

გ. თ-ს სს „მ.ო.ჯ.კ-ის“ წინაშე, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გააჩნია დავალიანება 8 489.84 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა 5000 აშშ დოლარი, პროცენტი – 702.16 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო – 2787.68 აშშ დოლარი;

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მ. ს-ას მტკიცება, რომლის შესაბამისად, მან 2012 წლის 28 სექტემბრის №... თავდებობის ხელშეკრულებას ხელი შეცდომით მოაწერა იმგვარად, რომ ვერ გაერკვა, თუ რაზე აწერდა ხელს. აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით სასამართლომ შემდეგი განმარტება გააკეთა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ. შესაბამისად, მარტოოდენ ნების არსებობა არ იწვევს გარიგების დადებას, აუცილებელია ნება გამოვლენილ იქნეს. გარდა ამისა, ნება მიმართული უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ. ნება შინაგანი სუბიექტური კატეგორიაა და იგი სამართლებრივ შედეგებს იწვევს მხოლოდ მისი გარეგანი გამოხატვის შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი შედეგისადმი მიმართული ნება იურიდიულად ქმედითი ხდება მისი გამოვლენის შედეგად. ამასთან, ნების გამოვლენის ფორმებს უაღრესად დიდი პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია გარიგებებში, ვინაიდან გამოხატული ნებისადმი არსებობს კონტრაჰენტის მიერ გამოვლენილი ნდობის დაცვის ღირსი ინტერესი, ამიტომ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული პირის მტკიცება, რომ მას ის ნება არ ჰქონდა, რომელიც გამო-

ხატა, თუ მისი ნების გარეგანი გამოხატულებით მეორე მხარემ კეთილსინდისიერად ირწმუნა, რომ იგი უფლებებით აღიჭურვა. აღნიშნულთან გამომდინარე, ნების გამოხატვა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომისკენ არის მიმართული, დაკავშირებულია არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმოშობასთან. შესაბამისად, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება შეესაბამება მის ნამდვილ ნებას. აღნიშნული პრეზუმფცია ქარწყლება, თუ დადასტურდება, რომ ნება გამოვლენილ იქნა ისეთ პირობებში, რომელიც გამოვლენილი ნების ნამდვილი ნებისადმი შესაბამისობას გამორიცხავს. მაგალითად, პირის ქმედუუნარობა, სულიერი აშლილობა, ფსიქიკური, ფიზიკური იძულება, მოტყუება, და ა.შ. ეს ისეთი გარემოებებია, როდესაც პირი მოკლებულია შესაძლებლობას, მართოს ნების გამოხატვის ფორმები. როდესაც პირს შეზღუდული აქვს ე.წ. „მოქმედების ნება“, ანუ ასეთ ვითარებაში იგულისხმება, რომ დაუძლეველ გარემოებათა გამო, პირი იმ ნებას გამოხატავს, რომელიც მის ნებას არ შეესაბამება (სულიერი ავადმყოფობა) ან პირი გამოხატავს სხვა პირის და არა თავის რეალურ ნებას (მოტყუება, იძულება და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში, ნების გამოვლენი, რაღა თქმა უნდა, დაცული უნდა იყოს გამოვლენილი არანამდვილი ნების თანამდევნი შედეგებისგან. გარიგების წერილობითი ფორმით დადებისას მხარეები ამ გარიგების დადების ნებას გამოხატავენ მასზე ხელმოწერით. პირის მიერ თავისი ნებით და მოქმედებით სამოქალაქო უფლებების განხორციელებას კანონი უკავშირებს პირის ქმედუუნარიანობის არსებობას. ქმედუუნარიანი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით ნების გამოვლენისას – ხელშეკრულების ხელმოწერისას ივარაუდება, რომ მისთვის ცნობილია ამ ხელშეკრულების შინაარსი, ასევე, ივარაუდება, რომ პირი აცნობიერებს ხელმოწერით გამოხატული ნების სამართლებრივ შედეგს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მ. ს-ას ჰქონდა იმ დოკუმენტის შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა, რასაც ხელს აწერდა, ამასთან, თავდებს ხელმოწერისას არ განუცხადებია პრეტენზია თავდებობის ხელშეკრულებაში მითითებული პირობების მიმართ. ამდენად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 28 სექტემბერის №... თავდებობის ხელშეკრულება ნამდვილია. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არც სასარჩელო განცხადებით და არც შეგებებული სარჩელით სასამართლოსათვის არ მიუმართავს და საცილოდ არ გაუხდია იგი;



სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, ასევე, მ. ს-ას პრეტენზია, რომლის შესაბამისად, მის მიერ თავდებობასთან დაკავშირებით ნების გამოხატვას გამორიცხავს საქმეში შესაბამისი განცხადების არარსებობის ფაქტი. სასამართლოს მითითებით, 2012 წლის 28 სექტემბერის №... თავდებობის ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების საფუძველზე თავდები კისრულობს სოლიდარულ პასუხისმგებლობას და მთელი თავისი ქონებით „მ-ო-ს“ წინაშე თავდებად უდგება მსესხებელს. სასამართლოს განმარტებით, განცხადება თავდებობის შესახებ შეიძლება გაკეთდეს ზეპირი ფორმითაც, რამაც შემდგომ ასახვა უნდა ჰპოვოს თავდებობის ხელშეკრულებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მ. ს-ამ თავისი კონკლუდენტური მოქმედებით, თავდებობის ხელშეკრულების დადებით, გამოხატა ნება თავდებობის შესახებ.

დასახლებული გარემოებები სასამართლომ შეაფასა რა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე, 867-ე, 868-ე, 891-ე, 892-ე მუხლების შესაბამისად, მიიჩნია, რომ მ. ს-ას, როგორც თავდებ პირს, მართლზომიერად დაეკისრა პასუხისმგებლობა მოსარჩელის მიმართ გ. თ-ის შეუსრულებელი ვალდებულებისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მ. ს-ამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მ. ს-ას მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია, თავდებმა პირმა წერილობით განაცხადოს შესაბამისი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. ასეთი სახის განცხადება საქმეში არ მოიპოვება. დასახლებული მუხლით დადგენილი ნორმების სანინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად მიუთითა, რომ თავდებობის შესახებ განცხადება შესაძლოა გაკეთდეს ზეპირი ფორმით და შემდეგ აისახოს ხელშეკრულებაში;

სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ მოპასუხე რ. მ-ი არ იყო მოწვეული 2014 წლის 25 თებერვლის სხდომაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის შესახებ უწყება ჩაბარდა არა რ. მ-ს, არამედ დაცვის მუშაკს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროისთვის რ. მ-ს ჰქონდა სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 დეკემბრის განჩინებით მ. ს-ას საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის განჩინებით მ. ს-ს საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შეფასების საფუძველზე ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ისევე, როგორც გასაჩივრებული განჩინება, მოპასუხე რ. მ-ის მიმართ, გამოტანილია იმგვარად, რომ საქმის წარმოების არცერთ ეტაპთან დაკავშირებით მისი ინფორმირების ფაქტი არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით. მოსარჩელისა და სასამართლოს მიერ რ. მ-ისათვის უკრაინის ქალაქ კიევში, ზ-ას ქუჩა, სახლი ..., ბინა ...-ის მისამართზე გაგზავნილ კორესპონდენციასთან დაკავშირებით საქმეს ერთვის ფოსტის მიერ წარმოებული მონაცემების ამონაბეჭდი, რომელიც მიუთითებს გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარებზე იმგვარად, რომ ჩაბარება არ დასტურდება ადრესატის ან გზავნილის მიმღები სხვა პირის ხელმოწერით.

სამოქალაქო სამართალწარმოებისას საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა ინფორმირებისა და მათთვის კორესპონდენციის გაგზავნა-ჩაბარების წესებს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები. დასახელებული კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორ-

განიზაცის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. იმავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მონინალმდევე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად, საქმის წარმოების მონაწილე მხარისათვის უწყებისა და სხვა გზავნილის ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება უნდა დადასტურდეს გზავნილის შესაბამისი დოკუმენტის ან/და უწყების მეორე ეგზემპლარზე მიმღების ხელმოწერით. ამგვარი წესი იძლევა შესაძლებლობას, უზრუნველყოფილ იქნეს უტყუარი მტკიცება იმისა, თუ კონკრეტულად ვინ რა სახის კორესპონდენცია მიიღო და განხორციელდა თუ არა საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მხარის ინფორმირება სათანადო წესით. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული წესით რ. მ-ისათვის სარჩელისა და სასამართლო უწყებებების ჩაბარება არ დასტურება, საქმეში არ მოიპოვება რ. მ-ის ან მისი ოჯახის წევრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა კონკრეტული სახის გზავნილის ჩაბარებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, რომელთა არსებობა, მათი ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხავს ჯეროვანი სამართალწარმოების განხორციელებას. შესაბამისად, მათი გამოვლენა და აღმოფხვრა სასამართლოს ვალდებულებაა. დასახელებული მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად,

თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას.

საკასაცო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესის ფუნდამენტური პრინციპი – მხარეთა შეჯიბრებითობა ემყარება მხარეთა თანაბარ უფლებასა და შესაძლებლობას, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი). დასახელებული პრინციპს მოიცავს სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც გარანტირებულია „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

არაერთ საქმეში სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ: „სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს უფლებას მხარეთა შეჯიბრობითობაზე, რომლის თანახმად მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით“ (იხ. საქმეები *Milatova and Others v. The Czech Republic*, 2005 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება, no. 61811/00, §59; *Nideröst-Huber v. Switzerland*, 1997 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions 1997-I*, gv. 108, § 24, *da K.S. v. Finland*, 2001 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება no. 29346/95, § 21).

საქმეში ჰუდაკოვა და სხვები სლოვაკიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ: „სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტი, მხარეთა თანასწორობის პრინციპი, მოიცავს მხარეთა უფლე-

ბას, ჰქონდეთ გონივრული შესაძლებლობა, წარადგინონ თავიანთი საქმე სასამართლოს წინაშე ისეთ პირობებში, რომლებიც არ ჩააყენებს მათ არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მეორე მხარესთან შედარებით“ (იხ. საქმე Hudakova and Others v. Slovakia, 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, no. 23083/05, § 25). იმავე საქმეში ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ „მოთხოვნა, სამართალწარმოების მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია და კომენტარი გააკეთონ წარდგენილ მტკიცებულებებსა და მოსაზრებებზე, მოქმედებს როგორც პირველ ინსტანციაში, ისე გასაჩივრების დროს, იმის მუხედავად, გასაჩივრების დროს არის თუ არა წარმოდგენილი ახალი მოსაზრებები. ყველა მხარისათვის მოსაზრებების გაცნობის მოთხოვნა გამომდინარეობს საჭიროებიდან, რომ მხარეებს ჰქონდეთ რწმენა მართლმსაჯულების განხორციელებისა და რომ მათ უარი არ ეთქვას შესაძლებლობაზე გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები იმ საკითხებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე“ (იხ. საქმე Hudakova and Others v. Slovakia, 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, no. 23083/05, § 29).

მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხე რ. მ-ის მიმართ გამოტანილია მისი მონაწილეობის გარეშე იმგვარად, რომ არ დასტურდება საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ინფორმირების ფაქტი. ამდენად, არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

მოცემულ შემთხვევაში გამოვლენილი გარემოებებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველის შესაბამისად, არსებობს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. გასაჩივრებული განჩინე-

ბის გაუქმების მოტივების მიხედვით, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს პროცესში მონაწილე მხარეთა სათანადო ინფორმირება საქმის განხილვასა და მასთან დაკავშირებულ არსებით ეტაპებთან დაკავშირებით, ასევე, შესაბამისი კუთხით, იმსჯელოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ს-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 9. საქმის წარმოების განახლება

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ა-3167-ა-12-2013

29 იანვარი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის გადახდის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „რ. კ-ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს. მ-სა“ და მისი პარტნიორების: მ. ღ-ის, ე. ა-ას, ლ. ჩ-ის, გ. ე-ის, მ. ა-ისა და გ. გ-ის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის განჩინებით შპს „რ. კ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „რ. კ-ამ“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 სექტემბრის განჩინებით შპს „რ. კ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით:

საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ კასაციონის წარმომადგენელი გ. ს-ე ესწრებოდა სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას;

განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღე იყო 2013 წლის 15 ივლისი, ხოლო 30-ე დღე – ამავე წლის 25 ივლისი;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განჩინება შპს „რ. კ-ის“ ღირექტორმა პ. პ-ამ ჩაიბარა 30-დღიანი ვადის

დარღვევით – 2013 წლის 26 ივლისს;

საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 259<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა დაიწყო 2013 წლის 25 ივლისს – სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს და დასრულდა 2013 წლის 14 აგვისტოს;

საკასაციო საჩივრით დასტურდებოდა, რომ ის სასამართლოში 2013 წლის 15 აგვისტოს იქნა წარდგენილი, რაც საფუძველად დაედო მის განუხილველად დატოვებას.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „რ. კ-ის“ წარმომადგენელმა გ. ს-მ და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო პალატის ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით:

განმცხადებლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს წინამდებარე საქმეზე საკასაციო საჩივარი გაეგზავნა შპს „ე. თ-ს“ საკურიერო სამსახურის მიერ 2013 წლის 13 აგვისტოს, რაც საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დროისათვის საკასაციო სასამართლოსათვის ცნობილი არ ყოფილა, განმცხადებლისათვის ასევე უცნობი იყო საკურიერო სამსახურის მიერ საკასაციო საჩივრის 2013 წლის 15 აგვისტოს ჩაბარების ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კასატორი ამ ფაქტზე საკასაციო საჩივარშივე მიუთითებდა.

საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე სატელეფონო შეტყობინების ჩაბარების შემდგომ განმცხადებელმა წერილობით მიმართა შპს „ე. თ-ს“, რომელმაც აცნობა განმცხადებელს 2013 წლის 13 აგვისტოს კორესპოდენციის მისთვის ჩაბარებისა და კურიერის მიერ ამ კორესპოდენციის სააპელაციო სასამართლოში 2013 წლის 15 აგვისტოს ჩაბარების თაობაზე. ამ გარემოების დასადასტურებლად განმცხადებელმა წარმოადგინა „ე. თ-ს“ ქვითარი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქალაქეთა მისაღების მიერ გაცემული სარეგისტრაციო ბარათი, ასევე ადვოკატ გ. ს-ის მიმართვა და საფოსტო განყოფილების წერილობითი პასუხი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით შპს „რ. კ-ის“ განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განცხადების განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შპს „რ.



კ-ის“ განცხადების საფუძვლიანობა და თვლის, რომ ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ყურადღებას გაამახვილებს წინამდებარე განცხადების მოთხოვნის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებზე: განსახილველ შემთხვევაში, შპს „რ. კ-ის“ საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევის ფაქტი. ამ მხრივ, საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ კასატორის წარმომადგენელი ინფორმირებული იყო სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თაობაზე და ესწრებოდა კიდევაც 2013 წლის 25 ივნისის სხდომას;

განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან მე-20 დღე იყო 2013 წლის 15 ივლისი, ხოლო 30-ე დღე – ამავე წლის 25 ივლისი;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივნისის განჩინება შპს „რ. კ-ის“ დირექტორმა პ. პ-ამ ჩაიბარა 30-დღიანი ვადის დარღვევით – 2013 წლის 26 ივლისს;

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 259<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა დაიწყო 2013 წლის 25 ივლისს – სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს და დასრულდა 2013 წლის 14 აგვისტოს;

საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი იყო 2013 წლის 15 აგვისტოს.

განმცხადებელი მოითხოვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას იმ საფუძვლით, რომ საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტის ეტაპზე როგორც, საკასაციო სასამართლოსათვის, ისე თავად კასატორისათვის უცნობი იყო სს „ე. თ-ს“ მიერ შპს „რ. კ-ის“ საკასაციო საჩივრის 2013 წლის 15 აგვისტოს წარდგენის ფაქტი. კერძოდ, კასატორმა საპროცესო ვადის დაცვით, 2013 წლის 13 აგვისტოს ფოსტას ჩააბარა საკასაციო საჩივარი, ხოლო კურიერმა იგი სასამართლოში მოგვიანებით, 2013 წლის 15 აგვისტოს წარადგინა.

განმცხადებლის არგუმენტის სამართლებრივად შეფასების მიზნით პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახ-

ლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წაწმენდები. ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელმა მოთხოვნის დასაბუთების მიზნით წარმოადგინა მტკიცებულებები: შპს „ე. თ-ს“ ქვითარი, სააკულაციო სასამართლოს მოქალაქეთა მისაღების ბარათი, ასევე საფოსტო განყოფილებისადმი მიმართვა და მათი წერილობითი პასუხი. სასამართლოს მიერ გაცემული დოკუმენტის შესწავლით რაიმე ახალი გარემოება არ დასტურდება, მასში მითითებულია საკასაციო საჩივრის ჩაბარების იგივე თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი, რაც საქმეში არსებულ საკასაციო საჩივარზე დატანილი, რაც შეეხება მეორე მტკიცებულებას – საფოსტო ქვითარს, ასევე ადვოკატ გ. ს-ის მიმართვას საფოსტო განყოფილებისადმი და შპს „ე. თ-ს“ წერილობით პასუხს, მათი ერთობლივად შესწავლით დასტურდება ის ფაქტი, რომ საკასაციო საჩივარი შპს „რ. კ-ამ“ ფოსტის მეშვეობით გააგზავნა 2013 წლის 13 აგვისტოს. საკასაციო სასამართლო წარდგენილ მტკიცებულებებს მიიჩნევს განცხადებაში მითითებული გარემოების დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებებად (სსსკ 102.3 მუხლი) და თვლის, რომ მხარემ უზრუნველყო განცხადებაში მითითებული გარემოების – საკასაციო საჩივრის ფოსტისათვის 2013 წლის 13 აგვისტოს ჩაბარების ფაქტის უტყუარად დამტკიცება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს განმცხადებლის პოზიციას, რომ საფოსტო ქვითრის საქმეში არსებობის შემთხვევაში (რაც საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე ობიექტურად არ იყო ცნობილი არც სასამართლოსათვის და არც კასატორისათვის) შპს „რ. კ-ის“ სანაწარმდებო გადაწყვეტილება არ მიიღებოდა.

საკანონმდებლო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის LII თავით რეგულირებული საქმის წარმოების განახლების ინსტიტუტი არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შემდგომი გასაჩივრების შესაძლებლობას, იგი წარმოადგენს საგამონაკლისო წარმოებას, როდესაც კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში დასაშვებია ქვეყნის სახელით გამოტანილი მართლმსაჯულების აქტის კანონიერების შემოწმება. ასეთ დროს სასამართლოს როლი განახლების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასებაში გაცილებით ფართოა, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე და დადგენილია, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დანესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით (სსსკ მე-4 და 83-ე მუხლები).

შეჯიბრებითობის პრინციპი საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე თანაბრად ვრცელდება და ამ კუთხით არც LII თავი შეიცავს რაიმე განსხვავებულ წესს. საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმო-

ჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი. დასახელებული ნორმისა და საკასაციო სამართალწარმოების მარეგულირებელი სპეციალური ნორმების (მათ შორის მე-400 მუხლი) გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ კასატორის მოწინააღმდეგე მხარეებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით ჩააბარა საქმის წარმოების განახლების თაობაზე შპს „რ. კ-ის“ განცხადების განსახილველად დაშვების შესახებ 2013 წლის 28 ოქტომბრის განჩინება, განცხადების ასლი და თანდართული მტკიცებულებები, მიუხედავად აღნიშნულისა, არც ერთ მოწინააღმდეგე მხარეს საპირისპირო მოსაზრება არ წარმოუდგენია განმცხადებლის მოთხოვნაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით. ამავ კოდექსის 431-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საქმე, რომელზედაც ეს გადაწყვეტილება იყო გამოტანილი, თავიდან უნდა იქნეს განხილული საქმეთა განხილვის შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2013 წლის 30 სექტემბრის განჩინებით შპს „რ. კ-ის“ საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიღების საკითხის განხილვის ეტაპზე იქნა განუხილველად დატოვებული, პალატა მიიჩნევს, რომ საქმის წარმოება უნდა განახლდეს შპს „რ. კ-ის“ საკასაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლთან შესაბამისობის გარკვევის ეტაპზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „რ. კ-ის“ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 სექტემბრის განჩინება შპს

„რ. კ-ის“ საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე და განახლდეს საქმის წარმოება საკასაციო საჩივრის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად წარმოებაში მიღების ეტაპიდან.

3. განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 2 98 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)